უკვირვარება, უხელფასობა, უპასუხისმგებლობა... A2

"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი" კვლავ "თავდასხმის" ობიექტია A4

მონადირე B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი პარასკევი, 5 დეკემბერი, 2003 წელი. №315 (527) ფასი 50 თეთრი

უშიშროების საბჭო ყოველდღე შეიკრიბება

ძალოვანები მუშაობის გუნდურ პრინციპზე გადადიან

ზაზა ფაჩუაშვილი

ნინო ბურჯანაძისა და ზურაბ ჟვანიას დავალებით საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოში ძალოვანი მინისტრები ამიერიდან ყოველდღე შეიკრიბებიან და მუშაობის კოორდინირებულ, გუნდურ პრინციპზე გადავლენ. ასე გაგრძელდება მანამ, ვიდრე არ დამყარდება საზოგადოებრივი წესრიგი და არ შეიქმნება უსაფრთხოების გარკვეული გარანტიები. ასეთი შინაარსის განცხადებები უშიშროების საბჭოს წევრებმა გუშინ გვიან საღამოს გააკეთეს.

უშიშროების საბჭოდან პირველი გამოვიდა სახელმწიფო მინისტრი ზურაბ ჟვანია, რომელმაც დაადასტურა, რომ საქართველოს პრეზიდენტობის ყველაზე რეალური კანდიდატის, მიხეილ სააკაშვილის უსაფრთხოება საიმედოდ არის დაცული.

გაგრძელება A3 გვერდზე

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

ძალოვანები მოსახლეობასაც ყურადღებისკენ მოუწოდებენ.

მთავარი კონკურენტები - დრო და საქართველოს მტრები

სოფო ბაკია

"უემოციო საქართველომ ვინც უნდა ის აირჩიოს, ჩვენ - ემოციური ქართველები მხარს ვუჭერთ და მივესალმებით მიხეილ სააკაშვილს!" – თუ თქვენ ემოციური ქართველი ხართ, ვახუშტი კოტეტიშვილმა გუშინ სწორედ თქვენ მოგმართათ.
საქართველოს პრეზიდენტობის ყველაზე რეალურმა კანდიდატმა მიხეილ სააკაშვილმა თავისი წინასაარჩევნო კამპანია ოფიციალურად დაიწყო. "მოკრძალებულ ცერემონიას" მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის სარკეებიანმა დარბაზმა უმასპინძლა. ცნობილ "რევოლუციონერებთან" ერთად სააკაშვილის საარჩევნო სტარტს კულტურის, ხელოვნების და საზოგადოების სხვა "ემოციური" წარმომადგენლებიც დაესწრნენ.

გაგრძელება A3 გვერდზე

ლევან ლეონიძის ფოტო

მიხეილ სააკაშვილი: "მათი ასაფეთქებელი სამშობლო ჩვენ არ გვაქვს".

"ზამთარი 2004" სკანდინავიურად

ლევან ლეონიძის ფოტო

გვანცა ჯანაშია 10 საპატარძლო-ელფთან ერთად.

პრეზიდენტ ბუშის დავალება - დავეხმაროთ საქართველოს

მიუხედავად იმისა, რომ ლინ პასკომ ბოლომდე ვერ გაარკვია, თუ კონკრეტულად სად წავიდა ბოლო წლებში საქართველოსათვის აშშ-ს მიერ გაწეული დახმარება, ოფიციალური ვაშინგტონი საქართველოს ახალ ხელისუფლებასთან ურთიერთობას სუფთა ფურცლიდან იწყებს.

ლელა მჭედლიძე

"ჯორჯ ბუშმა საქართველოში, უბრალოდ, მილოცვის და მოკითხვის გადმოსაცემად კი არ გამოგვგზავნა, არამედ იმის დასაზუსტებლად, თუ რითი შეიძლება რეალურად ამ ეტაპზე საქართველოს დახმარება. ჩვენ უაღრესად საინტერესო, სასარგებლო შეხვედრები გვქონდა მოქმედ პრეზიდენტ ნინო ბურჯანაძესთან, სახელმწიფო მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან, "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერ მიხეილ სააკაშვილთან და სხვებთან. ამ შეხვედრაზე ორ ქვეყანას შორის ინტერესების თანხვედრაზე იყო საუბარი. გადაწყდა, რომ საქართველოს უახლოესი პერიოდისათვის სასწრაფო პრობლემების გადასაჭრელად ხუთი მილიონი დოლარი გამოიყოფა. თუ რაზე დაიხარჯება ეს თანხა, თავად საქართველოს ხელისუფლების გადასაწყვეტია. გარდა ამისა, აშშ საქართველოს გათბობის პროგრამისთვის გამოყოფს ორ მილიონ დოლარს, რაც ამ დარგზე გათვალისწინებულ ბიუჯეტს 50 პროცენტით გაზრდის," - აცხადებდა გუშინ ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ აშშ-ს სამთავრობო დელეგაციის ხელმძღვანელი.

გაგრძელება A3 გვერდზე

რეცეპტები ენერგეტიკისთვის

როგორ უნდა უმკურნალოს ახალმა მთავრობამ ქართულ ენერგეტიკას; რა ელის სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს – გაუქმება თუ პირიქით, ფუნქციების გაძლიერება? როგორი იქნება სემეკის როლი მომავალში? რა გზა უნდა აირჩიოს ახალმა მთავრობამ იმისათვის, რომ დარგის განვითარებას შეუწყოს ხელი? "24 საათთან" საუბრისას ექსპერტები ენერგოსექტორის მოწყობის რამდენიმე მოდელს განიხილავენ. გთავაზობთ მათ მოსაზრებებს.

მაია ურუშაძე

1 დეკემბრის "24 საათში" გამოქვეყნებულმა სტატიამ, რომელიც ქვეყნის ენერგეტიკული სექტორის მოწყობის საკითხებს ეხებოდა, არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ექსპერტთა დიდმა ნაწილმა "24 საათის" მიერ წამოწყებული დისკუსია დადებითად შეაფასა და მიიჩნია, რომ ამ საკითხებზე მსჯელობა დროულია. თუმცა, სხვაგვარი აზრი აღმოაჩნდა სათბობ-ენერგეტიკის ექსმინისტრს, სემეკ-ის ამჟამინდელ თავმჯდომარეს დავით მირცხულავას, რომელიც თავის მოსაზრებებში კატეგორიულია: მირცხულავა მიიჩნევს, რომ ქვეყნის ენერგოპოლიტიკის შესახებ მისი მინისტრობის დროს შემუშავებული 200-გვერდიანი ნაშრომი, რომლის გაცნობაც "24 საათის" მკითხველისთვის დავით მირცხულავას არ სურს, უნაკლოა და ეს საკითხი "24 საათის" მსჯელობის საგნად არ უნდა იქცეს.

გაგრძელება A4 გვერდზე

პოლიცია ნარკომანებისგან იწმინდება

შინაგან საქმეთა ახალი მინისტრი გიორგი ბარამიძე პოლიციის წმენდის აქამდე ტაბუდადებულ გზას დაადგა. "პოლიცია - ნარკომანი თანამშრომლების გარეშე", - ამ დევიზით გატარებული ღონისძიებების შედეგად, ბოლო ერთი კვირის განმავლობაში რვა სამართალდამცველმა პოლიციის მუნდირი სამუდამოდ დატოვა. თუმცა, როგორც ფაქტები ცხადყოფენ, ეს პროცესები ამით არ დასრულდება და როგორც თავად მინისტრი გვპირდება, იქამდე გაგრძელდება, ვიდრე სისტემა ამ სენით დაავადებული ხალხისგან ბოლომდე არ გაიწმინდება.

თამარ კაკიტაძე

პოლიციაში დაწყებული ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის გამო, გუშინ კოლეგათა "მსხვერპლი" ორი მაღალჩინოსანი პოლიციელი აღმოჩნდა. როგორც შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსმა დავით ჯინჯოლავამ ჩვენთან საუბარში განაცხადა, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა, წინასწარი ინფორმაციის საფუძველზე, დააკავეს ვაკე-საბურთალოს რაიონის საპასპორტოს უფროსი კობა მახარაძე. მახარაძე, რომელიც თბილისის პროკურორის შვილია, კოლეგებს საკუთარი ფეხით გაჰყვა ნარკოლოგიურ დისპანსერში და ანალიზიც ნებაყოფლობით ჩააბარა. ჯინჯოლავას თქმით, დღის ბოლოს ცნობილი გახდა საბოლოო დასკვნა, სადაც აღნიშნულია, რომ მახარაძეს აღმოაჩნდა ნარკოტიკული ნივთიერება მარიხუანა. ამის გამო, ვაკე-საბურთალოს რაიონის საპასპორტოს უფროსს თანამდებობა დაატოვებინეს.

გაგრძელება A7 გვერდზე

რამსფელდის ვიზიტი ავღანეთში

აშშ-ს თავდაცვის მინისტრი გუშინ ავღანეთში იმყოფებოდა. მისი ვიზიტის მიზანი იყო, მხარი დაეჭირა ავღანეთის დროებითი ადმინისტრაციისა და პირადად პრეზიდენტ ჰამიდ კარზაისათვის. ვაშინგტონმა 2003 წლის მაისში ავღანეთში საბრძოლო მოქმედებების ფაზა დასრულებულად გამოაცხადა. მომავალი წლის ივნისში კი ქვეყნის ისტორიაში პირველი არჩევნებია დანიშნული. მიუხედავად ამისა, ქვეყნის სხვადასხვა მხარეში ბრძოლები ჯერაც არ წყდება. გაერო-ს ეგიდით მოქმედი ISAF-ის სამშვიდობო ძალები დღემდე, ძირითადად, ავღანეთის დედაქალაქს აკონტროლებენ. მართალია, ქვეყნის სხვადასხვა მხარეში დაწყებულია ISAF-ის საყრდენი ბაზების განლაგება და ამერიკელი სამხედროები დამოუკიდებლად მოქმედებას განაგრძობენ, მაგრამ ქაბულს მიღმა ახალი ადმინისტრაციის კონტროლი მხოლოდ ნომინალურია. სამშვიდობო ძალებს, რომელსაც კოორდინირებას ნატო უწევს, დღევანდელი მონაცემებით, 5 700 ჯარისკაცი ჰყავს, ხოლო ავღანეთის სხვადასხვა მხარეში 10 000 ამერიკელი სამხედრო განაგრძობს ოპერაციებს. ავღანეთის ცენტრალურ ხელისუფლებას კი დღემდე მხოლოდ 6 ათასი ჯარისკაცი ჰყავს.

გაგრძელება A5 გვერდზე

პოლიტიკა

ცესკო-ს ახალი თავმჯდომარის ახალი ინიციატივა

როგორც ირკვევა, ქვეყანაში ვერ მოინახა ის საწყისი ბაზა, რომელიც ახალი, მეტ-ნაკლებად სრული სიების მომზადებას დაედება საფუძვლად. სამწუხაროდ, დღემდე სახელმწიფო მანქანა ამომრჩეველთა იმ მონაცემებს აცხადებდა რეალურად, რომელიც მას ამომრჩეველთა სიებით მანიპულირების შესაძლებლობას მისცემდა.

A3

ეკონომიკა

"თბილგაზი" თანადგომას ითხოვს და ურჩი გადამხდელების გათიშვებს გეგმავს

"თბილგაზის" ხელმძღვანელობა განმეორებითი თხოვნით მიმართავს თბილისის მოსახლეობას, დაფარონ მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულება. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიქმნება გარკვეული პრობლემები გენერალურ მომწოდებელ "გაზპრომთან".

A4

უცხოეთი

ქოლინ პაუელი: ნატო-მ ერაყში აქტიურად უნდა იმოქმედოს

ბრიუსელში შეკრებილ, ნატო-ს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებს აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელიც შეუერთდა. მან ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსს ერაყის აღმშენებლობის და უსაფრთხოების საქმეში უფრო აქტიური და ქმედითი ნაბიჯების გადადგმისაკენ მოუწოდა.

A5

საზოგადოება

უნიათო ხელისუფლების კვალი

კულუარული ინფორმაციით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დასაქმების სახელმწიფო პროგრამის დაფინანსება შეაჩერა. მიზეზი, როგორც ამბობენ, სახელფასო, საპენსიო, ჯანდაცვისა და სხვა პროგრამებისადმი დაგროვილი დავალიანებაა.

A6

სამართალი

ტოტალური ტერორი არ დაწყებულა, თუმცა საფრთხე არსებობს

თუ გუშინწინ, ღამით მომხდარმა აფეთქებამ და აფეთქების შემდეგ განხორციელებულმა, მუქარის შემცველმა სატელეფონო ზარმა სახელმწიფო ტელერადიოკორპორაციის მუშაობას შეუშალა ხელი, კიდევ ერთმა სატელეფონო ტერორისტის ზარმა გუშინ უკვე კერძო საინფორმაციო საშუალებების თანამშრომლები გამოიყვანა გარეთ.

A7

ამინდი

თბილისი	10
ქუთაისი	14
ბათუმი	16
სოხუმი	11
ფოთი	15
თელავი	9
ზუგდიდი	14

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1800
ევრო	2.6341
გირვანქა სტერლ.	3.7668
რუბლი	0.0734

A2 პოლიტიკა A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ამბები

B1 ომბუდსმენი B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 მონადირე B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

თვალსაზრისი

სინათლე გვირაბის ბოლოს

დავით ჯავახიშვილი

ხავერდოვანი, ვარდების, თეთრი, ინტელიგენტური, გონიერი ხალხის რევოლუცია... ასეთი ეპითეტებით შეამკო მსოფლიომ საქართველოში მომხდარი ნოემბრის მოვლენები. ეს უტყუარი ფაქტია და მას ყველაზე გაწაფული დემაგოგიც ვერაფერს უზამს.

ფაქტია ისიც, რომ ქართველი ერისა და ქართული სამოქალაქო საზოგადოების საერთაშორისო პრესტიჟმა ნულიდან თუ უფრო ქვემოდანაც კი, ერთბაშად ძალიან მაღალ ნიშნულს მიაღწია. ამგვარ მიღწევას, ცხადია, თვალსჩინივით გაფრთხილება და ისეთივე თავგანწირვით დაცვა სჭირდება, როგორითაც განხორციელდა. ეს ყველას შესანიშნავად ესმის, მოყვარესაც და მტერსაც. ამიტომაც, ბრძოლა სიმართლისა და ღირსებისათვის ამით კი არ დამთავრებულა, არამედ იწყება. ამავე მოსაზრებით, ვიმედოვნებ, რომ ჩემი ეს გვიანი გამოძახილი "ჩხუბის შემდეგ მუშტების ქნევად" არ ჩაითვლება.

მე არც ხოტბის შესხმა მსურს ვინმესთვის და არც "წაქცეულთათვის წიხლის ჩაზელა" (რაც ასე მიღებულია ჩვენში ამ ბოლო დროს, არა თუ მხოლოდ გადატანითი, არამედ პირდაპირი მნიშვნელობითაც), მაგრამ აღნიშნულ მოვლენათა ზოგადი შეფასება კი, პირველ რიგში ჩემთვისვე, საჭიროდ მიმაჩნია.

ვერავინ უარყოფს იმას, რომ ნოემბრის ბოლო დეკადა თბილისში და მთელ საქართველოში უკიდურესად მწვავედ და დრამატულად დაიწყო. ვერც იმას უარყოფს ვინმე, რომ ყველაფერი, მადლობა ღმერთს, უსისხლოდ დამთავრდა (თუმცაღა, ყველაფერი წინააო, ყვავები დაგვჩხავიან). კონფლიქტის მიზეზი, არსებითად, რა თქმა უნდა, რთული და სიღრმისეული იყო, მაგრამ გარეგნულად და ზედაპირულად უმალვე მარტივ კითხვად ჩამოყალიბდა: ვინ უფრო მეტია - რადიკალურ ცვლილებათა მომხრე თუ მოწინააღმდეგე? ამის გასარკვევად თბილისის ვერც ერთი დარბაზი (ფილარმონია, სპორტის სასახლე, პარლამენტი თუ სხვა) საკმარისი ვერ აღმოჩნდა და ასპარეზად კვლავ ქუჩა იქცა, სადაც ყველაფერი ნათლად უნდა გარკვეულიყო, რაკიღა ამისთვის შეუიარაღებელი თვალიც კმაროდა. და ასეც მოხდა, მაგრამ - მთელი ერისათვის უდიდესი რისკის ფასად; ქვეყნის ბედი ხომ მართლაც რომ ბეწვზე ეკიდა!?

ნუთუ მართლა ვერ ხედავდა ვინმე და ვერ ხვდებოდა, თუ რასთან და ვისთან ჰქონდა საქმე? გავიხსენოთ თუნდაც მხოლოდ ორი, აქამდე არნახული, უაღრესად შთამბეჭდავი და მრავლისმთქმელი "სანახაობა" (ვისთვის სანახაობა და ვისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო აუცილებლობა), რომელთა სწორ შეფასებას არც რაიმე ღრმა ანალიზი და არც დიდი შორსმჭვრეტელობა სჭირდებოდა; პირველი: კილომეტრობით სიგრძის ავტოკოლონების ცეცხლოვანი მსვლელობა დედაქალაქისკენ ანუ მოვლენათა ეპიცენტრისკენ, და მეორე: წვიმაში, სიცივეში, დღედაღამ ფეხმოუცვლელად მდგარი ხალხი პარლამენტის შენობის წინ, ოცდახუთი დღის ჩვილი ბავშვით დაწყებული და ხეიბარი პენსიონერებით დამთავრებული. ყოველივე ამის ვერდანახვა ან უმართებულო შეფასება, ისევე როგორც ტელეკომპანია "რუსთავი-2"-ის ხალხის მტრად გამოცხადება, ან ე.წ. სირაქლემას სინდრომია, ან ბავშვური სიჯიუტე, ან რაღაც ბევრად უარესი.

სიტყვამ მოიტანა და არ შემიძლია არაფერი ვთქვა "რუსთავი-2"-ის ირგვლივ შექმნილ მითქმა-მოთქმაზე. შეიძლება კაცს ზოგი რამ არ მოგწონდეს ამ ტელეარხის მუშაობის სტილში, მის ცალკეულ გადაცემაში, მაგრამ ინფორმაციას რაც შეეხება, რომ არა იგი, მე და კიდევ უამრავი ჩემნაირი ადამიანი დღესაც ძალიან ღრმა და ბნელ ჭურში ვისხდებოდით. მიუხედავად იმისა, რომ ყველა სხვა ტელეარხიც მეტ-ნაკლები ობიექტურობითა თუ მიკერძოებულობით მუშაობს (სრული ნეიტრალიტეტის დაცვა ასეთ დროს ალბათ შეუძლებელია), მე პატივს ვცემ უკლებლივ ყველას, ისევე, როგორც საერთოდ მასმედიას, მაგრამ არ შემიძლია არ ვთქვა ისიც, რომ თუნდაც მხოლოდ ოპერატიულობის თვალსაზრისით, "რუსთავი-2", როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ყველასაგან მკვეთრად გამოირჩა. სწორედ ამიტომაც მიეცა ნოემბრის თბილისურ მოვლენებს კიდევ ერთი, ვფიქრობ, უნიკალური შეფასება - რევოლუცია პირდაპირ ეთერში, რაც გარდა "რუსთავი-2"-ის უდავოდ პოზიტიური როლის საერთაშორისო აღიარებისა, აგრეთვე ნებისმიერი ტელეარხისათვის სანუკვარ, უმაღლეს შეფასებასაც ნიშნავს. ამითვე აიხსნება ალბათ რეტროგრადულ ძალთა სავსებით გასაგები გაღიზიანება "რუსთავი-2"-ის მიმართ და მის გასანეიტრალებლად გადადგმული ისეთი პრიმიტიული ნაბიჯები, როგორიც იყო მისი კორესპონდენტებისათვის აკრედიტაციის უკანონო, კვაჭისებურად "გაიმასქნებული" გაუქმება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და ან ის უაზრო ბოიკოტი, რომელიც პოლიტიკოსთათვის უკადრის ინფანტილურობას უფრო წააგავს.

უკადრისად მიმაჩნია, აგრეთვე, თავისი უფლებების დასაცავად ქუჩაში გამოსული ხალხის მიმართ წინასწარ წაყენებული ერთი ბრალდება, რომ თურმე სასურველი არ ყოფილა რუსთაველის გამზირის კიდევ ერთხელ "ტუალეტად ქცევა". პასუხად, ყველამ დავინახეთ, როგორი დაგვიან-დაწკრიალებული დარჩა რუსთაველი და თავისუფლების მოედანიც მიტინგების შემდეგ; იქნებ სწორედაც ამ "წვრილმანის" გამო შეფასდა ნოემბრის მოვლენები მსოფლიოს მიერ, აგრეთვე, ინტელიგენტურ რევოლუციად.

ნიშანდობლივ დეტალად მიმაჩნია თავისუფლების მოედანზე მცირე ხნით გამოჩენილი ტრანსპარანტი - "შენ მეისპე", როგორც ნიმუში ჯანსაღი ქართული იუმორისა: ჯანსაღი და მართალია თვით ის ერიც, რომელიც ასეთ გადამწყვეტ, ასეთ კრიტიკულ ვითარებაშიც კი არ კარგავს თბილი და უღვარძლო იუმორის გრძნობას.

ყოველივე ამის არ თუ ვერდამნახავ ადამიანებს, ჩემი აზრით, პოლიტიკაში არაფერი ესაქმებათ. თუმცა, ნოემბრის მოვლენათაგან ზოგიერთს პოლიტიკასთან საერთო არც არაფერი ჰქონია და მათი შეფასება მხოლოდ ზნეობრიობის საზომით თუ შეიძლება.

ხალხის მიმართ უზნეობად მიმაჩნია ყველანაირი ქილიკი "ვარდების" თემაზე, მით უფრო - საპარლამენტო ტრიბუნიდან თუ მიკროფონებიდან, საიდანაც ხალხი საქმიან, გააზრებულ გამოსვლებს მოელის და არა თავმომწონე ფუჭსიტყვაობას.

იმედისმომცემ ფაქტად მიმაჩნია დროებითი ხელისუფლების მხრივ მკაფიოდ აღებული კურსი ერთიანობისკენ, ყოველგვარი ღვარძლიანი ნიშნისმოგებისა და უსაფუძვლო ანგარიშსწორების გარეშე, რასაც, ჩემი ღრმა რწმენით, უნივერსიტეტის ირგვლივ ვითომდაც ავტონომიის დასაცავად ვიღაცის დაკვეთით ატეხილი აჟიოტაჟის მსგავსი პროვოკაციები წინ ვერ აღუდგება.

ყველაზე დიდ და მყარ იმედს კი ნოემბრის მოვლენები იძლევა, როგორც პრეცედენტი, როგორც ნიშანი ერის გამოღვიძებისა, რაც, თავის მხრივ, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და დემოკრატიის სრული და საბოლოო გამარჯვების უტყუარ საწინდრად მესახება. აი, ახლა კი მართლაც გამოჩნდა სინათლე გვირაბის ბოლოს, და თუ ამ თემაზე ცნობილ ხუმრობასაც გავიხსენებთ, დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არ არის შემხვედრი მატარებელი. მაგრამ იქამდე ჯერ კიდევ ძალიან ძნელია მისვლა.

გია ბუღაძის განცხადება

რიგი ტელეკომპანიების ეთერიდან, რეპორტაჟში საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატის ვაჟა ჩხაიძის საზოგადოებასთან შეხვედრაზე, სადაც მეც ვიმყოფებოდი, განაცხადეს, რომ ვარ მისი მხარდამჭერი. ბატონ ვაჟას ვიცნობ 29 წელია და ჩვენ დიდი ხანია, ვმეგობრობთ. მისი სურვილი, რომ მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, განპირობებულია მხოლოდ ერთი მიზნით - მოიპოვოს ტრიბუნა და საინტერესო მოსაზრებები გააცნოს საზოგადოებას. ჩემს მიერ მისი, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატის მხარდაჭერაზე, ერთი სიტყვაც არ თქმულა. ბატონ ვაჟას, პირდაპირი გაგების, პრეზიდენტობა საერთოდაც არ სურს.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, ყოველთვის მხარს ვუჭერდი ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს და დღესაც, საპრეზიდენტო არჩევნებში, მხარს ვუჭერ მისი გუნდის და დემოკრატიული ოპოზიციის რჩეულ კანდიდატს ბატონ მიხეილ სააკაშვილს.

უკვირუმობა, უხელფასობა, უპასუხისმგებლობა...

ლევან ხარისჭირაშვილის ფოტო

პარლამენტი ძველ სახეს იბრუნებს.

გიორგი ასანიშვილი

გუშინ ხან გიგი წერეთელი და ხან ვახტანგ ყოლბაია მთელი დღის განმავლობაში უხმობდნენ პარლამენტარებს; უხმობდნენ ზარით, ჩაქუჩით, მიკროფონიდან, მობილური ტელეფონიდან... არაფერმა გაჭრა - 118-მა დეპუტატმა სხდომათა დარბაზში ვერაფრით მოიყარა თავი. სხდომაზე მისული რამდენიმე ათეული კანონმდებელი საღამოს ექვს საათზე, უკეთესი დღევანდელი დღის იმედით, დაემშვიდობა ერთმანეთს.

დაშლის წინ დეპუტატები სიტუაციის გაანალიზებას შეეცადნენ და იმ მიზეზებზე ალაპარაკდნენ, რომლებიც, მათი აზრით, კვორუმის არარსებობას განაპირობებს.

სანდრო ბრეგაძის აზრით, სხდომებზე დეპუტატების არმისვლა, ძირითადად, იმის ბრალია, რომ დღის წესრიგში ნაკლებად აქტუალური საკითხებია შეტანილი. **"რატომ არ არსებობდა კვორუმის პრობლემა, როდესაც საქმე ეხებოდა საპრეზიდენტო არჩევნების თარიღს ან მინისტრების დამტკიცებას? იმიტომ, რომ დეპუტატებმა ის საკითხები მნიშვნელოვნად ჩათვალეს. ახლანდელ დღის წესრიგში კი ისეთი არაფერია, რომ პარლამენტარები აქ თავქუდმოგლეჯილები მოვარდნენ",** - აცხადებს ბრეგაძე და პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს მოუწოდებს, დღის წესრიგში შეიტანოს ისეთი "საინტერესო" საკითხები, როგორიც არის, მაგალითად, ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობასა და კონსტიტუციაში, რეგიონულ მოწყობასთან დაკავშირებული კანონპროექტები და სხვა.

სანდრო ბრეგაძის მოსაზრებებს ელდარ შენგელაიაც ეთანხმება და კითხულობს: **"ახლა ვინმეს რომ დავურეკო, სხდომაზე მოდი-მეთქი, როგორ უნდა ავუხსნა, რომ მნიშვნელოვანი საკითხი იხილება და დასწრება აუცილებელია?".**

დეპუტატი კობა ამირხანაშვილი კიდევ რამდენიმე მიზეზს ჩამოთვლის, რის გამოც, მისი აზრით, კანონშემოქმედებითი საქმიანობა ფერხდება. **"მაჟორიტარი დეპუტატები საკუთარი მომავლის გამო გაურკვევლობაში არიან. გარდა ამისა, მიმდინარეობს ფრაქციების რეორგანიზება, ბევრი გაუგებრობაა საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეებთან დაკავშირებითაც. ამასთან, დიდი მნიშვნელობა აქვს, აღიარებს თუ არა საკონსტიტუციო სასამართლო ამ პარლამენტის ლეგიტიმურობას",** - კობა ამირხანაშვილი თავის ვრცელ ჩამონათვალს ერთსაც უმატებს: ეს არის მოქმედი საკანონმდებლო ორგანოს უფლებამოსილების ვადის გარკვევა. დეპუტატის თქმით, თუ მის კოლეგებს ეცოდინებათ, რომ ერთ თვეში პარლამენტს უნდა გამოემშვიდობონ, მაშინ სხდომებზე, ცხადია, აღარ ივლიან, მაგრამ თუ უფლებამოსილება მომავალი წლის ზაფხულამდე გაუგრძელდებათ, საქმეს მეტი მონდომებით მიუდგებიან.

არსებობს კვორუმის არარსებობის კიდევ ერთი მიზეზი, რომელზეც ხმამაღალ საუბარს დეპუტატების უმრავლესობა გაურბის: გუშინ მხოლოდ გენო კალანდიამ გამოთქვა აღშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ კარგა ხანია ხელფასი არ მიუღია.

"ჯერ არაფერი გაგვიკეთებია საიმისოდ, რომ ხელფასი მივიღოთ", - ნახევრად ხუმრობით და ნახევრად სერიოზულად "აცამტვერებს" ამ არგუმენტს გიგი წერეთელი.

თუმცა, არიან ისეთი დეპუტატებიც, რომელთაც მაჩნიათ, რომ არანაირი "გამამართლებელი საბუთი" არ არსებობს და პარლამენტარები ვალდებულნი არიან (თუ ბოიკოტს არ აცხადებენ), სხდომებზე იარონ. ზურაბ ტყემალაძე, ელენე თევდორაძე და ელდარ ნადირაძე აღნიშნავენ, რომ მიუხედავად იმისა, როგორი საკითხია შეტანილი დღის წესრიგში - უმნიშვნელოვანესი თუ მეორეხარისხოვანი, დეპუტატი ვალდებულია, სამსახურში იაროს და თავისი მოვალეობები შეასრულოს.

ამ ორი "კონცეფციის" მიმდევართ გიგი წერეთელი განუმარტავს, რომ საპარლამენტო არჩევნების თარიღი უახლოეს დღეებში გამოცხადდება, ხოლო ორშაბათს, როდესაც ბიუროს სხდომა ჩატარდება, უკვე გარკვეული იქნება, თუ რა სიატუაციაა შექმნილი საპარლამენტო ფარქციებსა და კომიტეტებში.

ედპ ახლა კონსტიტუციურ მონარქიას უჭერს მხარს

ბაკარ ბაკრაძის ფოტო

ედპ-ს "ახალი თაობა".

სოფო ბუკია

"ედპ რეზინის ბურთს ჰგავს, რაც უფრო ძლიერ დაანარცხებ ძირს, მით უფრო მაღლა ახტება," – გია ჭანტურიას ეს სიტყვები გუშინ ედპ-ს ოფისში უმიზეზოდ არ გაუხსენებიათ. პარტია, რომლის თავმჯდომარეც სულ რამდენიმე ხნის წინ ირინა სარიშვილი გახლდათ, "ფეხზე წამოდგომას" და ქართულ პოლიტიკურ ასპარეზზე ახალი სახით გამოჩენას აპირებს.

პარტიის თავმჯდომარეობიდან სარიშვილის გადადგომის შემდეგ, ედპ-ს ოფისში გუშინ პირველი პრესკონფერენცია გაიმართა.

ბევრი ფიქრისა და განსჯის შემდეგ, ედპ-ს პრეზიდიუმმა და პარტიის გენერალურმა თავმჯდომარემ ბაჩუკი ქარდავამ, რომელიც ამჟამად პარტიას ხელმძღვანელობს, გააკეთეს განცხადება მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

როგორც აღმოჩნდა, ედპ ძალიან მკაცრად აფასებს ყოფილ ხელისუფლებას, რომლის **"შიდა პოლიტიკურმა კურსმა რეალური საფუძველი მისცა ქართველ ხალხს, პროტესტის უკიდურესი ფორმისათვის მიემართა."** ედპ ასევე მკაცრია იმ მოვლენების შეფასებისას, რამაც **"ძალადობის გზით ხელისუფლების ცვლილება გამოიწვია"**. გამომდინარე იქიდან, რომ **"დღეისთვის საქართველო რეალური საფრთხის წინაშე დგას,"** ედპ-ს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, სერიოზულად დაკავდეს პარტიის რეანიმაციით და განახლებული ძალებით დადგეს **"იქ, სადაც საქართველოს სჭირდება."**

"ჩვენ არ ვიზიარებთ იმ მეთოდებს, რომლითაც დღევანდელი ხელისუფლება იბრძვის, ამიტომ ჩვენ, ტრადიციულად, ისევ ოპოზიციაში ვიქნებით," – რომელ ტრადიციებს იხსენებს ბაჩუკი ქარდავა, რომელიც სულ რაღაც თვენახევრის წინ სახელისუფლებო ბლოკის წინასაარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი თვალსაჩინო აქტივისტი იყო, გაუგებარია.

მკვეთრი განცხადებები დღევანდელი ხელისუფლების მისამართით გუშინ არ გაკეთებულა. **"როგორი ხელისუფლებაც არ უნდა იყოს, ჩვენ პოლიტიკური პარტია ვართ და ამიტომ, რაღაც დოზით ხელისუფლებასთან ურთიერთობა და მასთან დიალოგი მაინც მოგვიწევს,"** – აცხადებს ქარდავა.

საპრეზიდენტო არჩევნებზე საკუთარი კანდიდატი ედპ-ს არ ეყოლება, თუმცა, ყოფილი ლიდერის მსგავსად, არჩევნებისთვის ბოიკოტის გამოცხადებასაც არ აპირებს. როგორც ქარდავა ამბობს, ედპ აქტიურად დააკვირდება არჩევნების პროცესს და თუ ხელისუფლების ნება იქნა, საარჩევნო კომისიების მუშაობაშიც მიიღებს მონაწილეობას.

ქარდავამ გუშინ ყოფილ თანაპარტიელებს მიმართა, რომ მათ შეუძლიათ დაბრუნდნენ პარტიის რიგებში და გააგრძელონ პარტიული მოღვაწეობა. მისი თქმით, უკვე მიმდინარეობს კონსულტაციები ედპ-ს რამდენიმე ყოფილ წევრთან, რომლებიც პარტიაში დაბრუნებას აპირებენ

"ჩვენ თოთხმეტწლიანი გამოცდილება გვაქვს და გვაქვს ამბიცია, ისევ იმ სიმაღლეზე ავიდეთ, როგორზეც ერთ დროს ვიყავით. გაზაფხულზე ჩვენ ყრილობის ჩატარებას ვგეგმავთ და დარწმუნებულნი ვარ, რომ ამ დროისთვის ედპ უკვე სულ სხვა სახით წარდგება ქართული საზოგადოების წინაშე," – განაცხადა ირაკლი ქადაგიშვილმა.

განცხადებაში, რომელიც გუშინ გავრცელდა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მოუწოდებს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, უმოკლეს ვადაში დაიწყოს დიალოგი საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხებზე. ედპ-ს აზრით, ყველაზე ოპტიმალური მოდელი კონსტიტუციური მონარქიაა.

მოკლედ

დღეს "იმელთან" ნადარეიშვილის გადადგომის მოთხოვნით მორიგ მიტინგს გამართავენ

აფხაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციათა გაერთიანებული საბჭო, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის გადადგომის მოთხოვნით, დღეს საკონსტიტუციო სასამართლოს წინ მორიგ მიტინგს გამართავს. აფხაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციათა გაერთიანებული საბჭო მოუწოდებს დევნილებს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ დღეისთვის დაგეგმილ საპროტესტო აქციაში. საბჭოს წევრთა განცხადებით, მათ კარგად ესმით ქვეყანაში შექმნილი რთული ვითარება და არ სურთ, კიდევ უფრო დაძაბონ სიტუაცია რუსთაველის გამზირზე, რის გამოც ისინი უარს ამბობენ პროტესტის უკიდურესი ფორმით – შიმშილობით გამოხატვაზე და, დღეს დაგეგმილი აქციის გარდა, ნადარეიშვილის გადადგომის მოთხოვნით, დევნილთა შორის ხელმოწერების შეგროვებით დაკმაყოფილდებიან. **ინტერ-პრესი**

ორი სიტყვით

გორი. ცხინვალში დისლოცირებულ შერეულ სამშვიდობო ძალებში გუშინ დაგეგმილი მორიგი ოთხმხრივი შეხვედრა ჩაიშალა. ამის მიზეზად სამშვიდობო ძალების სარდლის მოვალეობის შემსრულებელმა სვიატოსლავ ნადზოროვმა მხარეების ბატალიონების მეთაურებს ცხინვალში რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისთვის მზადება დაუსახელა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. პარლამენტის წევრები - ირაკლი გოგავა და ზვიად მუკბანიანი 30 ნოემბრის პარლამენტის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების ლეგიტიმურობის საკითხის გასარკვევად სარჩელის შეტანას სასამართლოში აპირებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს საფონდო ბირჟაზე გუშინ სავაჭროდ წარდგენილი 9 კომპანიის აქციებიდან მხოლოდ ორის აქციები გაიყიდა.

როგორც "ინტერ-პრესს" საქართველოს საფონდო ბირჟაზე განუცხადეს, გაიყიდა "საქართველოს სახალხო ბანკის" და "საქსაშენმეცნიერების" აქციები, რომელთა საერთო მოცულობამ - 3278 ცალი, ღირებულებამ კი 1118 ლარი შეადგინა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისში მიმდინარე საბინაო მშენებლობით უცხოელი ინვესტორები დაინტერესდნენ, თუმცა ინვესტიციების ჩადებას ისინი ჯერჯერობით არ ჩქარობენ.

როგორც "ინტერ-პრესს" არქიტექტურის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა ირაკლი როსტომაშვილმა განუცხადა, მოლაპარაკებები ებრაელ და რუს ინვესტორებთან 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებამდე დაიწყო. არქიტექტურის სამსახურმა მათ მშენებლობებისთვის ტერიტორიები მტკვრის მარცხენა სანაპიროზე შესთავაზა, თუმცა ქვეყანაში პოლიტიკური ვითარების დაძაბვის გამო მოლაპარაკებები დროებით შეჩერდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თელავი გუშინ სოფელ ქისტაურის მოსახლეობამ თელავი-ახმეტის საავტომობილო გზა გადაკეტა ელექტროენერგიის მოთხოვნით. მოსახლეობის განცხადებით, სოფელს ელექტროენერგია არათუ გრაფიკით, ზოგჯერ რამდენიმე კვირის განმავლობაშიც არ მიეწოდება. გუშინდელი საპროტესტო აქცია ოთხი საათის განმავლობაში გრძელდებოდა. მომიტინგეებთან მოლაპარაკებას ცდილობდა ახმეტის რაიონისა და კახეთის ენერგოდისტრიბუციის ხელმძღვანელობა. მოჭრილი ხით გადახერგილი გზა მოსახლეობამ მხოლოდ მას შემდეგ გახსნა, რაც ელექტროენერგიის გრაფიკით მიწოდების დაპირება მიიღო. ამ დაპირების შეუსრულებლობის შემთხვევაში ქისტაურის მოსახლეობა უფრო ფართომასშტაბიანი აქციის გამართვით იმუქრება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს ეროვნული ბანკის სანაბაკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველოს ინფორმაციით, 2003 წლის 1 ნოემბრისათვის კომერციული ბანკების კაპიტალი 41,7 მილიონი ლარით იყო გაზრდილი. 2003 წლის ოქტომბრის ბოლოსთვის ჩვეულებრივი აქციების ნაშთი 315 247 ლარით გაიზარდა. ამასთან, გაუნაწილებელი მოგების მოცულობამ 34,4 მლნ ლარით მოიმატა. კომერციული ბანკების სააქციო კაპიტალის მოცულობის მატება მეტწილად გაუნაწილებელი მოგების გაზრდას უკავშირდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. გარე განათების ქართულ-გერმანული საწარმოს მშენებლობა ქვეყანაში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარების გამო, ჯერჯერობით, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ამის შესახებ გუშინ გარე განათების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ვლადიმერ კვიჭიძემ განაცხადა. მისი თქმით, გერმანული მხარე ამ ეტაპზე თანამშრომლობისგან თავს იკავებს, თუმცა მოლაპარაკებები გრძელდება და ქვეყანაში პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციისთანავე მხარეები კონკრეტულ წინადადებებზე იმსჯელებენ. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულუაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

მთავარი კონკურენტები - დრო და საქართველოს მტრები

ჰირველი გვერდიდან

"სიმბოლურია, რომ ჩვენი მოკრძალებული ცერემონია შედგა დარბაზში, სადაც 1918 წელს პირველი დამოუკიდებელი ქართული რესპუბლიკა გამოცხადდა. სიმბოლურია ისიც, რომ პირველი რესპუბლიკა გამოცხადდა 17 საათსა და 10 წუთზე და ჩვენი ვარდებით შესვლაც პარლამენტში განხორციელდა სწორედ 17 საათსა და 10 წუთზე. ჩემთვის ძალიან სიმბოლურია, რომ პარლამენტში ჩვენ შევედით წმინდა მიხეილის ხსენების დღეს, ხოლო რევოლუციის გამარჯვება გიორგობის დღესასწაულზე გამოცხადდა. სიმბოლურია, რომ ახალი პრეზიდენტის ინაუგურაცია ემთხვევა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის დაბადების დღეს. ეს არის საჩუქარი, რომელიც მას მოუმზადა ქართველმა ხალხმა," – ეს გამოთვლები პროფესიონალ სიმბოლისტს კი არა, პრეზიდენტობის ყველაზე რეალურ კანდიდატს მიხეილ სააკაშვილს ეკუთვნის.

გუშინდელი ცერემონია მოქმედმა პრეზიდენტმა ნინო ბურჯანაძემ გახსნა, რომელმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ გაერთიანებული ოპოზიციის მიერ შერჩეული პრეზიდენტობის კანდიდატი **"მნიშვნელოვანი წარმატების გარანტია"**. ქალბატონმა პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ სააკაშვილის გამარჯვებაში ეჭვი არ ეპარება და ერთ დროს საერთო საქმისთვის გაერთიანებული ოპოზიცია ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგაც ერთიანი და ერთსულოვანია.

მოქმედ პრეზიდენტს მიკროფონთან მომავალი პრეზიდენტი შეენაცვლა, რომელმაც საპრეზიდენტო არჩევნებზე თავის მთავარ კონკურენტად დრო და ის ხალხი გამოაცხადა, **"ვინც საქართველოს აფეთქებას ცდილობს"**. სააკაშვილი სახელმწიფო ტელევიზიასთან მომხდარ აფეთქებასაც გამოეხმაურა: **"თუ ეს ყველაფერი გაგრძელდება, მაშინ - ფრთხილად! ჩვენ გამოვავლენთ ამ ხალხს და უმკაცრესად გავუსწორდებით ყველას, ვინც საქართველოს აფეთქებას აპირებს. ჩვენ მათი ასაფეთქებელი სამშობლო არა გვაქვს. ნებისმიერი, ვინც ეცდება საპრეზიდენტო არჩევნების ვადის გადაწევას, საქართველოში დესტაბილიზაციის მომხრეა."**

შემდეგ დამსწრე საზოგადოებას ამჟამინდელი სახელმწიფო მინისტრი და მომავალი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია მიესალმა, რომელიც გუშინ ახალ ამპლუაში წარდგა – იგი სააკაშვილის საარჩევნო შტაბს უხელმძღვანელებს და მის გაპრეზიდენტებას **"დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნების"** შედეგად უზრუნველყოფს. ერთ დროს შევარდნაძის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი ჟვანია ხუმრობს, რომ ამ საქმეში დიდ გამოცდილება აქვს. თუმცა, მისი თქმით, მომავალი არჩევნები მას უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს. **"დღეს საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია სწორი არჩევანი, დღეს საქართველოს მომავალი წყდება,"** – აცხადებს ჟვანია.

ბატონი სახელმწიფო მინისტრი გვპირდება, რომ 4 იანვარს საქართველოს უკლებლივ ყველა საარჩევნო ასაკის მქონე მოქალაქეს საშუალება ექნება, საარჩევნო ურნასთან მივიდეს და საკუთარი პოზიცია დააფიქსიროს. ჟვანია აცხადებს, რომ არცერთი გუბერნატორი, გამგებელი და მინისტრი ტერიტორიული და უწყებრივი ნიშნით საარჩევნო შტაბს არ შექმნის. მისი თქმით, წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, არსებული მთავრობა სახელმწიფო საბიუჯეტო ორგანიზაციის თანამშრომლებს არ წაართმევს პასპორტებსა და პირადობის მოწმობებს და **"არ დაიწყებს ჯოხის ქნევას და დაძალებას, რომ საბიუჯეტო სამსახურების წარმომადგენლები ვალდებულნი არიან, ხმა მისცენ სააკაშვილს."** ბატონი ჟვანია დარწმუნებულია, რომ საქართველოში უფრო მეტი "ემოციური ქართველი" ცხოვრობს, ვიდრე ამჟამად საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულ ადამიანთა რიცხვია.

ჟვანიას დანიშვნა საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელად, "ვარდების რევოლუციის" წინამძღოლთათვის პოლიტიკური მნიშვნელობის აქტიცაა, რომელმაც ბოლო უნდა მოუღოს მათ რიგებში არსებულ განხეთქილებაზე საუბრებს.

"პროფესიონალმა რევოლუციონერმა" ელდარ შენგელაიამ ყველას ურჩია, **"ასპარეზი დაუთმონ მიხეილ სააკაშვილს"**.

რამაზ ჩხიკვაძემ ამერიკის ახოვანი პრეზიდენტი რეიგანი გაიხსენა და საკუთარი დიდი ხნის ფარული ნატვრაც გაამჟღავნა: **"დიდი ხანია ვნატრობდი, ჩვენთანაც გამოჩნდეს ასეთი ახოვანი, ლამაზი, მხნე, წარმოსადეგი, ნიჭიერი, განათლებული, ახალგაზრდა კაცი და აი, ისიც,"** – "რიჩარდ მესამემ" თითი მიხეილ სააკაშვილისკენ გაიშვირა, რომელიც ამ სიტყვებს ბედნიერი, ამერიკული ღიმილით ისმენდა.

კონკრეტულად, როგორ წარიმართება სააკაშვილის საარჩევნო კამპანია, ჯერჯერობით, უცნობია. როგორც ჩანს, ყველაფერი მართლაც დროზე, "საქართველოს აფეთქების მოსურნე ხალხზე", საარჩევნო შტაბის უფროს ზურაბ ჟვანიაზე და, რაც მთავარია, "ემოციური ქართველების" აქტიურობაზეა დამოკიდებული.

პრეზიდენტ ბუშის დავალება - დავეხმაროთ საქართველოს

ჰირველი გვერდიდან

ლინ პასკო: "აშშ-ს სახელმწიფო ადმინისტრაციის წარმომადგენლების ვიზიტი საქართველოში უფრო ხშირი უნდა იყოს".

ამერიკელებმა უკვე გადაიანგარიშეს, რომ ამ თანხით ისინი ჩვენს ქვეყნაში 4000 ოჯახს დაუფარავენ გათბობის საფასურს. გარდა ამისა, ამერიკელი სტუმრები განსაკუთრებით გაჭირვებული ოჯახების დასახმარებლად საკვები პროდუქტების გამოგზავნასაც ვარაუდობენ.

დახმარება მართლაც "ციურ მანანასავით" დაეცა თავს ჩვენს ხელისუფლებას, მაგრამ ამ დახმარების მიღებას ისინი გარკვეულწილად ვარაუდობდნენ და ამის შესახებ რევოლუციის მეორე-მესამე დღეს აცხადებდნენ კიდეც. პასკო გვპირდება, რომ ამერიკა უახლოეს მომავალში საქართველოს დააკვირდება. ახალმიღებული ინფორმაციას კი ამერიკელები საქართველოში კონკრეტული პროგრამების გასაფართოებლად გამოიყენებენ. თუმცა, არჩევნების ჩასატარებლად, პასკოს შეფასებით, **"მაასტრიხტში საქართველოს იმაზე მეტი მისცეს და დაჰპირდნენ, ვიდრე რეალურად სჭირდებოდა."** რა გარანტია აქვს ამერიკას, რომ ახალი ხელისუფლება მის მიერ გამოყოფილ თანხებს მიზნობრივად განკარგავს? - ეკითხებოდნენ გუშინ ამერიკელ სტუმრებს ქართველი ჟურნალისტები. **"ჩვენ ვამაყობთ იმ ჰუმანიტარული დახმარებით, რაც საქართველოს გავუწიეთ. არ არსებობს პრობლემა, რომლის მოგვარებაც არ შეიძლებოდეს,"** - უპასუხა პასკომ, რომელსაც, საკუთარი აღიარებით, ოპტიმიზმის საფუძველს საქართველოს ხელისუფლებასთან გამართული შეხვედრები აძლევდა.

ახალი ხელისუფლების პარალელურად, პასკოს ამ ვიზიტის დროს არც გადამდგარი პრეზიდენტის მონახულება დავიწყებია. ოფიციალური ვაშინგტონი შევარდნაძეს კვლავაც **"დიდი მნიშვნელობის პოლიტიკურ ფიგურად მიიჩნევს, რომელმაც საქართველო-ამერიკის ურთიერთობის განვითარებისთვის ბევრი გააკეთა."**

ამ ურთიერთობას კი უთუოდ აშშ-ს თავდაცვის მინისტრის დღევანდელი ვიზიტიც წაადგება. პასკო ამ ვიზიტს უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. **"აშშ-ს სახელმწიფო ადმინისტრაციის წარმომადგენლების ვიზიტი საქართველოში უფრო ხშირი უნდა იყოს, კონკრეტულ სამხედრო საკითხებზე კი რამსფელდი თავად გესაუბრებათ,"** – გვიკონკრეტებდა პასკო. სამთავრობო დელეგაციის წარმომადგენელი არ მალავდა, რომ რამსფელდისთვის განსაკუთრებული ინტერესის საგანი, სხვა საკითხებთან ერთად, "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამა იქნება.

უშიშროების საბჭო ყოველდღე შეიკრიბება

ჰირველი გვერდიდან

სხვა საკითხებზე სასაუბროდ ჟურნალისტები უშიშროების საბჭოში დაგეგმილ ბრიფინგს დაელოდნენ, რომელსაც, დავით თევზაძის გარდა, ყველა ძალოვანი უწყების პირველი პირი დაესწრო. ბრიფინგი გახსნა სახელმწიფო საინფორმაციო სამსახურის უფროსმა გიორგი არველაძემ, რომელმაც საბჭოს მუშაობის სიახლეებზე ისაუბრა.

გიორგი არველაძე: **"ამიერიდან ძალოვანი უწყებები ეროვნულ უშიშროების საბჭოში თათბირებს, ალბათ, ყოველდღიურად გამართავენ. ეს უწყებები გადადიან მუშაობის კოორდინირებულ, გუნდურ პრინციპზე, რაც გულისხმობს ოპერატიული ინფორმაციების გაცვლას, შეჯერებას, ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვას."**

პრეორიტეტულ მიმართულებებზე ისაუბრა უშიშროების საბჭოს მდივანმა ჯემალ გახოკიძემ: **"ჩვენი აქცენტები ძირითადად ორ მიმართულებაზე გაკეთდება - საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა და კონკრეტულ დანაშაულებთან ბრძოლა. სიტუაციის ნორმალიზებისთვის რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება გამოვყავით. წინა პლანზე წამოვწიეთ წესრიგი დედაქალაქში. ახლა ეს არის ყველაზე მთავარი. პირველ ხანებში ყოველდღე შევიკრიბებით. დღის სიტუაციას განვიხილავთ და კონკრეტულ ამოცანებს დავსახავთ. გარკვეული პასუხისმგებლობის მექანიზმებსაც ავამუშავებთ."**

უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ მოსახლეობა კიდევ ერთხელ დაამშვიდა და მისი მხრიდან ყურადღების გამახვილებაც მოითხოვა: **"გვაქვს კარგი შედეგი – 200 კგ ტროტილი. შეგახსენებთ, რომ ტელევიზიასთან აფეთქების დროს გამოყენებული იყო 200 გრამი. გარკვეული პანიკა არსებობს, მაგრამ ეს გადაივლის, რადგან კონკრეტული მოქმედებების შედეგად საფრთხე ნეიტრალიზებული იქნება.**

რაც შეეხება გამოძიებას, იმედი გვაქვს, რომ რაღაცას მოვახერხებთ ორივე საქმესთან დაკავშირებით.

დამატებით მინდა ყურადღება პრევენციულ ღონისძიებებს მივაქციოთ. ამ დღეებში გვინდა გარკვეული ბუკლეტების დარიგება, რათა არ იყოს პანიკა და ჩვენმა მოსახლეობამ ყურადღება მიაქციოს საეჭვო სიტუაციებს."

შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი ბარამიძემ კი მუშაობის ახალ სტილზეც ისაუბრა: **"ნურავის ექნება იმის იმედი, რომ სახელმწიფო განიცდის სირთულეებს და ამის გამო, ჩადენილი დანაშაული დაუსჯელი დარჩება. დღეს თუ ხვალ ყველა დანაშაული გაიხსნება.**

ყველამ იცოდეს, რომ ჩვენ ვმოქმედებთ ერთიანად, შეთანხმებულად და ყველა დამნაშავე საკადრის პასუხს მიიღებს.

დღეიდან ცნობილი პიკეტების ნაცვლად, თბილისში გადავდივართ ქალაქის პატრულირების რეჟიმზე. პრობლემების მიუხედავად ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მოსახლეობამ თავი დაცულად იგრძნოს და დაინახოს, რომ ხელისუფლება მოქმედებს."

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
JOINT-STOCK COMPANY

საქართველოს ბანკი, დაარსებიდან 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით,
აცხადებს კონკურსს
საიმიჯო ვიდეორგოლის ან ვიდეორგოლების სერიების სცენარზე.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ დამოუკიდებელ პროფესიონალებს, სარეკლამო კომპანიებს, კინო-ვიდეოსტუდიებს და საპროდუსერო ორგანიზაციებს.

გამარჯვებული წინადადებებისათვის დაწესებულია:

1. პირველი პრემია - 1000 ლარი
2. მეორე პრემია - 500 ლარი
3. მესამე პრემია - 300 ლარი

წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 2 თებერვალი.

განაცხადები შემოტანილი უნდა იქნას დევიზით მისამართზე: ქ. თბილისი, კუშკინის ქ. №3. ტელ. 444-248; ელ.ფოსტა concurs@bog.ge

ცესკო-ს ახალი თავმჯდომარის ახალი ინიციატივა

მორიგ არჩევნებს საქართველო, როგორც წესი, ამომრჩეველთა აბსოლუტურად მოუწესრიგებელი მონაცემებით ხვდება. ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ის სიები, რომლითაც ორი ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები გაიმართა, აბსოლუტურად გამოუსადეგარია. თუმცა, როგორც ირკვევა, ქვეყანაში ვერ მოინახა ის საწყისი ბაზა, რომელიც ახალი, მეტ-ნაკლებად სრული სიების მომზადებას დაედება საფუძვლად. სამწუხაროდ, დღემდე სახელმწიფო მანქანა ამომრჩეველთა იმ მონაცემებს აცხადებდა რეალურად, რომელიც მას ამომრჩეველთა სიებით მანიპულირების შესაძლებლობას მისცემდა.

თამარ მჭედლიშვილი

"24 საათი" არაერთგზის წერდა ქვეყანაში ამ თვალსაზრისით შექმნილ ვითარებაზე. წლიდან წლამდე ქვეყანაში არ იცვლებოდა საერთო ფონი - არ არსებობდა არც ერთი ოფიციალური სტრუქტურა, რომელიც შეძლებდა, მიახლოებით მაინც დაესახელებინა ამომრჩეველთა საერთო რიცხვი. მეტიც: სამწუხაროდ, დღემდე ისიც უცნობია, რამდენი ადამიანი ცხოვრობს ქვეყანაში.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჭიაბერაშვილი ამომრჩეველთა მონაცემების დადგენას საკმაოდ მკვეთრი ნაბიჯით იწყებს. როგორც გუშინ გაირკვა, იგი უარს ამბობს იმ მონაცემებზე, რომელსაც ორი ნოემბრის არჩევნების წინ ცენტრალური საარჩევნო კომისია ფლობდა. იგი არ აპირებს, ე.წ. საპარსპორტო მაგიდების მონაცემებს დაეყრდნოს.

მისი აზრით, საჭიროა სრულიად ახალი მექანიზმის გამონახვა.

როგორც ზურაბ ჭიაბერაშვილი აცხადებს, ეს მექანიზმი ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაციაა.

სხვათა შორის, ჯერ კიდევ ზაფხულში, როდესაც საქართველოს პარლამენტი საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებს იხილავდა, ამ წინადადებით პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფის რამდენიმე წევრი გამოვიდა, თუმცა მაშინ ამ ინიციატივას სერიოზული გამოხმაურება არ მოჰყოლია – დეპუტატთა კორპუსის ინტერესს, ძირითადად, საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების წესი იწვევდა.

დღეს წინასწარი რეგისტრაციის აუცილებლობაზე საუბარს უკვე ცენტრალური საარჩევნო კომისიის ახალი თავმჯდომარე იწყებს. მისი თქმით, **"ერთიანი სიის ფორმირების პრობლემა კვლავ დგას ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინაშე. შესაბამის სახელმწიფო უწყებათა კონსულტაციების შედეგად გაირკვა, რომ არ არსებობს საქართველოს მოქალაქეთა შესახებ მონაცემთა სრულყოფილი ბაზა, რომელიც ცესკო-მ შეიძლება აიღოს საბაზისო 2004 წლის ოთხი იანვრის საარჩევნიდენტო არჩევნებისთვის ამომრჩეველთა ერთიანი სიის დასამტკიცებლად, ერთადერთი გამოსავალი ამ მონაცემთა დადგნის საქმეში ამომრჩეველთა აქტიურობაა, იმ ამომრჩევლისა, რომელმაც თავისი აქტიურობით აჩვენა მზადყოფნა, დახმარებოდა საარჩევნო ადმინისტრაციას".**

რაც შეეხება თავად ამ მონაცემების ფორმირების პრინციპებს:

ცესკო-ს თავჯდომარის თქმით, ამომრჩეველთა სიის ფორმირების მექანიზმებად გამოყენებული უნდა იყოს წინასწარი საარჩევნო რეგისტრაცია, არჩევნების დღეს ამომრჩეველთა სიაში არმყოფი პირებისთვის ხმის მიცემის უფლების უზრუნველყოფა.

წინასწარი რეგისტრაცია ითვალისწინებს საუბნო-საარჩევნო კომისიების შექმნას, რომელიც განახორციელებს მოქალაქეთა წინასწარ საარჩევნო რეგისტრაციას შინაგან საქმეთა რაიონულ სამმართველოებთან ერთად. ამასთან, უნდა გამოქვეყნდეს საარჩევნო უბნების საზღვრები. ამომრჩეველმა უნდა მიაკითხოს შესაბამის საუბნო-საარჩევნო კომისიას, შეავსოს სპეციალური ფორმა, სადაც მიუთითებს კანონით გათვალისწინებულ ყველა რეკვიზიტს. მოგვიანებით, ამ მონაცემებს უკვე გადაამოწმებს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი რაიონული სამმართველო.

სხვათა შორის, როგორც გუშინ ზურაბ ჭიაბერაშვილმა განაცხადა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს ყველა მოქალაქე არჩევნებამდე ვერ მოახერხებს ამ აუცილებელი პროცედურის გავლას. აქედან გამომდინარე, ცესკო-ს თავმჯდომარე აცხადებს, რომ არჩევნების დღეს ასეთ ამომრჩეველს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება მიენიჭება.

"სპეციალური პროცედურები უნდა შემუშავდეს საქართველოს იმ მოქალაქეებისათვის, რომლებიც იმყოფებიან საავადმყოფოებში, წინასწარი დაკავების საკნებში, სამხედრო სამსახურში, საზღვარგარეთ", – ამბობს ზურაბ ჭიაბერაშვილი.

იგი იმედოვნებს, რომ ამ ინიციატივას გამოეხმაურებიან როგორც პარლამენტარები, ასევე მთელი პოლიტიკური სპექტრი.

დაბოლოს: გუშინ, დღის პირველ ნახევარში, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწეს ლინ პასკოს შეხვდა. შეხვედრაზე, რომელიც ნახევარ საათს გაგრძელდა, შეერთებული შტატების ოთხკაციანი დელეგაცია გაეცნო ცენტრალური საარჩევნო კომისიის სტრუქტურასა და საარჩევნო ადმინისტრაციის მოწყობის პრინციპს. განიხილეს ცესკო-ს წინაშე არსებული პრობლემები; მათ შორის - ამომრჩეველთა სიების მომზადებასთან, არჩევნების ადმინისტრირებასთან, საარჩევნო პროცესისა და არჩევნების შედეგების დათვლის პროცესის მაქსიმალურ გამჭვირვალობასთან დაკავშირებული საკითხები.

შეხვედრის დასასრულს ლინ პასკომ დადებითად შეაფასა ცენტრალური საარჩევნო კომისიის საქმიანობა და იმედი გამოთქვა, რომ 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნები მინიმალური ხარვეზებით გაიმართება.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განცხადება

ამომრჩეველთა სიების გაუმართაობა 2003 წლის 2 ნოემბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნების კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ჩატარების ერთ-ერთ ძირითად დამაბრკოლებელ ფაქტორად იქცა. ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების პრობლემა კვლავ დგას საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინაშე, როგორც პირველი რიგის ამოცანა.

შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან კონსულტაციების შედეგად გაირკვა, რომ არ არსებობს საქართველოს მოქალაქეთა შესახებ მონაცემთა სრულყოფილი ბაზა, რომელსაც შეიძლება დაეყრდნოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, როგორც საბაზისო 2004 წლის 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის ამომრჩეველთა ერთიანი სიის მოსამზადებლად. მხედველობაშია მისაღები, რომ დროის ამ შეზღუდულ მონაკვეთში ყველა იმ ტექნიკური სამუშაოს შესრულება, რაც საქართველოს მოქალაქეთა შესახებ სახელმწიფო უწყებების ხელთ არსებულ მონაცემთა ბაზებს სრულყოფილ სახეს მისცემდა, შეუძლებელია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმაჩნია, დავეყრდნოთ თავად ქართველ ამომრჩეველს, რომელმაც 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებისათვის ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების პროცესში თავისი აქტიურობით აჩვენა მზაობა, დახმარებოდა საარჩევნო ადმინისტრაციას.

ამომრჩეველთა სიის ფორმირების მექანიზმებად უნდა გამოვიყენოთ:

წინასწარი საარჩევნო რეგისტრაცია;

არჩევნების დღეს ამომრჩეველთა სიაში არმყოფი პირებისათვის ხმის მიცემის უფლების უზრუნველყოფა.

წინასწარი რეგისტრაცია ნიშნავს შემდეგი ღონისძიებების გატარებას:

- იქმნება საუბნო საარჩევნო კომისიები, რომლებიც ახორციელებენ საქართველოს მოქალაქეთა წინასწარ საარჩევნო რეგისტრაციას შინაგან საქმეთა რაიონულ სამმართველოებთან ერთად;

- ქვეყნდება საარჩევნო უბნების საზღვრები და საქართველოს მოქალაქემ იცის, საქართველოს მოქალაქის რეგისტრაციის მოწმობაში ან საბჭოთა პასპორტში მითითებული საცხოვრებელი მისამართის მიხედვით, სად და რომელ საუბნო საარჩევნო კომისიას უნდა მიაკითხოს წინასწარი საარჩევნო რეგისტრაციისათვის;

- ქვეყნდება ვადები, როდესაც საქართველოს მოქალაქეს შეუძლია შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას მიაკითხოს წინასწარი საარჩევნო რეგისტრაციისათვის;

- საარჩევნო უბანზე მისული საქართველოს მოქალაქე ავსებს სპეციალურ ფორმას, რომელშიც უთითებს საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულ ყველა რეკვიზიტს. ფორმას ხელმოწერით ადასტურებს თავად საქართველოს მოქალაქე და საუბნო საარჩევნო კომისიის პასუხისმგებელი პირი, რომელიც იბარებს ამ ფორმას, შეჰყავს საქართველოს მოქალაქე ამომრჩეველთა საუბნო ხელნაწერ სიაში და თავად ამომრჩეველს აძლევს ამომრჩევლის მოწმობას, რომელსაც ამომრჩეველი 2004 წლის 4 იანვარს წარადგენს იმავე საუბნო საარჩევნო კომისიაში, საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა დოკუმენტებთან ერთად;

- ამომრჩეველთა საუბნო ხელნაწერ სიაში შესულ საქართველოს მოქალაქეთა მონაცემთა სისწორეს ამოწმებს და ადასტურებს შინაგან საქმეთა შესაბამისი რაიონული სამმართველო;

- 2004 წლის 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებზე ყველა საარჩევნო უბანზე იქნება ამომრჩეველთა საუბნო ხელნაწერი სია, დადასტურებული საუბნო კომისიის თავმჯდომარის, მდივნისა და შინაგან საქმეთა შესაბამისი რაიონული სამმართველოს პასუხისმგებელი პირის მიერ.

გასათვალისწინებელია, რომ სხვადასხვა მიზეზთა გამო საქართველოს ყველა მოქალაქე ვერ გაივლის წინასწარ საარჩევნო რეგისტრაციას. ამიტომ არჩევნების დღეს გათვალისწინებული იქნება პროცედურა, რათა არ დაირღვეს საარჩევნო უბანზე მისული საქართველოს ნებისმიერი მოქალაქის კონსტიტუციური უფლება - მისცეს ხმა და გამოხატოს თავისი ნება.

სპეციალური პროცედურები უნდა შემუშავდეს საქართველოს იმ მოქალაქეთათვის, რომლებიც იმყოფებიან სამედიცინო-სტაციონარულ დაწესებულებებში, წინასწარი დაკავების იზოლატორებში, სამხედრო სამსახურში, ნაოსნობაში, საზღვარგარეთ.

როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ვიმედოვნებ, რომ საქართველოს მოქალაქეები, საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, საქართველოს პარლამენტი, შესაბამისი უწყებები და პოლიტიკური ძალები გაითვალისწინებენ ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების საკითხში შექმნილ სიძნელეებს და გამოეხმაურებიან ჩემს წინადადებას, 2004 წლის 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებზე ამომრჩეველთა სიის ფორმირებისთვის გამოვიყენოთ ზემოაღნიშნული მექანიზმები.

"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი" კვლავ "თავდასხმის" ობიექტია

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებმა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი რაუნდი წამოიწყეს. ეს რაუნდი წინ უძღვის საფინანსო სტრუქტურებთან ნავთობსადენის დაფინანსების თაობაზე ხელშეკრულებების გაფორმებას, რაც, სავარაუდოდ, 15 დეკემბრისთვის არის დაგეგმილი. გუშინ გავრცელდა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ბრიტანეთის კომერციულმა ბანკმა "ბარკლეისმა" და ამერიკულმა ბანკმა "სიტი გრუპმა" ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დაფინანსებაზე უარი განაცხადეს. ამის შესახებ განაცხადა ბრიტანეთის არასამთავრობო გარემოსდაცვითი ორგანიზაციის - "პლატფორმის" ხელმძღვანელმა გრეგ მუტიტმა.

თამარ ხორბალაძე

კომერციული ბანკების აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ინფორმაციას გუშინ "ინტერ-პრესი" ავრცელებდა. ბრიტანული ბანკის "ბარკლეისის" მიერ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე იტყობინებოდნენ აზერბაიჯანული საინფორმაციო წყაროებიც და რეგიონული საინფორმაციო სააგენტო "ევრაზიანეტი" იმავე წყაროზე - არასამთავრობო ორგანიზაცია "პლატფორმაზე" დაყრდნობით.

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი "ინტერ-პრესთან" საუბარში აღნიშნავდა, რომ **"ნავთობსადენის მშენებლობა ეწინააღმდეგება "ეკვატორის პრინციპებს."**

"ამ მშენებლობის შედეგად მნიშვნელოვნად დაბინძურდება გარემო და, გარდა ამისა, დაირღვევა ადამიანთა უფლებები. ჩვენ არ ვეწინააღმდეგებით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობას, მაგრამ ვაცხადებთ, რომ ის უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს და "ეკვატორის პრინციპებს," - განაცხადა მუტიტმა.

"ეკვატორის პრინციპების" თანახმად, ბანკები სესხების გაცემის თაობაზე გადაწყვეტილებას მხოლოდ იმ პროექტებზე იღებენ, რომელთა ორგანიზატორებსაც შესწევთ უნარი, იმოქმედონ სოციალური ნორმების და გარემოს დაცვის პრინციპებით.

გრეგ მუტიტის ინფორმაციით, ნავთობსადენის დასაფინანსებლად განაცხადები შეტანილია გერმანულ ბანკ "ეი ბი ენ ამროში," საფრანგეთის "ჯენერალ სოსაიეტში" და იაპონიის "მიზუჰოში."

როგორც მუტიტმა აღნიშნა, "პლატფორმა" და სხვა არასამთავრობო გარემოსდაცვითი ორგანიზაციები ყველანაირად შეეცდებიან აღნიშნულ ბანკებზე ზეგავლენის მოხდენას, რათა არ იქნეს გაცემული ნავთობსადენის მშენებლობაზე სესხები.

თავისთავად, არასამთავრობო ორგანიზაციების მსგავსი განწყობა ახალი არ არის. თუმცა აღნიშნული კომენტარის დღეს გავრცელება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახლავთ საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ ფონზე. ამასთან, სულ ორი დღეა გასული მას შემდეგ, რაც ბრიტანელმა გაზეთმა "გარდიანმა" გამოაქვეყნა სტატია რუსეთის მიერ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის წინააღმდეგ დაგეგმილ ახალ აქტებზე, რომელშიც წამყვანი როლი შეიძლება ითამაშონ ჩეჩენმა ტერორისტებმა და ეკოლოგიური პროფილის აქტივისტებმა. შესაძლოა, პირდაპირი პარალელების გავლება ამ ინფორმაციებს შორის მიზანშეწონილი არც იყოს, თუმცა იმ ფაქტში, რომ ბოლო პერიოდში 30 პროცენტით უკვე "აშენებული" ნავთობსადენის წინააღმდეგ ბრძოლა დღეს განსაკუთრებით გაცხარდა, ჩრდილოელი მეზობლის პოლიტიკური ინტერესების "დალაგება" მაინც შეიძლება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გუშინ საქართველოს ხელისუფლებაში ინფორმაციას ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის დაფინანსებაში შექმნილ პრობლემებზე არ ფლობდნენ. არც საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია უკეთებდა კომენტარს ამერიკული და ბრიტანული ბანკების მიერ პროექტისთვის სესხის გამოყოფაზე გამოცხადებულ უარს. "საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციაში" კი აღნიშნული ფაქტის კომენტარზე უარი იმ მოტივით განაცხადეს, რომ პასუხისმგებელი პირები ადგილზე არ იმყოფებოდნენ.

შეგახსენებთ, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის ღირებულება 2,95 მილიარდ დოლარს შეადგენს. თანხის 30 პროცენტს პარტნიორები იხდიან, 70 პროცენტი კი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან უნდა იქნას მოზიდული. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა 500 მლნ. დოლარი უკვე გამოყვეს; კერძოდ: გრუ კომპანიისთვის კრედიტის გამოყოფაზე თანხმობა უკვე განაცხადეს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ (125 მლნ დოლარი), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (125 მლნ დოლარი), ნავთობკომპანიის მშენებლობას ასევე აფინანსებს თავად ბრიტანული კომპანია BP (500 მილიონ დოლარამდე) და ნორვეგიული Statoil (170 მილონ დოლარამდე). აზერბაიჯანული სააგენტო "ტრენდის" ცნობით, აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკორპორაციის ხელმძღვანელის ნატიკ ალიევის თქმით, კრედიტები წლიურად 7-8- პროცენტიანი იქნება.

გავრცელებული ინფორმაცია, რომ ორი ბანკი უარს აცხადებს პროექტის დაფიანსებაზე, გუშინ, დილით, სიურპრიზი აღმოჩნდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის (BTC) თბილისის ოფისისთვისაც, სადაც ინფორმაცია სათაო ოფისში გადაამოწმეს და "24 საათს" განუცხადეს, რომ ნავთობსადენის პროექტის დაფინანსებას საფრთხე არ ემუქრება.

მათი განცხადებით, ბრიტანეთის კომერციულმა ბანკმა "ბარკლეისმა" და ამერიკულმა ბანკმა "სიტი გრუპმა" უარი პროექტის დაფინანსებაზე ჯერ კიდევ 2002 წლის მარტში თქვეს, ანუ მაშინ, როცა BP-მ თანხების მოძიებასთან დაკავშირებით კომერციულ ბანკებთან მოლაპარაკებები დაიწყო.

"რადგან ამ ბანკებმა პროექტით დაინტერესება იმთავითვე არ გამოთქვეს, ინვესტორმა შეხვედრები შემდგომში უკვე იმ კომერციულ ბანკებთან გააგრძელა, რომლებიც პროექტის დაფინანსებით დაინტერესდნენ და სესხის გამოყოფის თაობაზე თანხმობაც განაცხადეს", - ამბობენ BTC-ში. აქ ასევე აცხადებენ, რომ ორი ბანკის მიერ გამოთქმული უარი პროექტის განხორციელებას ხელს არ შეუშლის.

კომპანიაში განმარტავენ, რომ ბანკების უართან დაკავშირებით ინფორმაციის დღეს გაჟღერებას ლოგიკურ ახსნას ვერ უძებნიან, თუმცა ბოლო დღეებში ნავთობსადენის წინააღმდეგ გავრცელებული ინფორმაციების ფონზე, არც ამ თემის წამოჭრაა გასაკვირი.

აღნიშნულ ინფორმაციასთან დაკავშირებით გუშინ კომენტარი გააკეთა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილემ ლინ პასკომაც, რომელმაც აღნიშნა, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობასა და დაფინანსებასთან დაკავშირებით ყველაფერი ნორმის ფარგლებში მიმდინარეობს.

სხვათა შორის, აქვე შეგახსენებთ, რომ ნავთობსადენის მშენებლობისთვის მოსაძიებელია კიდევ 1,1 მილიარდი დოლარი, რომლის თაობაზეც BP კომერციულ ბანკებთან აგრძელებს მოლაპარაკებებს.

"თბილგაზი" თანადგომას ითხოვს და ურჩი გადამხდელების გათიშვებს გეგმავს

ნინო ნარჩემაშვილი

"თბილგაზის" ხელმძღვანელობა განმეორებითი თხოვნით მიმართავს თბილისის მოსახლეობას, დაფარონ მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულება. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიქმნება გარკვეული პრობლემები გენერალურ მომწოდებელ "გაზპრომთან", რომელიც პირნათლად ასრულებს ხელშეკრულების პირობებს და უკვე ორი თვეა, რაც უზრუნველყოფს დედაქალაქის უწყვეტ გაზმომარაგებას.

"თბილგაზის" ახალი მენეჯერები ურჩ გადამხდელებს ებრძვიან.

ლევან ხაჩაპურიძის ფოტო

ასეთი განცხადება გააკეთა "თბილგაზის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ გია ქაჯაიამ საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე. "თბილგაზის" ხელმძღვანელობა იმასაც აცხადებს, რომ **"ზამთრის პერიოდში, თბილისისათვის ბუნებრივი აირის შეწყვეტის საშიშროების თავიდან აცილების მიზნით, კომპანიის ტექნიკური სამსახური მიმართავს სპეციალურ ღონისძიებებს და გამორთავს იმ აბონენტებს, კორპუსებს თუ უბნებს, სადაც დიდია დავალიანება და დაბალია თანხის ამოღება."**

"თბილგაზის" გენერალური დირექტორის მოადგილის ლევან ფურცელაძის თქმით, **"აუცილებელია, მომხმარებელმა თუნდაც მიმდინარე დავალიანება დაფაროს, ხოლო ძველი ვალები შესაძლებელია გადანაწილდეს და ამით მომხმარებელს მათი ეტაპობრივად გადახდის საშუალება მიეცემა."**

"თბილგაზის" ხელმძღვანელობა ურჩ გადამხდელებს რამდენიმე დღეს კიდევ აძლევს, ხოლო 8 დეკემბრიდან ისანი-სამგორის, მთაწმინდა-კრწანისისა და გლდანი-ნაძალადევის რაიონებში ინდივიდუალურ გათიშვებს გეგმავს. აღსანიშნავია, რომ, უკანასკნელი მონაცემებით, "თბილგაზის" მიმართ მოსახლეობის დავალიანებამ ორი მილიონ 200 ათას ლარს მიაღწია. კომპანიამ ნოემბერში 34 მლნ. კუბური მეტრი ბუნებრივი აირი მოიხმარა, რომლის ღირებულებაც 15 დეკემბრამდე უნდა დაფაროს. "თბილგაზის" ახალმა მმართველებმა 15 ოქტომბრიდან 15 ნოემბრამდე მომხმარებლიდან 1 მლნ. დოლარის ამოღება შეძლეს, რაც, მათი თქმით, გასული თვეების მონაცემებთან შედარებით გაუმჯობესებული მაჩვენებელია. ლევან ფურცელაძე აცხადებს, რომ "თბილგაზი" ცდილობს ოქტომბერში მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასური "გაზექსპორტს" საკუთარი ძალებით გადაუხადოს. დედაქალაქში ბუნებრივი აირის საფასურის ამოღების დაბალი მაჩვენებლისა და მომწოდებელ კომპანიასთან ანგარიშსწორებაში არსებული პრობლემების მიუხედავად, "თბილგაზის" ადმინისტრაცია ირწმუნება, რომ კომპანიას "გაზპრომის" შვილობილი "გაზექსპორტის" წინაშე ვალის დაგროვების საშიშროება არ ემუქრება. მათივე თქმით, ურჩი მომხმარებლები დაისჯებიან და თბილისი ბუნებრივი აირის გარეშე არ დარჩება.

ზურაბ ნოღაიდელი დახმარებას ითხოვს

გუშინ საქართველოს ფინანსთა ახლად დანიშნული მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, გაერო-ს განვითარების საერთაშორისო პროგრამის ხელმძღვანელის ლანს კლარკის მხარდაჭერით, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და დონორი ორგანიზაციის წარმომადგენლებს შეხვდა.

როგორც ჟურნალისტებს შეხვედრის დასრულების შემდეგ კლარკმა განუცხადა, გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDF) ხელმძღვანელობა მზად არის, საქართველოში შექმნილი საფინანსო-საბიუჯეტო კრიზისის მოგვარება მაასტრიხტის შეხვედრის კონტექსტში განიხილოს.

"ფინანსთა მინისტრმა უნდა წარმოადგინოს პრიორიტეტები და საერთაშორისო საზოგადოება იმსჯელებს დახმარების გამოყოფის საკითხზე," - აღნიშნა მან.

ზურაბ ნოღაიდელმა კი პრიორიტეტად მიმდინარე წლის ბიუჯეტში პროგნოზირებული 140-მლნ.ლარიანი გარღვევის დაფარვა დაასახელა. **"ბიუჯეტი შეიძლება, 300 მლნ. ლარითაც გაირღვეს, მაგრამ ამ ოდენობის თანხის მიღებაზე არ ვფიქრობთ. მთავარია, საერთაშორისო საზოგადოება იმ დავალიანების დაფარვაში დაგვეხმაროს, რომელიც დაცულ მუხლებში წარმოიქმნება,"** - აღნიშნა მინისტრმა.

მაასტრიხტში (ნიდერლანდები) გამართულ ეუთო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ საერთაშორისო საზოგადოებისაგან საქართველოში შექმნილი საფინანსო-საბიუჯეტო კრიზისის დასაძლევად ფინანსური დახმარება ითხოვა. **მედია-ნიუსი**

რეცეპტები ენერგეტიკისთვის

პირველი გვერდიდან

მიუხედავად ამისა, "24 საათი" აგრძელებს ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული დარგის პრობლემების გახილვას. მით უმეტეს, რომ სექტორის მოწყობის თაობაზე საკუთარი მოსაზრებების მოწოდება ეკონომიკისა და ენერგეტიკის ესპერტებმა არ დაიზარეს.

ექსპერტები თანხმდებიან იმაზე, რომ საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის სტრუქტურა დღეს ყველაზე უფრო ახლოა იმ მოდელთან, რომელიც ენერგოსექტორის მომავალმა დონორებმა საქართველოს მთავრობასთან კონსულტაციების გზით დაგეგმეს. ვინაიდან ეს გეგმა თავიდან ბოლომდე გამჭვირვალე ურთიერთობებსა და ჯანსაღ კომერციულ მიზნებს ემყარებოდა, მან არ გაამართლა მმართველობის იმ მოდელის პირობებში, რომლითაც სექტორი ბოლო წლების მანძილზე იმართებოდა.

ამის გამო, დღის წესრიგში თავისთავად დადგა საკითხი: როგორ უნდა იმართოს ენერგეტიკა, თუ მინისტრთა კაბინეტის შექმნით, აღმასრულებელ ხელისუფლებაში ძირეული ცვლილება მოხდება?

არსებობს მოსაზრება, რომ, თუ სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო იარსებებს, დარგი ვერასოდეს მოახერხებს საბაზრო ურთიერთობებზე ბოლომდე გადასვლას. თუმცა, ექსპერტთა სხვა ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს სამინისტრო უნდა არსებობდეს, რადგან ენერგეტიკული საკითხები დღეს სოციალურ პრობლემებს განაპირობებენ და ამიტომ დარგს ძლიერი სახელმწიფო ზედამხედველი სჭირდება. ექსპერტები არც მესამე – "შუალედურ" ვარიანტს გამორიცხავენ, რომლის მიხედვითაც სექტორში, შესაძლოა, ჯერჯერობით არავითარი სტრუქტურული ცვლილება არ მოხდეს, სამომავლოდ კი ისევ რეფორმების გზით ვიაროთ და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ფუნქცია – ენერგოპოლიტიკის შემუშავება – ეკონომიკის სამინისტრომ შეითავსოს.

მოკლედ, იმ შემთხვევაში, თუ დარგში ჯერ კიდევ 1995 წელს დაგეგმილი რეფორმები გაგრძელდება, მაშინ სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს, რომელიც დღეს მხოლოდ ელექტრომომარაგების თაობაზე ინფორმაციის მიღება-გაცემით არის დაკავებული, საბოლოოდ გაუქმება ელის. თუ ენერგეტიკულმა პრობლემებმა (რაც, ძირითადად, დენისა თუ გაზის საფასურის არგადახდითაა განპირობებული) სოციალური უკმაყოფილების ტალღები გამოიწვია, მთავრობას, შესაძლოა, დარგის ცენტრალიზება მოუნდეს.

ეს ზოგადად, ახლა კი ვნახოთ, რას ამბობენ ექსპერტები და დარგის სპეციალისტები, რომლებსაც მივმართეთ შეკითხვით, თუ რომელ მოდელს ანიჭებენ უპირატესობას.

ეკონომიკურ საკითხთა ექსპერტი ლადო პაპავა:

"დარგის ცენტრალიზება და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს გაძლიერება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. თუ სამინისტრო გაძლიერდება, მასში ნავთობისა და გაზის საერთაშორისო კორპორაციები გაერთიანდებიან, ეს საბჭოური ტიპის ენერგეტიკის სამინისტროს აღდგენა და, ფაქტობრივად, მმართველობის სოციალისტური სისტემისკენ დაბრუნება იქნება. შეიძლება, ენერგეტიკის სამინისტრო ქვეყანამ ენერგეტიკული კრიზისის პირობებში დროებით შეინარჩუნოს. თუმცა, ენერგეტიკის სამინისტროს გაუქმება შეიძლება, თუ ეკონომიკის სამინისტრო შეითავსებს ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავების ფუნქციას, ხოლო სემეკ-ის როლი გაძლიერდება. თუ შეიქმნა მინისტრთა კაბინეტი და ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, რომელიც ეკონომიკურ პოლიტიკას შეიმუშავებს, მაშინ სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ადგილს ვერ ვხედავ."

საბითუმო ბაზრის გენერალური დირექტორის მოადგილე სოსო ნატროშვილი: **"ფაქტობრივად, უკვე 1996 წელს დაიწყო ის რეფორმები, რომელმაც სექტორში ვერტიკალურად ინტეგრირებული სისტემა შეცვალა და ჩამოაყალიბა პარალელური სტრუქტურები. მიმაჩნია, რომ ამ მიმართულებით სიარული უნდა განვაგრძოთ და ბოლომდე მივიყვანოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, აზრიც არ ჰქონდა ამ რეფორმების დაწყებას."**

სემეკის ყოფილი თავმჯდომარე ელიზბარ ერისთავი:

"დღეს ენერგეტიკა პრეზიდენტის განკარგულებებით და მინისტრის დირექტივებით რეგულირდება, რაც არასწორია. ენერგეტიკაზე პოლიტიკური და სოციალური ზეწოლაა. დარგი პოლიტიკური თამაშის საგანი გახდა. სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს გაძლიერება არღვევს იმ რეფორმების აზრს, რის მიხედვითაც ეს დარგი ვითარდებოდა. არადა, ენერგეტიკაში რეფორმებმა გაუსწრო ქვეყნის დანარჩენი ეკონომიკის განვითარებას. სწორედ ამიტომ წარმოიქმნა დარგზე პოლიტიკური ზეწოლა. მიმაჩნია, რომ დარგში განხორციელებული სტრუქტურული გარდაქმნები თეორიულად სწორი იყო. რამდენიმე წლის შემდეგ სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს გაუქმების საკითხიც უნდა დადგეს დღის წესრიგში. მაგრამ ახლა არა, რადგან დარგი ჯერჯერობით პოლიტიზებულია, აღმასრულებელ ხელისუფლებას კი სექტორზე ზემოქმედების მხოლოდ ეს ბერკეტი აქვს. ჯერჯერობით, ეს სამინისტრო გაზისა თუ ნავთობის სახელმწიფო კორპორაციების და ელექტროენერგეტიკის ზედამხედველი უნდა იყოს."

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე:

"სანამ ახალი მთავრობა არ ჩამოყალიბდება, ძნელია შეფასება. ერთი რამ ფაქტია – ენერგეტიკის სამინისტროს დღეს ფუნქცია არა აქვს. მისი ხელმძღვანელები, ფაქტობრივად, დარგში პრეზიდენტის რწმუნებულები იყვნენ, მეტი არაფერი. მათ ხელთ დარგის მართვის არავითარი ბერკეტი არ ჰქონდათ. ფაქტობრივად, ხდებოდა ენერგეტიკის რეგულირება, მაგრამ მართვა - ფორმალური იყო. არაა გამორიცხული, მინისტრთა კაბინეტის შექმნის შემთხვევაში ენერგეტიკული პოლიტიკა ეკონომიკის სამინისტრომ შეიმუშაოს და ტარიფიც მან აკონტროლოს. მაგრამ, ჯერჯერობით, სტრუქტურა, როგორიც არის, ისეთი უნდა დარჩეს. ჯერჯერობით უნდა არსებობდეს სემეკ-იც და სამინისტროც, უბრალოდ მათ დაკისრებული ფუნქციები უნდა შეასწორონ."

ინსტიტუტ "ჰიდროპროექტის" დირექტორი ანზორ ჭითანავა:

"მიმაჩნია, რომ ისეთ ქვეყანაში, სადაც შესაძლებელია, რომ ენერგეტიკა ფეხზე დადგეს, სამინისტრო არ უნდა გაუქმდეს. პირიქით, მისი ფუნქციები უნდა გაძლიერდეს და ენერგეტიკაში სწორი მართვა დაინერგოს. რეფორმები, რომელიც ჩატარდა, შედეგიანად არ მიმაჩნია. ერთადერთი ცვლილება, რომელმაც გაამართლა, სემეკ-ის ჩამოყალიბებაა, რადგან ეს ორგანო თავის ფუნქციებს ასრულებს. არ მიმაჩნია გამართლებულად საბითუმო ბაზრის არსებობა – ის კორუფციის ბუდეა და, ამასთან, არაფრზე პასუხს არ აგებს. მივესალმები სადისტრიბუციო ენერგოკომპანიების შრომითი კოლექტივებისთვის გადაცემას. მიმაჩნია, რომ დარგში რეფორმები ამით უნდა დაწყებულიყო. რაც შეეხება სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს, მას უნდა გადაეცეს რეალური ბერკეტები დარგის მართვისთვის. დღეს მას ფინასურ-ტექნიკური მონიტორინგის უფლება აქვს, მაგრამ ვერ იყენებს. ამას სამინისტროს ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა სჭირდება. დარგის მართვის ცენტრალიზება აუცილებელია, ჩვენ კი მას ვქსაქსავთ, რაც არ არის სწორი."

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი ზურაბ გარაყანიძე:

"ეს დარგი უნდა შევიდეს ეკონომიკის სამინისტროში. ენერგეტიკის სამინისტრო კი არ უნდა არსებობდეს. ეკონომიკის, ენერგეტიკის, ურბანიზაციისა და ტრანსპორტის ერთიანმა სამინისტრომ ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელის ფუნქცია უნდა იკისროს და ინდიკატორული გეგმების შედგენაზე იზრუნოს. ახალი მინისტრთა კაბინეტის ერთ-ერთი პრობლემა იქნება ბუნებრივი მონოპოლიების - ნავთობისა და გაზის, სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის რეორგანიზება. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება ელექტროენერგეტიკას. საქართველოს ელექტროენერგეტიკაში მიმდინარე რეფორმებს თან ახლავს სატარიფო პრობლემებიც. თვით ისეთ მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც კი, როგორებიცაა აშშ და იაპონია, შენარჩუნებულია ტარიფების სახელმწიფო რეგულირება. საქართველოს ენერგეტიკაში ამ ტარიფებს განსაზღვრავს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია, რომელიც მხოლოდ დარგში არსებულ დანახარჯებზეა ორიენტირებული და არა ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტებზე. ამიტომ საქართველოში დენის ტარიფი დსთ-ს ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალია. ამასთან, არავითარი განსხვავება არ არსებობს მოსახლეობისა და საწარმოებისადმი მიწოდებული ელექტროენერგიის ტარიფებს შორის. სატარიფო რეგულირებაში აუცილებელია, რომ ეკონომიკური პროფილის სხვა უწყებებიც ჩაერთონ, რაც მომავალ კაბინეტში სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ეკონომიკური ბლოკის შემადგენლობაში შეყვანის და მისი ეკონომიკის მაკორდინირებელი ვიცე-პრემიერის დაქვემდებარების აუცილებლობას წარმოქმნის."

საქართველოს ნავთობისა და გაზის მარეგულირებელი სააგენტოს ხელმძღვანელი გიორგი ითონიშვილი:

"ჩემი აზრით, განვითარებული ქვეყნების გამოცდილება უნდა დაინერგოს და მარეგულირებელ ორგანოებს მეტი ძალაუფლება, კონტროლის ფუნქცია მიენიჭოთ. სახლემწიფო კონტროლი საჭირო არ არის. ნავთობისა და გაზის კორპორაციებს კი კიდევ უფრო მეტი დამოუკიდებლობა უნდა მიეცეთ. სხვა შემთხვევაში დარგი ვერასოდეს გადავა საბაზრო ურთიერთობის პრინციპებზე. რაც შეეხება დამოუკიდებელ მარეგულირებლებს, მათ გადაწყვეტილებები საჯარო პრინციპით უნდა მიიღონ. დამოუკიდებელი მარეგულირებლების შესახებ კანონმდებლობაში ეს გათვალისწინებულია. ის ფაქტი, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს გადაწყვეტილება გააუქმა, უპრეცედენტოა. ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო, რომელიც არ არის გამართლებული."

ავსტრიელი ექსპერტი საქართველოს საბაჟო კოდექსის შესახებ

მერი კახაინი
ვენიდან

"ახალი ძალები და, უპირველეს ყოვლისა, მიხეილ სააკაშვილი არის გარანტი იმისა, რომ სახელისუფლებო ცვლილებამ აბსოლუტური შანსი მისცეს ქვეყანას, ასევე დასავლეთს, რათა გაუმჯობესდეს კონტაქტები საქართველოსთან და მთლიანად რეგიონთან, " - აცხადებს ინსბრუკის (ავსტრია) მთავარი საბაჟო სამსახურის უფროსი, იურისტი, მანფრედ ზომერრედერი.

იგი რამდენიმე დღეა, რაც სამშობლოში დაბრუნდა. ზომერრედერი ერთი წლის განმავლობაში იმყოფებოდა საქართველოში და ტასის-ის პროგრამის ეგიდით, სხვა ევროპელ სპეციალისტებთან ერთად, საქართველოს საბაჟო კოდექსზე მუშაობდა.

"საქართველოს ბიუჯეტის დაახლოებით 40% სწორედ საბაჟო შემოსავლებიდან უნდა დაიფაროს," - მიიჩნევს ავსტრიელი ექსპერტი და დასძენს, რომ **"თანამედროვე საბაჟო კანონები** დასავლეთს **ვაჭრობაში პირველად გაუხსნის საქართველოს საზღვრებს".**

ევროკავშირს ამ პროექტის განხორციელება 850 ათასი ევრო დაუჯდა.

"ჩვენ შევიმუშავეთ კოდექსი, რომელიც კენჭისყრისთვის მზად არის. 5 ნოემბერს, შევარდნაძესთან ჩემი ბოლო საუბრის შემდეგ, შანსი, რომ კოდექსს პარლამენტი თებერვლისთვის მიიღებდა, იმედის მომცემად გამოიყურებოდა. ახლა კი ყველაფერი შემდგომი პოლიტიკური მოვლენების განვითარებაზეა დამოკიდებული,"- ამბობს ინსბრუკელი იურისტი.

მსოფლიო ბანკი გარდაქმნებისადმი ენთუზიაზმით არის განწყობილი

მსოფილიო ბანკის დელეგაცია საქართველოს დროებით ხელისუფლებასთან შეხვედრებს განაგრძობს. გუშინ მსოფლიო ბანკის სამხრეთ კავკასიის განყოფილების დირექტორი დონა დოუსედ კოიროლოს შეხვდა. საღამოს კი მსოფიო ბანკის წარმომადგენლები სახელმწიფო მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან სტურობდნენ.

შეხვედრის დასრულების შემდეგ მსოფლიო ბანკის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საქართველოს ახალ ხელისუფლებასთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები ქვეყნისათვის ფინანსური დახმარების გაწევის თაობაზე. მან იმედი გამოთქვა, რომ უახლოეს პერიოდში, საქართველოს მთავრობასთან ერთად, კონკრეტული გადაწყვეტილებები იქნება მიღებული.

"მსოფლიო ბანკი ენთუზიაზმით არის განწყობილი იმ გარდაქმნებისა და სიახლეებისადმი, რომელთაც საქართველოში ჰქონდა ადგილი და, შესაბამისად, ოპტიმისტურად ვუყურებთ ჩვენს შესაძლო დახმარებას საქართველოსადმი," - აღნიშნა კოიროლომ.

მოკლედ

შიდსთან ბრძოლას მსხვილი კორპორაციები შეუერთდნენ

შვიდმა უმსხვილესმა ტრანსნაციონალურმა კორპორაციამ მზადყოფნა განაცხადა, რომ დააფინანსოს შიდსის საწინააღმდეგო პროგრამები იმ ქვეყნებში, სადაც მათი წარმომადგენლობებია განთავსებული. კორპორაციები Chevron-Texaco და Heineken –ი აფრიკაში, რუსეთსა და ინდოეთში დააფინანსებენ ინფიცირებულთა მკურნალობას და პროფილაქტიკას, ასევე ექიმების და მედპერსონალის მომზადების პროექტებს. სავარაუდოდ, მათ ეს გულისხმიერება მილიონობით დოლარი დაუჯდებათ, მაგრამ, მათი განცხადებით, ისინი ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ 2005 წლისთვის 3 მილიონ ინფიცირებულს მიეცეს საშუალება მათთვის საჭირო პრეპარატების შესაძენად. განვითარებად ქვეყნებში ჯანდაცვის სექტორის ერთ-ერთ მთავარ დამფინანსებლად სწორედ კერძო სექტორი გამოდის და მათი დაინტერესება ამ დაავადებასთან ბრძოლაში არც თუ უსაფუძვლოა. კორპორაციების ენთუზიაზმს დადებითად შეხვდა გაერო.

პენტაგონმა ბოინგთან კონტრაქტი გაყინა

პენტაგონმა "ბოინგთან" კონტრაქტი შეაჩერა. ტენდერი ავიამზიდების დამზადებაზე, რომელიც ბოინგმა მოიგო, პენტაგონისთვის არც თუ ისე მომგებიანი, უფრო მეტიც - წამგებიანი აღმოჩნდა. სკანდალები, რომლებიც ამ ტენდერს და შემდგომ კონტრაქტს სდევდა თან, ბოლოს აღმასრულებელი დირექტორის გადადგომით და გამოძიებით დასრულდა. სამხედრო უწყებამ გადაწყვიტა, უფრო დეტალურად გამოიძიოს ტენდერის საქმე და გამოარკვიოს, თუ რის საფუძველზე მოხდა "ბოინგის" მიერ ამ ტენდერის მოგება. კონტრაქტის საფასური, რომელიც "ბოინგსა" და პენტაგონს შორის 2002 წელს დაიდო, 20 მილიონი დოლარია. კონტრაქტის გაყინვის მიზეზი გახდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პენტაგონის თანამშრომელი დარლინ დრუიონი ხელს უწყობდა "ბოინგს" და მისი კონკურენტი კომპანიის EADS-ის შესახებ აწვდიდა ინფორმაციას. სკანდალი ტენდერთან დაკავშირებით დიდ სირთულეებს შეუქმნის კომპანიას, განსაკუთრებით კი ისეთ პერიოდში, როდესაც კომპანიას პრობლემები აქვს მსოფლიო ბაზარზე და მოთხოვნილება ავიალაინერ "ბოინგზე" საგრძნობლად დაეცა. სწორედ ამიტომ კომპანიისთვის სამხედრო სექტორის მხრიდან დაკვეთას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ორი სიტყვით

რუსეთი. რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნები 2004 წლის 14 მარტს გაიმართება. ამის შესახებ ჟურნალისტებს რუსეთის პარლამენტის ზედა პალატის თავმჯდომარემ, სერგეი მირონოვმა განუცხადა. მისი თქმით, ფედერაციის საბჭო შესაბამის გადაწყვეტილებას 10 დეკემბერს მიიღებს. რუსეთის კანონმდებლობით, პრეზიდენტის არჩევნებს სწორედ ფედერაციის საბჭო ნიშნავს.

■ ■ ■

ყაზახეთი. გუშინ ასტანაში გერმანიის კანცლერის, გერჰარდ შრიოდერის ორდღიანი ოფიციალური ვიზიტი დაიწყო. კანცლერი ყაზახეთში ჩინეთიდან ჩავიდა. შრიოდერი გუშინვე პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევს შეხვდა. ვიზიტის დროს განიხილავენ ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებს. ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბრუნვამ გასულ წელს 1,8 მლნ ევრო შეადგინა.

■ ■ ■

ლიტვა. ლიტვის პრეზიდენტმა, როლანდას პაქსასმა აშშ-ში ორშაბათისათვის დაგეგმილი ვიზიტი გადადო. იგი გუშინ ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე წარსდგა, სადაც უნდა აეხსნა, თუ რის საფუძველზე მიიღო იური ბორისოვმა ლიტვის მოქალაქეობა. ბორისოვმა, რომელსაც რუსულ კრიმინალურ დაჯგუფებებთან კავშირსა და იარაღით უკანონო ვაჭრობაში ედება ბრალი, ადრე ლიტვის მოქალაქეობაზე რუსეთის მოქალაქეობის სასარგებლოდ თქვა უარი. შემდეგ იგი პაქსასის საარჩევნო კამპანიას აფინანსებდა და, როგორც ჩანს, ამ დამსახურებისათვის პრეზიდენტისაგან დაჩქარებული წესით მოქალაქეობა აღიდგინა. საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარე პროცესი ლიტვის საპრეზიდენტო კრიზისის შემადგენელი ნაწილია. პაქსასს ბრალი ედება ქვეყნის უსაფრთხოებისათვის პრობლემების შექმნაში და დღის წესრიგში მისი იმპიჩმენტი დგას. პაქსასმა საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშეც ყველა ბრალდება უარყო.

რამსფელდის ვიზიტი ავღანეთში

პირველი გვერდიდან

თავდაცვის მდივნის ვიზიტი ორი ნაწილისაგან შედგებოდა. რამსფელდი ჯერ ქვეყნის ჩრდილოეთს ეწვია, სადაც ბოლო დროს ადგილობრივ დაჯგუფებებს შორის ძლიერი შეტაკებები მოხდა. ქალაქ მაზარ-ი-შარიფზე კონტროლისათვის ერთმანეთს რაშიდ დუსტუმისა და ატა მოჰამედის რაზმები ეცილებიან. ორივე სამხედრო მეთაური თალიბების წინააღმდეგ მებრძოლი კოალიციის წევრები არიან. ამასთანავე, ისინი ავღანეთის ცენტრალური ხელისუფლების ნომერ პირველ პრობლემას წარმოადგენენ, რადგან პრეზიდენტ კარზაის მხოლოდ ნომინალურად ემორჩილებიან. რამსფელდი ადგილობრივ მმართველებს, მათ შორის, დუსტუმს შეხვდა. ავღანეთის ჩრდილოეთში სტუმრობის მიზანი იმის ნახვა იყო, თუ რამდენად ეფექტურად ხორციელდება ავღანეთში უსაფრთხოების უზრუნველყოფის ამერიკული პროგრამა. ოქტომბრის შეტაკებების შემდეგ, ამერიკელების ჩარევამ ნაყოფი გამოიღო და რაშიდ დუსტუმსა და ატა მოჰამადს შორის დაზავება მოხერხდა. ახლა დაპირისპირებული მხარეების მძიმე ტექნიკისგან განიარაღება ხდება. ამ პროცესს კი ბრიტანელები აკონტროლებენ. თუმცა, საერთაშორისო დამკვირვებლები აღიარებენ, რომ მცირე ინტენსივობის შეტაკებები ისევ გრძელდება, რადგან დუსტუმისა და მოჰამადის ქვეშევრდომი საველე მეთაურები ერთმანეთან საქმის გარჩევას არ წყვეტენ. გარდა ამისა, აღინიშნა, რომ დუსტუმი მძიმე ტექნიკის ჩაბარებაზე ნაკლებ ინიციატივას იჩენს და დღემდე მხოლოდ 3 ტანკი გადასცა ცენტრალურ ხელისუფლებას. რამსფელდი სწორედ მის დარწმუნებას შეეცადა, რომ მიმდინარე პროცესს ხელი არ შეუშალოს. ასეთივე სახის საუბარი გაიმართა მოჰამადთან.



რამსფელდი მხარს უჭერს კარზაის.

REUTERS

შეხვედრის მეორე ნაწილი კი ქაბულში შედგა. რამსფელდმა კარზაისთან ავღანეთის რეგიონებში ცენტრალური ხელისუფლების გავლენისა და ნარკობიზნესთან ბრძოლის საკითხები განიხილა. მომავალ წელს ქვეყანაში არჩევნები უნდა გაიმართოს. საერთაშორისო დამკვირვებლები კი მიიჩნევენ, რომ უსაფრთხოების პირობები ამისათვის ჯერ საკმარისი არ არის. განსაკუთრებით არასტაბილურია ვითარება ქვეყნის სამხრეთსა და აღმოსავლეთში, სადაც კვლავ გააქტიურდნენ ავღანელი თალიბები. აგვისტოდან მოყოლებული, სხვადასხვა თავდასხმების დროს 400-მდე ადამიანი დაიღუპა. საერთაშორისო ორგანიზაციები გამოსავალს სამშვიდობო ძალების რიცხოვნების გაზრდასა და მათი მოქმედების არეალის მთელ ავღანეთზე განვრცობაში ხედავენ. ნატო-ს თავდაცვის მინისტრებმა ბრიუსელში ახლახან გამართულ შეხვედრაზე ავღანეთში გააქტიურების მზადყოფნა გამოთქვეს. თუმცა, ექსპერტები კითხულობენ, თუ რომელი ქვეყნები გასწევენ დამატებით ხარჯებს ამისათვის. გერმანიის ბუნდესვერის წარმომადგენლები უკვე იმ ფაქტზე მიუთითებენ, რომ საერთაშორისო სამშვიდობო ძალებს ქვეყანაში კიდევ, სულ მცირე, ათი წელი დარჩენა მოუწევთ. თავად რამსფელდმა კი გაწეული მუშაობა დადებითად შეაფასა. მან და კარზაიმ თქვეს, რომ არჩევნების ჩატარებას წინ ვერაფერი დაუდგება და ერთ წელიწადში ავღანეთი უსაფრთხო ქვეყანა იქნება.

კოლინ პაუელი: ნატო-მ ერაყში აქტიურად უნდა იმოქმედოს

ლევან ღირსიაშვილი

ბრიუსელში შეკრებილ, ნატო-ს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებს აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელიც შეუერთდა. მან ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსს ერაყის აღმშენებლობის და უსაფრთხოების საქმეში უფრო აქტიური და ქმედითი ნაბიჯების გადადგმისაკენ მოუწოდა. **"ამ ქვეყანაში სტაბილურობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს,"** - განაცხადა კოლინ პაუელმა.

"ჩვენ მოვუწოდებთ ალიანსს, შეაფასოს ის მდგომარეობა, რომ მას ერაყში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებაში წვლილის შეტანა კიდევ შეუძლია," - დასძინა სახელმწიფო მდივანმა.

დღეისათვის, ნატო-ს 19 წევრიდან 16 უკვე შესულია აშშ-ს მეთაურობით ფორმირებულ კოალიციაში. თუმცა, საფრანგეთის და გერმანიის მიერ ჯერ კიდევ ომამდე გამოხატული განსხვავებული პოზიციები ალიანსის ისტორიაში ყველაზე დიდ განხეთქილებად შეფასდა, რისი შედეგებიც დღეს უკვე სახეზეა. ბერლინი და პარიზი დღესაც ერთად დგანან და ერაყში სამხედრო ოპერაციებს მხარს არ უჭერენ. შესაბამისად, არც ერაყის რეკონსტრუქციის საქმეში აპირებენ მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას. სააგენტო "ბიბისის" ცნობით, ბრიუსელში კოლინ პაუელის გამოსვლა, ომის დაწყების დღიდან პირველი შემთხვევაა, როდესაც ვაშინგტონმა ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსს დახმარებისათვის მიმართა. ამ დროს, ნატო არცთუ შესამჩნევ როლს თამაშობს ერაყში მიმდინარე მოვლენებში. ერაყში გაგზავნილ, ნატო-ს მცირე კონტინგენტს პოლონელი სამხედროები სარდლობენ.

კოლინ პაუელის მოწოდება თითქოს იმეორებს ბრიუსელში სამიტის დაწყებისას ნატო-ს გენერალური მდივნის ჯორჯ რობერტსონის გამოსვლის პათოსს. **"ალიანსმა უნდა განაგრძოს წევრი ქვეყნების მხარდაჭერის პოლიტიკა და ამით ერაყში მთავარი როლის შესრულება უნდა ითავოს. ალიანსი ასევე უნდა მოემზადოს აუცილებლობის შემთხვევაში ახალი როლებისა და ამოცანების შესასრულებლად,"** - განუცხადა ლორდმა რობერტსონმა ბრიუსელის შეხვედრის მონაწილეებს.

კოლინ პაუელი ბრიუსელის სამიტზე.

REUTERS

სამიტის მონაწილეთა წინაშე გამოსვლისას, შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ასევე განაცხადა, რომ ვაშინგტონი ერთხელ არჩეული გზიდან გადახვევას და ერაყში უკან დახევას არ აპირებს.

კოლინ პაუელი ევროკავშირის სამხედრო ძალების შექმნის ინიციატივასაც გამოეხმაურა.

"შეერთებულ შტატებს არ შეუძლია, დაეთანხმოს ევროკავშირის დამოუკიდებელი სტრუქტურების შექმნის იდეას, რომელიც ნატო-ს ფუნქციების დუბლირებას ითვალისწინებს," - განაცხადა პაუელმა. ევროპის ერთიანი თავდაცვითი პოლიტიკის შესახებ წინააღმდეგობა ჯერ კიდევ აპრილში დაიწყო, როდესაც საფრანგეთმა, გერმანიამ, ბელგიამ და ლუქსემბურგმა გამოაქვეყნეს ერთობლივი გეგმა ნატო-ს ფარგლებს გარეთ სამხედრო დაგეგმვითი სტრუქტურის შექმნის თაობაზე.

გასულ კვირას ეს საკითხი ნეაპოლში შეკრებილმა ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებმა კიდევ ერთხელ განიხილეს. საფრანგეთის, გერმანიის და დიდი ბრიტანეთის საგარეო უწყებების შეფებმა მიაღწიეს კომპრომისს, რომლის თანახმადაც ევროპის შეიარაღებული ძალების შექმნამ ნატო-ს ერთიანობას საფრთხე არ უნდა შეუქმნას. თუმცა აშშ-ს ეს მაინც არ აკმაყოფილებს.

დამკვირვებელთა თქმით, ამ საკითხზე კოლინ პაუელის მკაცრმა შეფასებამ საკმაოდ მოულოდნელად გაიჟღერა, რაც პირდაპირ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ აშშ ნატო-ს ჩარჩოებს მიღმა რაიმე პარალელური სტრუქტურის შექმნას ეწინააღმდეგება.

"ჟენევის ინიციატივა" - ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის დარეგულირების ალტერნატიული გეგმა

ლევან ღირსიაშვილი

ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის დარეგულირების მიზნით შექმნილ სამშვიდობო გეგმას "ახალ რუკას", უკვე რამდენიმე თვეა, ალტერნატივა გამოუჩნდა. ისრაელისა და პალესტინის აქამდე ინკოგნიტო წარმომადგენლები საიდუმლო ვითარებაში ინტენსიურად მართავდნენ შეხვედრებს, რის შედეგადაც უკვე დაიბადა ახალი სამშვიდობო გეგმა "ჟენევის ინიციატივის" სახელით. საგულისხმოა, რომ ისრაელის და პალესტინის ოფიციალური პირები ამ ინიციატივასთან ყოველგვარ კავშირს გამორიცხავენ. უფრო მეტიც, თელ-ავივი ამ გეგმას თავიდან ბოლომდე უარყოფს, ხოლო არაფატის ადმინისტრაცია "ჟენევის ინიციატივას" გულგრილად უყურებს.

თუკი რამდენიმე თვის მანძილზე ალტერნატიული გეგმის ავტორთა ვინაობა მკაცრად გასაიდუმლოებული იყო, ახლა უკვე ცნობილია, თუ ვინ დგას ამ ინიციატივის უკან. ესენი არიან, ისრაელის იუსტიციის ყოფილი მინისტრი იოსი ბეილინი და პალესტინის ინფორმაციის ასევე ყოფილი მინისტრი იასირ აბედ რაბო.

ისინი გუშინ, თავიანთი ინიციატივით, შეერთებულ შტატებში გაემგზავრნენ. როგორც იუწყებიან, მათ დაგეგმილი აქვთ შეხვედრა აშშ-ს სახელმწიფო მდივან კოლინ პაუელთან. გეგმის ავტორებს პრეზიდენტის მრჩეველთან ეროვნული უშიშროების საკითხებში კონდოლიზა რაისთან და თავდაცვის მინისტრის მოადგილე პოლ ვოლფოვიცთანაც სურდათ შეხვედრის გამართვა, თუმცა, ჯერჯერობით დაუდგენელი მიზეზების გამო, მათ ეს სურვილი არ დაუკმაყოფილეს.

სააგენტოები იუწყებიან, რომ გავლენიანმა პოლ ვოლფოვიცმა მოუცლელობა მოიმიზეზა. დამკვირვებელთა აზრით, კონდოლიზა რაისის და ვოლფოვიცის უარის ერთადერთ მიზეზს ალტერნატიული გეგმის და მისი ავტორების მიმართ თავად აშშ-ს გულგრილობა წარმოადგენს.

სააგენტო "ბიბისის" აზრით, თეთრი სახლი ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის დარეგულირების ერთადერთ ოპტიმალურ საშუალებად მისივე გეგმის, "საგზაო რუკის" განხორციელებას მიიჩნევს. მიუხედავად ამისა, კოლინ პაუელი "ჟენევის ინიციატივის" ავტორებს მაინც შეხვდება. ადმინისტრაციის წარმომადგენლის განცხადებით, შეხვედრის მიზეზს წარმოდგენს აშშ-ს უცვლელი სურვილი ახლო აღმოსავლეთში სტაბილურობის დამყარების შესახებ.

ჟენევის ალტერნატიული გეგმა პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას და ებრაული დასახლებების დემონტაჟს ითვალისწინებს. რაც შეეხება იერუსალიმის საკითხს, ალტერნატიული გეგმის თანახმად, იერუსალიმს ერთობლივი სუვერენული ქალაქის სტატუსი უნდა მიენიჭოს. გარდა ამისა, ისრაელს ეძლევა უფლება, თავად განსაზღვროს, თუ რა რაოდენობის პალესტინელი ლტოლვილი დააბრუნოს ისრაელის ტერიტორიაზე.

"ალტერნატიულ გეგმაში ჩადებულია ის იდეები, რომელთა მოსმენაც საჭიროა," - განაცხადა აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა მაროკოს ქალაქ მარაკეშში ვიზიტის დროს. ამასთანავე, მან ხაზგასმით განაცხადა, რომ "საგზაო რუკა" ერთადერთი რეალური გეგმაა, რომელიც ყველა მხარისათვის მისაღებია და კონფლიქტი სწორედ ამ გეგმის ჩარჩოებში უნდა დარეგულირდეს.

"ჟენევის ინიციატივის" ავტორების აშშ-ში ვიზიტის პარალელურად, ეგვიპტის დედაქალაქ კაიროში 12 პალესტინური ორგანიზაციის წარმომადგენელთა ერთობლივი შეხვედრა დაიწყო. მათ შორის არიან ისეთი რადიკალური დაჯგუფებებიც, როგორებიცაა "ფათხი," "ისლამური ჯიჰადი" და "ჰამასი".

შეხვედრის მონაწილეთა მიზანს ისრაელთან მშვიდობის დამყარების გზების გამოძებნა წარმოადგენს.

ისრაელის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ზეევ ბოიმ განაცხადა, რომ ისრაელის მხარე პალესტინის ტერიტორიაზე სამხედრო ოპერაციების შეწყვეტას არ გამორიცხავს, თუკი პალესტინური ორგანიზაციები, თავის მხრივ, ისრაელის წინააღმდეგ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ განაცხადებენ. თუმცა, ყველა დამკვირვებელი გამოთქვამს ეჭვს იმის თაობაზე, რომ პალესტინელები ასეთ ნაბიჯს გადადგამენ. ასეთი ვარაუდის საფუძველს ის ფაქტი იძლევა, რომ კაიროში შეხვედრის დაწყებამდე, "ჰამასის" პოლიტიკური ფრთის ლიდერმა ჰალედ მეშაალმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მშვიდობის დამრღვევი ყოველთვის ისრაელის მხარეა. ამასთანავე, საყურადღებოა ის ტრაგედია, რომელიც გასულ კვირას ღაზას სექტორში მოხდა, როდესაც ისრაელის სამხედრო მოსამსახურეებმა შვიდი პალესტინელი, მათ შორის, ერთი ცხრა წლის ბიჭი მოკლეს. "ჰამასის" და "ისლამური ჯიჰადის" ტაქტიკის გათვალისწინებით, ახლა უკვე პალესტინელების შურისძიების ჯერია. ასე რომ, ნაკლებად სავარაუდოა, "ჟენევის ინიციატივამ" ან კაიროს შეხვედრებმა რაიმე შედეგი გამოიღოს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი ზიმბაბვეს წინააღმდეგ

ადამ მჭედლიძე

საერთაშორისო სავალუტო ფონდი საკუთარი რიგებიდან ზიმბაბვეს გარიცხვას აპირებს. ამ გადაწყვეტილების მიზეზად ის გარემოება იქცა, რომ ქვეყანამ "თავი ვერ გაართვა" ფონდთან თანამშრომლობას და "ვერ გაატარა ფონდის მიერ რეკომენდირებული პოლიტიკა, რომელიც ეკონომიკური პრობლემების დაძლევისკენ იყო მიმართული."

ზიმბაბვესა და ფონდს შორის ურთიერთობა ჯერ კიდევ 2001 წელს დაიძაბა. დღეისათვის ქვეყანას ამ ორგანიზაციის 273 მილიონი დოლარი მართებს.

ქვეყნის გარიცხვის პროცედურა რამდენიმე თვის განმავლობაში გრძელდება. ფონდის წარმომადგენელთა განცხადებით, ამ პერიოდში ზიმბაბვეს შანსი აქვს, გამოასწოროს შექმნილი ვითარება და გარიცხვა თავიდან აიცილოს.

ფონდის განცხადება კიდევ უფრო დიდ იზოლაციაში აქცევს ზიმბაბვეს, რომელსაც პრეზიდენტ რობერტ მუგაბეს მიერ არჩევნების გაყალბების შემდეგ ისედაც მკვეთრი კრიტიკა დაატყდა თავს საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან.

ბოლო 4 წლის განმავლობაში ზიმბაბვეს ეკონომიკური მოცულობა 40 პროცენტით დაეცა, მარტო შარშან კი ინფლაციის მაჩვენებელი 526 პროცენტზე ავიდა. მოსახლეობის ორი მესამედი შიმშილის ზღვარზეა, ქვეყანა ერთერთ პირველ ადგილზეა შიდსით დაავადებულთა მაჩვენებლის მხრივ.

კიოტოს პროტოკოლი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სანაცვლოდ

ბრიტანული "ბი ბი სი" ავრცელებს ცნობას, რომ რუსეთის პრეზიდენტის მრჩეველმა ეკონომიკურ საკითხებში, ანდრეი ილარიონოვმა პუტინის გადაწყვეტილებას, კიოტოს პროტოკოლის რატიფიკაციაზე უარის თქმის შესახებ, "წლის უმნიშვნელოვანესი საგარეო-პოლიტიკური გადაწყვეტილება" უწოდა. ეს შეთანხმება ატმოსფეროში იმ მავნე გაზების გატყორცნის შემცირებას ითვალისწინებს, რომლებიც ე.წ. "სითბური ეფექტის" წარმოქმნას უწყობს ხელს. წამყვანმა სამრეწველო ქვეყნებმა 1990 წელს არსებული მაჩვენებლები 2012 წლამდე 5,2 პროცენტით უნდა შეამცირონ. ილარიონოვმა თქვა, რომ არსებული სახით შეთანხმება რუსეთის ინტერესებს არ ითვალისწინებს. მის რატიფიკაციას რუსეთი მხოლოდ მას მერე მოახდენს, როცა პროტოკოლი რუსეთის ინტერესებსაც დააკმაყოფილებს. შეთანხმების მიხედვით, რუსეთის სამრეწველო ობიექტებმა უნდა შეამცირონ მავნე გაზების გატყორცნა ატმოსფეროში, რაც ეკონომიკურად მომგებიანი არ არის. "ჩვენ ვერ შევაჩერებთ ეკონომიკური ზრდის ტემპებს," – ასეთი იყო პუტინის მრჩევლის რეაქცია.

კიოტოს პროტოკოლი ჯერ კიდევ 1997 წელს მიიღეს. პროტოკოლს არც აშშ-ს მთავრობა სწყალობს და ისიც ეკონომიკური მოსაზრებებით მსჯელობს. ამერიკელების პოზიციამ უკვე ეჭვქვეშ დააყენა პროტოკოლის ეფექტურობა, რადგან აღნიშნული გაზების უდიდეს ნაწილს აშშ-ს მრეწველობა გატყორცნის ატმოსფეროში. რუსეთის პოზიციამ კი, შეიძლება, შეთანხმება საერთოდ დაასამაროს. კიოტოს პროტოკოლის რატიფიკაცია უკვე 119-მა ქვეყანამ მოახდინა, მაგრამ რუსეთის გარეშე იგი ძალაში ვერ შევა. ევროკავშირმა ამასთან დაკავშირებით თავისი შეშფოთება გამოხატა. თუმცა, კავშირის წარმომადგენელმა იქვე დასძინა, რომ მოსკოვს რატიფიკაციაზე უარი ჯერ ოფიციალურად არ უთქვამს. ამდენად, ევროპელებს იმედი აქვთ, რომ მოსკოვი საბოლოოდ თავდაპირველ გადაწყვეტილებას არ შეცვლის და კიოტოს პროტოკოლი ძალაში შევა. ექსპერტები მიუთითებენ, რომ რუსეთი, რომელიც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას ლამობს, ევროპელებთან არსებულ უთანხმოების მოგვარებას, სავარაუდოდ, სწორედ კიოტოს კარტის გათამაშებით აპირებს.

იაპონია ეკონომიკური სტაგნაციიდან გამოდის

პირველად ბოლო სამი წლის განმავლობაში იაპონელი ეკონომისტები ქვეყნის მომავალს ოპტიმისტურად უყურებენ. ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა (მათ შორის ისეთ ქვეყნებშიც, როგორიც ჩინეთია) საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ ამომავალი მზის ქვეყანა ათწლიანი კრიზისიდან გამოდის. უკვე ზედიზედ მესამე კვარტალია, რაც იაპონიის ბანკი ეკონომიკის ზრდის ტემპის აწევის პროგნოზს აკეთებს. მიმდინარე წლის მეოთხე კვარტლისათვის მოსალოდნელია, აგრეთვე, საინვესტიციო აქტივობის ზრდაც - 5,6 პროცენტის ოდენობით.

ზოგიერთი სპეციალისტი მაინც ფრთხილად უყურებს მომავალს. მათი თქმით, ქვეყანა მეტის-მეტად არის დამოკიდებული იენის კურსზე. თუკი ამ უკანასკნელის კურსი აიწევს, იაპონური ექსპორტის მოცულობა დაეცემა და კრიზისიდან გამოსვლასაც საფრთხე დაემუქრება.

გასულ წელს იაპონიის ეკონომიკურმა ზრდამ 0,2 პროცენტი შეადგინა. წელს ეს მაჩვენებელი, წინასწარი პროგნოზით, 2,7 პროცენტზე უნდა ავიდეს.

ზღვარზე

აბსტრაქტული მილიონები ჩვენი ჯანმრთელობის დასაცავად

სიმსივნურ დაავადებას საქართველოში სიკვდილობის სტრუქტურაში მეორე ადგილი უჭირავს. ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის მონაცემებით, გასულ წელს ამ დაავადების მატარებელი 5400 ადამიანი გამოვლინდა. ქვეყანაში დღეს 26.500 ადამიანი არის აღრიცხული, რომელთაც სხვადასხვა ონკოლოგიური დაავადებები აღმოაჩნდათ. მიუხედავად სტატისტიკის ასეთი მძიმე მაჩვენებლისა, წელს ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკა-მკურნალობისთვის საჭირო 9 მილიონის ნაცვლად 2.700.000 ლარი არის გამოყოფილი.

ნაწილი მეორე

ეთერ მამულაშვილი

ამიტომაც, აქაც თანაგადახდის პრინციპი მოქმედებს. პაციენტს გამოჯანმრთელებისთვის საჭირო თანხების 40 პროცენტის მოძებნა ევალება, დანარჩენი 60 პროცენტის დაფინანსება სახელმწიფომ საკუთარ თავზე აიღო. თუმცა, ისევე როგორც ყველა კომპონენტში, ჩამორჩენა ძალიან დიდია. ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირის ზაზა ზარქუას თქმით, 2003 წლის პირველი ექვსი თვის მონაცემებით, სახელმწიფომ საკუთარი ვალდებულებების მხოლოდ სამოცი პროცენტი შეასრულა.

გულსისხძარღვთა დაავადებების სამკურნალოდ, რომელსაც ავადობისა და მოკვდავობის კრიტერიუმით ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია საქართველოში, წელს ბიუჯეტით 4 მილიონზე ნაკლები ლარი იყო გათვალისწინებული. კარდიოქირურგიული დახმარების კომპონენტის მიზანს წარმოადგენს გულსისხძარღვთა დაავადებების მქონე პაციენტთა მაღალტექნოლოგიური კარდიოქირურგიული სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობის გაზრდას.

ბოლო რამდენიმე წელია განსაკუთრებით აქტუალური ხდება სხვადასხვა ინფექციური დაავადებების გავრცელება. ეპიდემიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით, ინფექციური დაავადებები განეკუთვნება სოციალურად საშიშ სახეობათა რიცხვს. ქვეყანაში ავადობის მაჩვენებლის მზარდი დინამიკის პირობებში, სახელმწიფო პრიორიტეტების უმნიშვნელოვანეს კომპონენტად განისაზღვრა ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები. ინფექციურ დაავადებათა შესამცირებლად სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მკურნალობის გარდა, ჯანდაცვის სამინისტრო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ქვეყანაში პრევენციული ღონისძიებების გატარებას. წელს სამისოდ სახელმწიფოს ორ მილიონამდე ლარი უნდა გამოეხახა.

სამედიცინო ექსპერტები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ სახელმწიფო პროგრამის იმ კომპონენტზე, რასაც რეფერალური დახმარება ეწოდება და რისთვისაც წელს 925 ათასი ლარი იყო გამოყოფილი. ეს კომპონენტი უზრუნველყოფს კრიტიკული და გადაუდებელი მდგომარეობების რეფერალური შემთხვევების მართვას, განსაკუთრებულ შემთხვევებში, ექსტრემალურ კლიმატურ პირობებსა და ძნელად მისადგომ გეოგრაფიულ რეგიონებში მაღალკვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას.

საკურორტო რეაბილიტაციის კომპონენტი, რომლისთვისაც ყოველწლიურად ყველაზე ნაკლები თანხა იხარჯება, ითვალისწინებს განსაკუთრებით მძიმე პირობებში მყოფ და სპეციფიკურ დაავადებებით დაავადებულ მოქალაქეთა სამედიცინო-საკურორტო რეაბილიტაციას. თუმცა ექსპერტების რწმუნებით, სახელმწიფო პროგრამის ამ კომპონენტშიც, მრავლად არის კორუფციისა და გარიგებების ფაქტები, რის გამოც საკურორტო რეაბილიტაცია წლების განმავლობაში ძალიან ბევრი ავადმყოფისთვის მიუწვდომლად რჩება. სამაგიეროდ, ამ პროგრამით ხშირად სრულიად ჯანსაღი ადამიანები უპრობლემოდ სარგებლობენ.

გარდა ზემოთხსენებული კომპონენტებისა, სახელმწიფომ წლის დასაწყისში კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება აიღო საკუთარ თავზე. თუმცა აშკარაა, რომ ეს ყველაფერი ხშირად დეკლარირებულ ხასითს ატარებს, რადგან მწირი ბიუჯეტის, დაფინანსების თვეობით ჩამორჩენისა და საყოველთაო კორუფციის ფონზე, მკურნალობისთვის საჭირო და აუცილებელი თანხების მობილიზება, ძირითადად, პაციენტის ჯიბიდან ხდება.

წლების განმავლობაში ქვეყნის პირველი პირების და ცალკეული ჩინოვნიკების ის სიტყვები, რომ ჯანდაცვა მათთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტული სფეროა, დღემდე ცარიელ ლოზუნგად რჩება, წლიდან წლამდე ბიუჯეტში ჩადებული მილიონების მნიშვნელოვანი ნაწილი კი ფარატინა ქაღალდზე.

ჯანდაცვის ხსენებული პროგრამების დასაფინანსებლად წელს ოთხმოც მილიონამდე ლარი იყო გათვალისწინებული, მაგრამ დღეს აშკარაა, რომ სახელმწიფო თერმეტი თვის შესრულების გეგმასაც კი სერიოზული გადახრით ამთავრებს. საჭირო ფინანსების უქონლობა არის ის მთავარი მიზეზი, რის გამოც აღშფოთებულ მოქალაქეთა რიგებს ყოველდღე ათობით ადამიანი ემატება. უსახსრობის გამო ხშირად ვერ ხერხდება სხვადასხვა ეპიდემიური დაავადებების დროული ლიკვიდაცია, ავადმყოფობის დროული გამოვლენა და პაციენტის განკურნება.

ყოველივე ამის ფონზე შესაძლოა ვინმეს პარადოქსად მოეჩვენოს ის ფაქტი, რომ მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში ყოველ წელს სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსების ათპროცენტიანი მატების ვალდებულებას იღებს. ყოველი წლის ბიუჯეტით ფინანსთა სამინისტროს, ჯანდაცვის პროგრამების წინა წელთან შედარებით ათი პროცენტით მეტი დაფინანსება ევალება. მაშინ, როცა გასული წლების დავალიანება, რომ აღარაფერი ვთქვათ მიმდინარე თვეების ჩამორჩენაზე, რამდენიმე მილიონ ლარს აჭარბებს.

პუბლიკაციათა ეს ციკლი "24 საათმა" მოამზადა ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოსგან (IREX) მიღებული გრანტის მეშვეობით. მიუხედავად ამისა, მხოლოდ "24 საათი" აგებს პასუხს მათ შინაარსზე. პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს (IREX), კავკასიაში ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID/Caucasus MIssion) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას.

უნიათო ხელისუფლების კვალი

დასაქმების პროგრამების დაფინანსება კითხვის ნიშნის ქვეშ დგას

მაკა ჯაიანი

პროგრამის სათავეებთან...

კულუარული ინფორმაციით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დასაქმების სახელმწიფო პროგრამის დაფინანსება შეაჩერა. მიზეზი, როგორც ამბობენ, სახელფასო, საპენსიო, ჯანდაცვისა და სხვა პროგრამებისადმი დაგროვილი დავალიანებაა. ჯამში, სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების დაფინანსებაში მიმდინარე 11 თვეში გარღვევა 58.5 მილიონ ლარს აჭარბებს. აქედან 16,8 მილიონი სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის საკუთარ შემოსავლებზე მოდის, დანარჩენი – საბიუჯეტო ტრანსფერზე: 1 მილიონ 900 ათასი – საპენსიო, 18 მილიონი – ჯანდაცვის, 1 მილიონ 200 ათასი – საოჯახო დახმარებებისა და 2 მილიონ 600 ათასი – უნარშეზღუდულთა სახელმწიფო პროგრამების კუთხით. ამასთან, ბიუჯეტს 36 მილიონი სახელფასო დავალიანების სახით დაუგროვდა. მოკლედ, წასული ხელისუფლების ნამოქმედარმა კუდი ახალი ხელისუფლების გარიჟრაჟზეც მოიქნია – მათი, რბილად რომ ვთქვათ, უნიათო მმართველობის გამო, ადამიანები, შეიძლება, ახლაც დაზარალდნენ.

ოფიციალურად, არავინ ადასტურებს, რომ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ამგვარი გადაწყვეტილება მიიღო. ამ დღეებში მას ჰქონდა შეხვედრა ფინანსთა ახალ მინისტრთან. ამირან გამყრელიძემ "24 საათთან" საუბარში განაცხადა, რომ დასაქმების პროგრამას პრობლემა არ შეექმნება, მეტიც, სოციალური პროგრამები უპირატესად დაფინანსდება, მით უმეტეს, რომ ზურაბ ნოღაიდელი, თებერვლისთვის, ბიუჯეტში პროფიციტს ვარაუდობს. ამ დროს, ფინანსთა მინისტრის მოადგილე ვასილ გიგოლაშვილი არ გამორიცხავს დასაქმების პროგრამის ხარჯზე სხვა სოციალური პროგრამების დაფინანსებას. არგუმენტი ასეთია – პრიორიტეტი პენსიები, ხელფასები, ჯანდაცვა, უმწეო ოჯახებისა და უნარშეზღუდულთა დაკმაყოფილებაა.

ერთი შეხედვით, შეუვალი არგუმენტია, მაგრამ საქმეში ჩახედულთათვის ეს მხოლოდ გაჭირვებულთა ერთი ნაწილის ხარჯზე სხვა გაჭირვებულების პირში ლუკმის ჩადებაა და მეტი არაფერი. არგუმენტი: სამუშაო ადგილების სუბსიდირების პროგრამის ფარგლებში (ეს პროგრამა დასაქმების სახელმწიფო პროგრამის ეგიდით ხორციელდება), პირველი და მეორე ჯგუფის 36 ინვალიდი უნდა დასაქმებულიყო. მათი პროგრამები დამტკიცებულია და დაფინანსებას ელოდება. ამ პროგრამის ფარგლებში უკვე დასაქმდა მრავალშვილიანი ოჯახის 25 წარმომადგენელი. დამტკიცებულია და დაფინანსებას ელოდება 41 უმუშევრის პროექტი. მათი საშუალებით, კიდევ, სულ მცირე, 200 უმუშევარი მიიღებდა სამუშაო ადგილს. 55 უმუშევარს მაინც დაასაქმებდა მეწარმეთა 15 პროექტი.

სრული სურათისთვის დავამატებთ, რომ დასაქმების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სამუშაოდ აყვანილი თითოეული უმუშევრის ხელფასი არანაკლებ 100 ლარია. იმასაც ვიტყვით, რომ ზემოთ ჩამოთვლილი პროგრამები მუდმივ სამუშაო ადგილებს ქმნის. მცირე და არაპრიორიტეტული ეს ყველაფერი ნამდვილად არ არის. მიუხედავად ამისა, სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის დასაქმების სამმართველოს უფროსის მიერ კარგა ხნის წინათ მომზადებული დოკუმენტები, რომლითაც დასაქმების სახელმწიფო პროგრამა მორიგი 300 ათასი ლარით უნდა დაფინანსებულიყო, ფონდის საფინანსო დეპარტამენტში უმოქმედოდ დევს. როგორც ამბობენ, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის სიტყვიერი მითითებით.

იმავე სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარე, ამ პროგრამების ავტორი რევაზ საყვარელიძე აცხადებს, რომ ყველაფერს გააკეთებს, დასაქმების სახელმწიფო პროგრამის განხორციელება საფრთხის ქვეშ რომ არ დადგეს: **"ჩვენ მნიშვნელოვან წარმატებას მივაღწიეთ ამ კუთხით. ჩვენი პროგრამებით მსოფლიო ბანკი, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები დაინტერესდნენ. საუბარი მომავალ, საქმიან თანამშრომლობაზეა. შეუძლებელია 300 ათასი ლარის გამო ყველაფერი კითხვის ნიშნის ქვეშ დავაყენოთ. მით უმეტეს, რომ ამ პროექტების უკან დგას უამრავი ადამიანი, რომელსაც საკუთარი საქმის წამოწყების, სხვებისთვის ხელის გაწვდენის საშუალება მიეცათ. მათი შუა გზაზე მიტოვება არ შეიძლება."**

თვალსაზრისი

უღელტეხილზე

ანზორ სულიაური პროფესიით ჟურნალისტია. გამსახურდიას ხელისუფლების დროს გაზეთ "სოფლის ცხოვრების" მთავარი რედაქტორი გახლდათ. ბოლო წლები სახელისუფლებო სტრუქტურებში გაატარა - მცხეთა-მთიანეთში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილედ მუშაობდა. ამჟამად "იფადის" საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში საქართველოს მთიან რეგიონებში სოფლის მეურნეობის პროექტებს ახორციელებს.
ფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება ყოფილი "ფუნქციონერის" ზოგიერთი მოსაზრება მიმდინარე მოვლენების გარშემო.

ანზორ სულიაური

საკუთარი ხალხისგან იზოლაციაში მყოფი, ნდობადაკარგული ხელისუფლება ბრმად, სავალი გზის შეუცნობლად მიუყვებოდა დაღმართს და პოლიტიკური უფსკრულისკენ მიისწრაფოდა. ვარდების რევოლუციამ საქართველოს თანამედროვე ისტორიის უღელტეხილზე უწია. ქვეყნის ხვალინდელი დღე ბევრადაა დამოკიდებული იმ ნაბიჯებზე, რომელსაც არა მხოლოდ პოლიტიკოსები, არამედ ქუჩის აქციებიდან შინ მიბრუნებული გამარჯვებული ხალხი გადადგამს...

საქართველოს დეფაქტო ხელისუფლებას დემოკრატიულობის პრეტენზია აქვს, დემოკრატია კი, უპირველესად, ქვეყნის მართვაში მოსახლეობის უშუალო მონაწილეობას გულისხმობს. სხვათა შორის, დემოკრატიულობის პრეტენზია ჰქონდა აწ უკვე ყოფილ ხელისუფლებასაც, მაგრამ, თუ როგორი წარმატებით გართვა მან ამას თავი, ხალხმა არა მხოლოდ დაინახა, არამედ საკუთარ ტყავზეც მწარედ გამოსცადა. რატომ ასცდა ხელისუფლება დასახულ მიზანს და როგორ ან როდის ჩაეფლო იმ გაუვალ ჭაობში, საიდანაც თავის დაღწევა ქვეყანას ხავერდოვან რევოლუციად დაუჯდა?

1. შევარდნაძის სისტემაში არ არსებობდა სწორი საკადრო პოლიტიკა.

არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა განათლებას, ინტელექტს, გამოცდილებას, პროფესიონალიზმს... სამაგიეროდ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ფულს, თანამდებობის ყიდვას. სახელისუფლებო პოსტები დაიყო შემოსავლიან და რიგით ადგილებად. ასე, მაგალითად, მმართველობის სისტემაში თანამდებობრივად მაღლა მდგომი და მაღალანაზღაურებადი სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეს რაიონის გამგებლად – ოფიციალურად დაბალხელფასიან, მაგრამ შემოსავლიან თანამდებობაზე "აქვეითებდნენ" (ასე განსაჯეთ, "დაქვეითებას" ერომანეთის პრესითა და ტელევიზიით ოფიციალურად ულოცავდნენ) ან პირიქით - ათვალწუნებულ გამგებელს რწმუნებულის მოადგილედ "აწინაურებდნენ". ესეც იყო მიზეზი იმისა, რომ პრეზიდენტი და მისი "ვერხუშკა" არა მხოლოდ ხალხის, არამედ თვით ხელისუფლების რიგითი ჩინოვნიკებისგანაც გარიყული აღმოჩნდნენ. ქართული პოლიციის, ჯარის, რიგითი ოფიცრების, გამგეობების, სამინისტროების თანამშრომლები ისეთივე გამწარებულ ყოფაში იყვნენ, როგორშიც ის ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებმაც საკუთარი უფლებების დაცვა ქუჩაში გამოსვლით გამოხატეს.

2. შევარდნაძის სისტემის განუყოფელი ნაწილი იყო კორუფცია. რაც უფრო მეტი სახელმწიფო ინსტიტუტები იქმნებოდა კორუფციის წინააღმდეგ, მით მეტად იკიდებდა ფეხს ყოველდღიურობაში ეს შავი ჭირი, რადგან, უპირველესად, თვით კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი ინსტიტუტები ეფლობოდნენ მის ჭაობში. რატომ? თუნდაც იმიტომ, რომ ასეთი სტრუქტურების ოცდაათლარიან ინსპექტორს, რომელსაც შინ შიმშილისა და სიცივისგან აწივლებული შვილები ელიან, ამ სფეროში წესრიგის დამყარება გაუჭირდებოდა.

3. შევარდნაძის სისტემის კიდევ ერთი მახასიათებელი იყო კანონის უზენაესობის ხელყოფა. ნომენკლატურისთვის კანონი არ არსებობდა. დაუსჯელობისა და კანონის იგნორირების მაგალითები ამ ქვეყანაში სანთლით საძებარი ნამდვილად არ იყო.

4. საგადასახადო სისტემა წარმოადგენდა ხალხის დანაშაულში ჩათრევისა და გახრწნის ორგანიზებულ მფიოზურ სტრუქტურას, რომლის საკანონმდებლო მარწუხები ისე იყო მოწყობილი, სადაც ვერც ერთი, თუნდაც, კრისტალურად სუფთა ბიზნესმენი თუ რიგითი მეწარმე, შემოსავლების დამალვის გარეშე ფონს ვერ გავიდოდა. თუ ამ კაბალურ საგადასახადო კოდექსს წურბლებივით მიწებებული ოცდაათლარიანი მაკონტროლებლების პარალელურ სტრუქტურებსაც დავუმატებთ, ადვილად წარმოვიდგენთ, რომ ნებისმიერი მეწარმე კორუფციის დინებას, ნებსით თუ უნებლიეთ, უნდა მიჰყოლოდა და უარი ეთქვა კანონიერი გადასახადის გადახდის იმ პატრიოტულ მისიაზე, რასაც სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებაში საკუთარი წვლილის შეტანა და ქვეყნის გაძლიერებაში თითოეული მოქალაქის პატრიოტული ვალი ჰქვია. შემოსავლების ორგანიზებული დამალვის ხარჯზე სულ უფრო ივსებოდა შავი სალარო, რის პარალელურადაც სულ უფრო მძიმდებოდა ქვეყნის რიგითი მოსახლეობის სოციალური ფონი...

რა უნდა მოიმოქმედოს ახალმა ხელისუფლებამ, რომ ძველივით მღვრიე მორევში არ მოექცეს?

ა) შევარდნაძის რეჟიმის მანკიერება მხოლოდ ერთი კაცის, თუნდაც, იგი პრეზიდენტი იყოს, ბრალი არ არის. ამიტომ ადამიანები, რომლებიც ბერკეტებს კვლავ ძველებურად ჩასჭიდებიან, ხელისუფლებას, რაც შეიძლება, სწრაფად უნდა ჩამოშორდნენ. იმის ნიშნები, რომ ეს ადამიანები ახალ ხელისუფლებაში დასაყრდენს გაფაციცებით ეძებენ და პოულობენ კიდეც, უკვე ჩანს და, ჩემი აზრით, ეს საგანგაშოა.

ბ) არ უნდა გამეორდეს გამსახურდიას ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომები და წინა ხელისუფლების იმ რიგითი თუ არცთუ ისე რიგითი ჩინოვნიკების გამოცდილება და ადამიანური რესურსები მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული. რა თქმა უნდა, უცებ ყველაფრის შეცვლა შეუძლებელია, მაგრამ ქვეყანა, რომელიც ვერ შექმნის და განსაზღვრავს დახვეწილ საკადრო პოლიტიკას, ვერ ასცდება ნათესაურ, კლანურ, ძველბიჭურ თუ ძმაბიჭურ კლანურ საკადრო ბაკქანალიას...

დ) ვერავითარი კადრი, პროფესიონალიზმისა და პატრიოტიზმის ყველაზე საუკეთესო ნაზავიც კი, ვერ შექმნის ცხოვრების უკეთეს პირობებს, თუ არ დაინგრევა და არ შეიცვლება მმართველობითი სისტემები...

ხალხი დღეს ერთიანია. ამ ერთიანობის გაფრთხილება კი იმ პოლიტიკოსებისა ვალია, ვისაც ქვეყნის მოსახლეობამ სახელმწიფო და საკუთარი ოჯახების ბედი ანდო.

გამართლდება თუ არა ხალხის იმედები, ამას უახლოესი მოვლენები გვიჩვენებს.

Media Diversity Institute -
მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტი

Tender Announcement for Publishing Companies

Media Diversity Institute, (MDI) is a non-profit, non-partisan London-based organization that mobilizes the power of media to lessen inter-group conflict, advance minority and human rights, and support deeper public understanding of all types of social diversity.

MDI is looking for a company to publish two manuals: the *Media Relations Handbook for Non-Governmental Organisations* and the *Reporting Diversity Manual*. The layout design and the cover design have already been done for one language version of the manual. We need a company to insert translated text into the layout for further language versions, prepare it for print, print and distribute the finished products. If your company would like to submit a tender for this job please contact: Marina Rennau at marina.rennau@media-diversity.org for details about the contract.

The deadline for submissions is December 10, 2003

მოწვევა სატენდერო წინადადებების წარმოსადგენად საგამომცემლო კომპანიებიის საყურადღებოდ

მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტი (MDI) წარმოადგენს საქველმოქმედო, აპოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელიც ახდენს მასმედიის სიმძლავრეების მობილიზაციას ჯგუფთაშორისი კონფლიქტების შემცირების, უმცირესობების და ადამიანის უფლებების დაცვის და საზოგადოების მიერ სოციალური მრავალფეროვნების ყველა სახეობის უფრო ღრმა წვდომის ხელშეწყობის მიზნით.

MDI ეძებს კომპანიას ორი სახელმძღვანელოს გამოქვეყნების მიზნით: "სახელმძღვანელო არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის მასმედიასთან ურთიერთობების შესახებ" და "მრავალფეროვნების გაშუქების სახელმძღვანელო".

სახელმძღვანელოს მაკეტი და ყდა უკვე მომზადებულია. გეესაჭიროება კომპანია, რომელიც ჩასვამს თარგმნილ ტექსტს მაკეტში სხვა ენებზე გამოსაცემად, მოამზადებს მას დასაბეჭდად და გაავრცელებს საბოლოო პროდუქციას. თუ თქვენი კომპანია მოისურვებს მონაწილეობა მიიღოს აღნიშნულ სამუშაოზე გასამართ ტენდერში, გთხოვთ პროექტის დეტალებზე დაუკავშირდეთ მარინა რენაუს, ელ-ფოსტით m. მონაწილეობის მიღების თაობაზე განაცხადები მიიღება 2003 წლის 10 დეკემბრამდე.

სახლი, სადაც მასპინძელი - სიკეთეა

მაკა კობაზონაძე

"შეხვედრების სახლი" ის ადგილია, სადაც ხანდაზმულები იკრიბებიან და ცხოვრებას ლამაზი დღეებით ივსებენ. მათი მასპინძლები ძალ-ღონეს არ იშურებენ, რომ მოხუცებმა თავი ბედნიერად იგრძნონ. სწორედ ამის მცდელობის გამომხატველია ის დღეობები, რომლებსაც მოხუცებს უკვე ერთი წელია ყოველი თვის ბოლოს უხდიან. დაბადების დღეების აღნიშვნა ჯგუფურად ხდება, ყოველი თვის ბოლოს. ამ დღეს ხან კონცერტები იმართება, ხანაც სპექტაკლები.

ნოემბრის იუბილართა დაბადების დღე "შეხვედრების სახლში" დეკემბრის პირველ რიცხვებში აღინიშნა. შეხვედრას განსაკუთრებული ელფერი შესძინეს ნარიყალას წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მგალობლებმა. იუბილარებს საჩუქრებიც ერგოთ: ქალები ქოლგებით დაასაჩუქრეს, ერთადერთი იუბილარი მამაკაცი კი – საშინაო ფეხსაცმლით. განსაკუთრებით ამაღელვებელი სწორედ ამ ხანდაზმული მამაკაცის ემოციური კომენტარი იყო: "ბავშვობის შემდეგ ასეთი ბედნიერი არ ვყოფილვარ, ეხლა ისევ გამახსენდა, რომ თურმე ჩემი დაბადების დღეც არსებობს და ეს კიდევ ვიღაცას ახსოვს",- თქვა მან.

მოხუცები არასამთავრობო ორგანიზაციის "შეხვედრების სახლის" წევრების უზომოდ მადლიერნი არიან. "მას შემდეგ, რაც ქმარშვილი დამეღუპა, ბედნიერი მხოლოდ აქ ვარ",- გვითხრა ერთ-ერთმა. ამგვარი მოხუცი აქ ძალიან ბევრია. ზოგი ოჯახის ბედნიერებასაა მოკლებული, ზოგიც თანამოაზრეს და მეგობარს; აქ კი ცდილობენ თითოეულ მათგანს აგრძნობინონ სითბო და სიყვარული.

ორი სიტყვით

თბილისი. აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) წელს საქართველოში ზამთრის გათბობის დახმარების პროგრამისთვის 6 მილიონ დოლარს გამოყოფს. ეს გადაწყვეტილება USAID-მა აშშ-ს სამთავრობო დელეგაციის თბილისში სტუმრობისას მიიღო. პროგრამის ბიუჯეტი წელს, შარშანდელთან შედარებით, 50 პროცენტით გაიზრდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის საბინაო მშენებლობით უცხოელი ინვესტორები დაინტერესდნენ, თუმცა ინვესტიციების ჩადებას, ჯერჯერობით, არ ჩქარობენ. მოლაპარაკებები ებრაელ და რუს ინვესტორებთან 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებამდე დაიწყო. არქიტექტურის სამსახურმა ტერიტორიები მათ მტკვრის მარცხენა სანაპიროზე შესთავაზა, ცნობილი პოლიტიკური მოვლენების გამო, საქმე დროებით შეჩერდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. გარე განათების ქართულ-გერმანული საწარმოს მშენებლობა, ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო, ჯერჯერობით, შეჩერდა. ამ ეტაპზე გერმანული მხარე თანამშრომლობაზე თავს იკავებს, თუმცა მოლაპარაკებები გრძელდება. გარე განათების ქართულ-გერმანული საწარმოს მშენებლობა ორხევის დასახლებაში არსებული "თბილგანათების" ძველი საწარმოს ტერიტორიაზე დაგეგმილი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის მერიის ადმინისტრაციული ინსპექცია ორშაბათიდან იმ პოლიტიკური პარტიების დაჯარიმებას დაიწყებს, რომელთაც კანონით გათვალისწინებული ვალდებულება არ შეასრულეს და საარჩევნო პლაკატები არ ჩამოხსნეს. ყველა პარტია, განურჩევლად პოლიტიკური ორიენტაციისა, ადმინისტრაციული კანონის შესაბამისად დაჯარიმდება და კვადრატულ მეტრზე 10-დან 25 ლარამდე ჯარიმას გადაიხდის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების დაფინანსებაში წლეულს, 11 თვეში, გარღვევა უკვე 58.5 მილიონ ლარს აჭარბებს. სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ინფორმაციით, მხოლოდ პენსიონერებისადმი დავალიანება, წლევანდელი ნოემბრის ჩათვლით, 52.8 მილიონ ლარს შეადგენს. ქვეყნის მასშტაბით დასრულებულია მაისისა და ივნისის თვის პენსიების გაცემა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. განათლების მუშაკთა პროფესიული კავშირი უკმაყოფილებას გამოთქვამს საგანმანათლებლო სისტემაში დასაქმებულთა სახელფასო დავალიანების გამო, თუმცა კატეგორიული განცხადებებისა და მოთხოვნებისაგან, ჯერჯერობით, თავს იკავებს. იქ დადებითად აფასებენ ფინანსთა მინისტრად ზურაბ ნოღაიდელის დანიშვნას და მასთან მოლაპარაკებების განახლებას მომავალი კვირიდან გეგმავენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თელავი. სოფელ ქისტაურის მოსახლეობამ გუშინ ელექტროენერგიის მოთხოვნით თელავი-ახმეტის საავტომობილო გზა გადაკეტა. მოსახლეობის განცხადებით, სოფელს ელექტროენერგია არათუ გრაფიკით, ზოგჯერ რამდენიმე კვირის განმავლობაშიც არ მიეწოდება. მოჭრილი ხით გადახერგილი გზა მოსახლეობამ მხოლოდ მას შემდეგ გახსნა, რაც ელექტროენერგიის გრაფიკით მიწოდების დაპირება მიიღო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. განათლების მეურნეობის საქალაქო სამსახურში უკმაყოფილონი არიან იმით, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასმული ახალი საქვაბეების ნაწილი განსაზღვრულ ნორმებს არ შეესაბამება და ხელახალ მონტაჟს საჭიროებს. მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი 1,5 მლნ დოლარით ახალი საქვაბეები ბერძნულ-ქართულმა კომპანია "სულისიმ" წელს 51 სკოლაში დაამონტაჟა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. დედაქალაქის საგანმანათლებლო დაწესებულებებმა ზამთრის სეზონისათვის მზადება დაიწყეს. ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიებმა უკვე დაიწყეს სკოლების თხევადი საწვავით მომარაგება, შეშით უზრუნველყოფა კი, ჯერჯერობით, პრობლემად რჩება. კომპანიები შეშის შესაძენად ნაღდ ანგარიშსწორებას მოითხოვენ, შესაბამისი თანხა კი თბილისის ბიუჯეტიდან ჯერ არ გადარიცხულა. **ინტერ-პრესი**

საგზაო პოლიციას ახალი უფროსი ჰყავს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში უკვე მეორე მაღალი თანამდებობის პირი დაინიშნა, რომლის სამხრეებსაც პოლიციური ჩინი არ ამშვენებს. საგზაო პოლიციის ახალი უფროსი შალვა ობგაიძე, რომლის დანიშვნასაც შს მინისტრმა გუშინ მოაწერა ხელი, პოლიციის სისტემაში გამოუწვრთნელი კადრია.

მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორი შალვა ობგაიძე, რომელიც ფრაქცია "ბურჯანაძე-დემოკრატების" წევრი იყო, თბილისის საკრებულოს ანტიკორუფციული კომისიის წევრი და მოძრაობის უსაფრთხოებისა და სატრანსპორტო კომისიის თავმჯდომარე გახლდათ. წლების მანძილზე მას საავტომობილო ფედერაციის გენერალური მდივნის პოსტი ეკავა.

გუშინ საგზაო პოლიციის ახალი ხელმძღვანელი დილიდან სახელმწიფო კანცელარიაში იმყოფებოდა და უშიშროების საბჭოს მდივნის მოვალეობის შემსრულებელთან ჯემალ გახოკიძესთან კონსულტაციებს მართავდა. ახალი ხელმძღვანელი საგზაო ინსპექციაში რეფორმების გატარებას გეგმავს. რეფორმისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯები ავტომაგისტრალებს დღეიდან შეეტყობა – საგზაო პოლიციის უფროსის ბრძანებით, უკვე გაუქმდა საგზაო პოლიციის საგუშაგოები და შლაგბაუმები. **"თუ თქვენ მოძრაობის წესებს არ დაარღვევთ და ტყუილად არ გაგაჩერებენ, ეს უკვე იქნება ჩვენ მიერ წინ გადადგმული ნაბიჯის რეალური შედეგი,"** – აცხადებს შალვა ობგაიძე, რომელიც იმიჯშელახულ საგზაო პოლიციაში საკადრო ცვლილებების განხორციელებასაც გეგმავს, თუმცა, მისი განცხადებით, **"ვინმეს მოხსნა თვითმიზანი არ იქნება, რადგან ამ სისტემაში ძალიან ბევრი კარგი სპეციალისტი მუშაობს, მაგრამ ის დრო დამთავრდა, როდესაც ინსპექტორები ავტომობილებს მფლობელებს ყოველგვარი მიზეზის გარეშე აჩერებდნენ და ფულს სძალავდნენ ".**

რაც შეეხება საგზაო პოლიციის ძველ უფროსს: კობა ნარჩემაშვილის მინისტრობის ბოლო პერიოდში პოლიციური კარიერის სიმაღლეებისკენ დაწყებული სვლა დავით კაჭკაჭიშვილმა რამდენიმე დღის წინ კრახით დაასრულა. შს მინისტრის მოადგილედ მისი დანიშვნის თაობაზე დაწერილი ბრძანების ამოქმედება გია ბარამიძემ მეორე დღესვე შეაჩერა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ახალდანიშნულ მინისტრს დაუმორჩილებლობის კომიტეტის წევრები ესტუმრნენ და საკადრო პოლიტიკაში დაშვებული ხარვეზების შესახებ შენიშვნა მისცეს. როგორც აღმოჩნდა, საგზაო პოლიციის ყოფილი უფროსის რამდენიმე კვირიანი საქმიანობის შესახებ ანტიკორუფციულმა საბჭომ სერიოზული დოკუმენტი მოიპოვა და მასალები გამოსაძიებლად პროკურატურას გადასცა. დავით კაჭკაჭიშვილი ამჟამად კადრების განკარგულებაში იმყოფება და პროკურატურის ვერდიქტს ელის.

დავით კაჭკაჭიშვილის მიერ გამოთავისუფლებული კიდევ ერთი თანამდებობა, რომელზეც იგი საგზაო პოლიციაში გადასვლამდე მუშაობდა - შსს-ს კორუფციისა და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს უფროსის პოსტი დავით ჩხატარაშვილს ერგო. დავით ჩხატარაშვილი იმავე სამსახურს უშიშროების სამინისტროში ხელმძღვანელობდა.

გია ბარამიძის გადაწყვეტილებით, თანამდებობიდან გათავისუფლდა შს ოპერატიული დაზვერვის მთავარი სამმართველოს უფროსი მურთაზ ჭაფოძე და ამ პოსტზე დანიშნა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ყოფილი თანამშრომელი ავთანდილ ანთაძე.

ტერორისტული ქსელი საქართველოში პოლიტიკური ტერაქტების განხორციელებას გეგმავს

ინგა ალავიძე

დღეს უშიშროებისა და შს მინისტრები გენერალურ პროკურორთან იკრიბებიან. სამართალდამცველი უწყების თავკაცები ქვეყანაში არსებული დაძაბული კრიმინოგენული სიტუაციის შესახებ იმსჯელებენ და კონკრეტულ სამოქმედო გეგმასაც შეიმუშავებენ. "ქვეყანაში დინამიური ქაოსის შექმნის მცდელობაა, ამ პროცესებს როგორც შიდა, ისე გარე ძალები გეგმავენ," - ასეთი განცხადება გააკეთა გუშინ უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ და მოსალოდნელი საფრთხის შესახებ კიდევ ერთხელ ისაუბრა.

უშიშროების მინისტრი მოსალოდნელ ტერაქტებზე მიანიშნებს.

უშიშროების მინისტრის ინფორმაციით, სამინისტროს თანამშრომლებმა ვაზიანის დასახლებაში დააკავეს 54 წლის საშა შომახია და დაბა ვაზიანის სამხედრო დასახლების მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული იარაღის სათავსოდან, რომელიც შომახიას ეკუთვნოდა, 12 კაფსულადეტონატორი, 5 ელექტროკაფსულა დეტონატორი, 11 კაფსულა, საბრძოლო დეტონატორები, ტანკსაწინააღმდეგო ნაღმები, ხელყუმბარები და სხვა საბრძოლო მასალა ამოიღეს.

გარდა ამისა, იარაღის საცავში ნაპოვნია პლასტელინის მსგავსი 77 ნაჭერი, რომლებიც 200 კილოგრამამდე ასაფეთქებელ ნივთიერება ტროტილს შეიცავს. ვალერი ხაბურძანიას განცხადებით, გუშინწინ სახელმწიფო ტელევიზიასთან მომხდარი ტერაქტისას სწორედ 200 გრამი ტროტილი აფეთქდა. უშიშროების სამინისტროს სპეციალისტები ექსპერტიზას უტარებენ სამალავში აღმოჩენილ ტროტილს, რის შემდეგაც დადგინდება, ამოღებული და ტელევიზიასთან აფეთქებული ნივთიერებები იდენტურია თუ არა. **"აღმოჩენილი იარაღი რუსული წარმოებისაა და, სავარაუდოდ, ვაზიანის ყოფილ რუსულ სამხედრო ბაზაზეა შეგროვებული. შესაძლებელია, საწყობი საშუალო ბაზაა იმ ჯგუფებისთვის, რომლებიც ტელევიზიასთან მომხდარი აფეთქების მსგავსი ინციდენტების თბილისში მოწყობას გეგმავენ. სავარაუდოდ, ანალოგიური სამხედრო ბაზები საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზეც არსებობს და მათ გამოსავლენად სამინისტრო ოპერატიულ საქმიანობას აწარმოებს,"** – აცხადებს უშიშროების მინისტრი.

"ეს პროცესები თუ კონტროლის ქვეშ არ მოვაქციეთ, შეიძლება მდგომარეობა შორს წავიდეს," – ამბობს ვალერი ხაბურძანია და ტერაქტების სერიალის განხორციელების შესახებ გამოთქვამს ვარაუდს. **"სავარაუდოდ, ტერორისტთა ქსელი, რომელსაც ეს სამხედრო ბაზები ეკუთვნის, პოლიტიკური ნიშნით ტერაქტების განხორციელებას გეგმავს,"** – ასეთია ვალერი ხაბურძანიას ოპერატიული ინფორმაცია, თუმცა, იგი არ აკონკრეტებს, რა ძალები დგანან ტერორისტული ქსელის უკან. **"ერთობლივად მოქმედებენ შიდა და გარე ძალები,"** – აცხადებს მინისტრი.

ამიტომაც, უშიშროების მინისტრი მოსახლეობას განსაკუთრებული მობილიზაციისა და სიფრთხილისკენ მოუწოდებს. ვალერი ხაბურძანია და ტერაქტების სერიალის განხორციელების შესახებ გამოთქვამს ვარაუდს. **"სავარაუდოდ, ტერორისტთა ქსელი, რომელსაც ეს სამხედრო ბაზები ეკუთვნის, პოლიტიკური ნიშნით ტერაქტების განხორციელებას გეგმავს,"** – ასეთია ვალერი ხაბურძანიას ოპერატიული ინფორმაცია, თუმცა, იგი

ტოტალური ტერორი არ დაწყებულა, თუმცა საფრთხე არსებობს

თუ გუშინწინ, ღამით მომხდარმა აფეთქებამ და აფეთქების შემდეგ განხორციელებულმა, მუქარის შემცველმა სატელეფონო ზარმა სახელმწიფო ტელერადიოკორპორაციის მუშაობას შეუშალა ხელი, კიდევ ერთმა სატელეფონო ტერორისტის ზარმა გუშინ უკვე კერძო საინფორმაციო საშუალებების თანამშრომლები გამოიყვანა გარეთ.

საინფორმაციო სააგენტო "ინტერ-პრესის", რადიო "იმედისა" და სტუდია "აუდიენციის" თანამშრომლებს გუშინ სამუშაო ადგილების დატოვება მოუწიათ. სპორტის სასახლის მახლობლად, ალექსიძის ქუჩის 3-ში მდებარე შენობიდან, იქ განლაგებული საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენელთა ევაკუაცია სატელეფონო ტერორისტის ზარმა გამოიწვია. უცნობმა მამაკაცმა სტუდია "აუდიენციაში", დაახლოებით, დღის 5-ის ნახევარზე დარეკა. მან ტელეფონთან მისულ თანამშრომელს აუწყა, რომ შენობაში ჩამონტაჟებულია ასაფეთქებელი ნივთიერება, რომელიც მალე აფეთქდება.

შენობა მალევე დაიცალა, თუმცა, ადგილზე მისულმა სამართალდამცველებმა ვერც შენობის, ვერც მისი შემოგარენის დათვალიერებისას საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინეს.

რაც შეეხება, გუშინწინ სახელმწიფო ტელევიზიასთან მომხდარ აფეთქებას, მომხდარის გამო სისხლის სამართლის საქმე საბოტაჟის მუხლით აღიძრა და მისი გამოძიება უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს დაევალა. უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსის მალხაზ სალაყაიას თქმით, შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია ყველა მასალა, რომელზეც შეიძლებოდა ასაფეთქებელი ნივთიერების კვალი დარჩენილიყო.

მისივე განცხადებით, ამოღებულია კედლის ანაფხეკიც, რომელზეც შერუჯვის კვალია დატოვებული. სალაყაიას განმარტებით, ამგვარი კვალი, სავარაუდოდ, ასაფეთქებელმა მოწყობილობამ დატოვა.

უშიშროების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ცენტრის ხელმძღვანელის ნიკა ლალიაშვილის თქმით, ტელევიზიასთან მომხდარი აფეთქების მოსაწყობად გამოყენებული იყო 200-300 გრამი ასაფეთქებელი ნივთიერება, ამიტომ არის ეჭვი ტერაქტზე, თუმცა გამოძიება საბოლოოდ დაადგენს, რა მოხდა ტელევიზიის შენობასთან. მისი განცხადებით, ბოლო დროს გახშირდა ანონიმური ზარები ამა თუ იმ შენობაში ბომბის არსებობის შესახებ, თუმცა, არც ერთი ასეთი ფაქტი არ დადასტურდა.

გუშინვე სატელეფონო ტერორისტთა აქტივობის ზუსტი ციფრი დაახსნელა უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ. მისი თქმით, წელს 200 ასეთი სატელეფონო ზარი დაფიქსირდა და შესაბამისი სამსახურები ყველა მათგანზე ახდენენ რეაგირებას. უშიშროების სამინისტრო ამ ეტაპზე უარყოფს მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადასვლას. ნიკა ლალიაშვილის განცხადებით: **"სპეცსამსახურები ჩვეულებრივ რეჟიმში მუშაობენ, მაგრამ სიტუაციის გამწვავების შემთხვევაში - ასეთი სიგნალები კი არსებობს - ისინი მაქსიმალურად იქნებიან მობილიზებულნი".**

მისი თქმით, საქართველოში სიტუაციის გამწვავების საფრთხე არსებობს, მაგრამ მტკიცება იმის შესახებ, თითქოს ტოტალური ტერორი დაიწყო, სინამდვილეს არ შეესაბამება.

24 საათი

„გაერთიანებული ქართული ბანკი" დააყაჩაღეს

თამარ კაკიტაძე

გუშინ თბილისში ყაჩაღობის კიდევ ერთი ფაქტი დაფიქსირდა. ამჯერად თავდამსხმელთა სამიზნე ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე "გაერთიანებული ქართული ბანკის" ფილიალი აღმოჩნდა.

სამართალდამცველთა ინფორმაციით, დილით "გაერთიანებულ ქართულ ბანკში" უნიღბოდ, პისტოლეტებით შეიარაღებული ოთხი პიროვნება შეიჭრა. თვითმხილველთა თქმით, ორ მათგანს პოლიციის ფორმა ეცვა. მიუხედავად იმისა, რომ ბანკს რამდენიმეკაციანი დაცვა ჰყავს, მათ თავდამსხმელებს წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. მეტიც, ყაჩაღებმა დაცვის თანამშრომლების განიარაღება მოახერხეს, თანაც ისე, რომ ბანკის არცერთი თანამშრომლისთვის ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ. ასეთი "მშვიდობიანი" გზით დამნაშავეებმა სალაროდან, პირველადი მონაცემებით, 50 ათასი დოლარი და 30 ათასი ლარი უპრობლემოდ გაიტაცეს.

როგორც ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორმა თამაზ გეთიამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ბანკში მისვლამდე დამნაშავეებმა ტაქსის მძღოლი დააყაჩაღეს და მას მანქანა წაართვეს. ჭავჭავაძის გამზირზე თავდამსხმელები სწორედ აღნიშნული ტაქსით მივიდნენ და შემდეგ, შემთხვევის ადგილიდან იმავე მანქანით მიიმალნენ. ამ პერიოდისთვის ავტომობილი ნაპოვნი არ არის.

გუშინვე ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურაში, სადაც აღნიშნულ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, დაიკითხა ტაქსის დაზარალებული მძღოლი (პირადი უსაფრთხოების მიზნით, მისი ვინაობა არ სახელდება). გეთიას თქმით, მძღოლს შეუძლია ოთხივე პიროვნების ამოცნობა, თუმცა ამ ეტაპზე ეჭვმიტანილთა სავარაუდო ვინაობაც კი არ არის დადგენილი.

"გაერთიანებული ქართული ბანკის" დაყაჩაღებასთან დაკავშირებით გამოძიებას რამდენიმე გასაიდუმლოებული დეტალი აქვს. მათ შორის არის სატელეფონო ზარი. გავრცელებული ინფორმაციით, ბანკის დაყაჩაღებამდე რამდენიმე წუთით ადრე ბანკის მოლარეს მობილური ტელეფონით დაუკავშირდნენ. რა სახის საუბარი შედგა ყაჩაღებსა და მოლარეს შორის, პროკურატურა მკაცრად ასაიდუმლოებს. პროკურორის თქმით, აღნიშნული საუბარი გამოძიებისთვის მეტად მნიშვნელოვანია და მისი გამჟღავნება გამოძიების მსვლელობას ხელს შეუშლის.

კიდევ ერთი დეტალი. "გაერთიანებულ ქართულ ბანკში" დამონტაჟებულია ვიდეოკამერა, თუმცა თამაზ გეთია არ გვიდასტურებს - დაფიქსირდა თუ არა დაყაჩაღების ფაქტი ფირზე. "ვიდეოკამერა ბანკში მართლაც არის დამონტაჟებული, მაგრამ დაყაჩაღების დროს ჩართული იყო თუ არა, არ ვიცი," – გვითხრა პროკურორმა. არადა, ჩვენი ინფორმაციით, ბანკში მომხდარი ინციდენტის ვიდეოჩანაწერი არსებობს და გამოძიება გუშინ სწორედ მის გაშიფვრაზე მუშაობდა. აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ უახლოეს მომავალში დამნაშავეების ვინაობა დადგინდეს და ისინი დააკავონ კიდეც. ამასთან, მოსალოდნელია, დაყაჩაღების ხელშემწყობი თავად ბანკშიც აღმოჩნდეს.

რა უნდოდა ბერეზოვსკის საქართველოში?

ბორის ბერეზოვსკის თბილისში ვიზიტს არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთსა და დიდ ბრიტანეთშიც საკმაო გამოხმაურება მოჰყვა. გთავაზობთ, რამდენიმე ნაწყვეტს რუსი ოლიგარქის საქართველოს დედაქალაქში სტუმრობის შესახებ უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან.

"ბი ბი სი"

ნაწყვეტი ბერეზოვსკის ინტერვიუდან

- საინფომაციო სააგენტოების გამოხმაურების მიხედვით, თქვენი ვიზიტი მნიშვნელობით შევარდნაძის გადადგომას გაუთანაბრდა. ხომ არ მოჰფენდით ნათელს თქვენს საიდუმლოებით მოცულ ვიზიტს?

- მართალი გითხრათ, მეც, ცოტა არ იყოს, გაკვირვებული ვარ ამ აურზაურით. თბილისში ჩემს მეგობართან, ბადრი პატარკაციშვილთან ჩავედი, რომელსაც თავად ჩემთან ჩამოსვლა არ შეუძლია, რადგანაც, ჩემი არ იყოს, რუსეთის გენერალური პროკურატურა მის ექსტრადიციასაც ითხოვს. მე კი აქ, ინგლისში, პოლიტიკური თავშესაფარი მომცეს, მომცეს საბუთი, რომელიც საშუალებას მაძლევს, ვიმგზავრო სხვადასხვა ქვეყნებში. ამ საბუთით უკვე ვიყავი ისრაელში. არც იქ და არც საქართველოში არავითარი პრობლემა არ შემქმნია".

"ბი ბი სი"-სთვის მიცემულ ინტერვიუში ბერეზოვსკი ხსნის იმ სახელისა და გვარის წარმომავლობას, რომლითაც მან საქართველოს საზღვარი გადმოლახა. მისი თქმით, პოლიტიკური თავშესაფრის მინიჭებასთან ერთად, დიდმა ბრიტანეთმა ცნო რუსეთის მხრიდან დევნისგან მისი დაცვის უფლებაც და დათანხმდა სხვა სახელითა და გვარით მისთვის სამგზავრო დოკუმენტის გაცემაზე. პლატონ ელენინი – ეს სახელი და გვარი ბერეზოვსკისთვის განსაკუთრებული დატვირთვის მატარებელი აღმოჩნდა. ფილმ "ოლიგარქში" მისივე პროტოტიპის სახელია პლატონი, ხოლო რუსი ოლიგარქის ცოლის სახელი - ელენე მოგონილ გვარს დაედო საფუძვლად. სულ ეს გახლავთ ბერეზოვსკის საბუთებში აღმოჩენილი პლატონ ელენინის საიდუმლო.

ბორის ბერეზოვსკის სულაც არ უკვირს, რომ ჟენევის კონვენციის წევრ საქართველოში ვიზიტისას მას არავითარი სამართლებრივი პრობლემა არ შექმნია, სამაგიეროდ, სკანდალურ ოლიგარქს უკვირს მიხეილ სააკაშვილის მიერ გამოხატული პოზიცია.

"დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს პრეზიდენტი ისევ შევარდნაძე რომ იყოს, არც ის იქნებოდა ჩემი ჩასვლის წინააღმდეგი... მაგრამ ძალიან გამაკვირვა სააკაშვილის რეაქციამ. მე გადმომცეს, რომ სააკაშვილი აღშფოთებულია და ასე შემდეგ... თურმე კიდეც ითხოვდა, რომ... მოთხოვნა მან მას შემდეგ დაიწყოს, რაც საქართველოს პრეზიდენტი გახდება, მგონი, ჯერ არ აურჩევიათ. აღშფოთება კი მისი პირადი საქმეა...", - ამბობს ბორის ბერეზოვსკი "ბი ბი სი"-სთვის მიცემულ ინტერვიუში.

გაზეთი "სეგოდნია"

"საინტერესოა, რაში დასჭირდა ბაბ-ს (ასე მოიხსენიებს ხოლმე რუსული პრესა ბორის აბრამის ძე ბერეზოვსკის), რომელსაც შესანიშნავად იცნობენ საქართველოში, სხვა სახელითა და გვარით, კონსპირაციულად შეღწევა. მით უმეტეს, რომ, როგორც საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, მის დაკავებას ან გაჩხრეკას არც არავინ აპირებდა; მაშინაც კი, როცა მთელ მსოფლიოში ყალბი პასპორტის გამოყენება სისხლის სამართლის დანაშაულია.

ბაბ-მა თბილისში ექვსი საათი დაჰყო (როგორც ამბობენ, ძირითადად, პატარკაციშვილთან ურთიერთობდა, თუმცა, არ გამოირიცხება, რომ ვინმე სხვასთანაც) და გამთენიისას ლონდონში დაბრუნდა. ელცინის დროს, რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ყოფნისას, იგი ხშირად ჩადიოდა თბილისში, თუმცა, რუსეთის ხელისუფლების მხრიდან ძებნილად გამოცხადებულმა საქართველოში სტუმრობა მხოლოდ შევარდნაძის გადადგომის შემდეგ შეძლო.

გამოდის, რომ, თუ ფედერალურ ან საერთაშორისო ძებნილად ხართ გამოცხადებული, სასწრაფოდ შეიძინეთ ყალბი პასპორტი და საქართველოში გაემგზავრეთ, უსაფრთხოება გარანტირებულია".

"მოსკოვსკი კომსომოლეცი"

"მალე, ალბათ, ახალ ანეგდოტს გაიგებთ "დაკვირვებული ქართველი მესაზღვრეების" შესახებ. თბილისის აეროპორტში გუშინ გათამაშებული სცენა ამას იმსახურებს. ლონდონიდან თბილისში, მეგობარ ბადრი პატარკაციშვილთან ჩასული ბორის ბერეზოვსკი ადგილობრივმა სასაზღვრო სამსახურმა ამოიცნო და საზღვარზეც გაატარა მას შემდეგ, რაც მან სულ სხვა სახელისა და გვარის პიროვნებაზე გაცემული პასპორტი წარადგინა. ჟურნალისტების შეკითხვაზე სასაზღვრო სამსახური მრავალმნიშვნელოვნად პასუხობდა: "ბერეზოვსკიზე ჩვენთან ძებნა არ არის გამოცხადებული, ელენინის გვარზე გაცემულ დოკუმენტებში კი ყველაფერი წესრიგში იყო". ესე იგი, თუ დოკუმენტები წესრიგში იყო, "ყალბი" თავად ბერეზოვსკი გახლდათ...", - ასეთი სატირით დაწყებული პუბლიკაცია სერიოზული შეკითხვით გრძელდება: რა მიზნით ჩავიდა ბერეზოვსკი საქართველოში?

"მოსკოვსკი კომსომელეცს" საეჭვოდ მიაჩნია ბოლო ხანებში ავანსცენიდან ბადრი პატარკაციშვილის გაქრობა, რომელიც, მისი ჟურნალისტების ინფორმაციით, ქართული პროექტის - "მემკვიდრის" ძირითადი პასონსორი იყო.

"მისი ფულით შექმნილ მედიაიმპერიას ხელისუფლებაში შევარდნაძის ხელდასხმულის მოსვლა უნდა უზრუნველყო, სანაცვლოდ, შევარდნაძე მისი ხელშეუხებლობის გარანტი გახლდათ", - წერს გაზეთი და ეჭვობს, რომ ხავერდოვანი რევოლუციის შემდეგ საქართველოში შექმნილი სიტუაცია, რომლის დროსაც ფული უძლურია და შესაძლოა, პატარკაციშვილსაც საფრთხე ემუქრებოდეს.

"ჯერ არავინ იცის, როგორ მიუდგებიან რევოლუციონერები პატარკაციშვილის საქართველოში ყოფნას, - წერს "მოსკოვსკი კომსომოლეცი", - არსებობს სრული საფუძველი იმისა, რომ, სავარაუდოდ, პატარკაციშვილი შევარდნაძესთან მჭიდრო ურთიერთობას ინარჩუნებს. შევარდნაძის კრწანისის რეზიდენციის ირგვლივ კი, ზურაბ ჟვანიას თქმით, ყველა უკმაყოფილო იკრიბება. ცნობილია, რომ წაგებულები განიხილავენ სერიოზული ფინანსური საშუალებების კონცენტრირების საკითხს საიმისოდ, რომ ჟვანია-სააკაშვილი-ბურჯანაძის ტრიუმვირატი ჩამოაგდონ.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ბერეზოვსკის საიდუმლო ვიზიტი სწორედ ამ საქმიანობას უკავშირდება. შეიძლება იმის ვარაუდიც, რომ ოლიგარქმა სწორედ საქართველოსთან დააკავშირა რუსულ პოლიტიკაში დაბრუნების იმედები.

მეგობარ ბადრისთან ტელეფონის გარეშე სიტუაციის განსჯა და რევანშისთვის ნაღდი ფულის გაღება - შესაძლოა, სწორედ ეს გახლდათ მისი თბილისში ჩაფრენის მიზეზი. ასე რომ, სულაც არ არის გამორიცხული, ბერეზოვსკიმ ქართული კონტრევოლუციის მთავარი "საფულის" როლი შეასრულოს", - ასეთი გახლავთ "მოსკოვსკი კომსომოლეცის" ვარაუდი.

მოკლედ

უშიშროების თანამშრომელი მოკლეს

უშიშროების სამინისტროს თანამშრომელი, 26 წლის ირაკლი ბასილაშვილი საკუთარ სახლთან, ქავთარაძის ქუჩის №24-ში მდებარე კორპუსის მე-9 სართულის ლიფტთან მოკლეს. როგორც თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორმა თამაზ გეთიამ განაცხადა, გარდაცვლილს ცეცხლსასროლი იარაღი ზურგში აქვს მოხვედრილი. წინასწარი ინფორმაციით, მკვლელობას წინ უძღოდა შელაპარაკება. გამოძიება სავარაუდო ეჭვმიტანილის ვინაობას ჯერჯერობით არ ამხელს. მკვლელობის ფაქტს ერთი თვითმხილველი ჰყავს, რომლის დაკითხვა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გუშინ ვერ მოხერხდა.

მედია-ნიუსი

ოთხმხრივი შეხვედრა ძველი პრობლემები და პერსპექტივები

გუშინ ჭუბურხინჯის ტრადიციულ ოთხმხრივ შეხვედრაზე მხარეებმა კვირის განმავლობაში კონფლიქტის ზონაში შექმნილ მდგომარეობაზე ისაუბრეს.

ქართული მხარის წარმომადგენლის, ზუგდიდის საოლქო პროკურორის მოადგილის მებრძოლი ჭკადუას განცხადებით, უკვე თვეზე მეტია, 12-კილომეტრიან უსაფრთხოების ზოლში სერიოზული შეიარაღებული დაპირისპირება არ დაფიქსირებულა, თუ არ ჩავთვლით წვრილმან ქურდობებს და ყაჩაღობის რამდენიმე ფაქტს.

მებრძოლი ჭკადუა შეხვედრაზე ახალი წინადადებით წარდგა და მხარეებს ქართველი და აფხაზი სამართალდამცველების ერთობლივი მუშაობის შესახებ შემუშავებული გეგმა შესთავაზა. გეგმის თანახმად, ჭკადუა აპირებს ტრადიციული გახადოს (ჭუბურხინჯის შეხვედრის მსგავსად) ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ტყვარჩელის, გალის და ოჩამჩირის რაიონების პროკურორებისა და პოლიციის უფროსების შეხვედრა.

ჭკადუას იმედი აქვს, რომ მისი პროექტი გამოხმაურებას ჰპოვებს და გეგმა განხორციელებული იქნება.

გარდა ამისა, მებრძოლი ჭკადუა არც უარყოფს და არც ადასტურებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ შესაძლოა, აფხაზეთის ტერიტორიაზე იგორ გიორგაძე იმყოფებოდეს. მისი განცხადებით, ეს უფრო "დიდი პოლიტიკის" საკითხია და შეხვედრაზე ამ თემაზე არ ისაუბრებენ.

ინტერ-პრესი

ვოლიცია ნარკომანებისგან იწმინდება

პირველი გვერდიდან

მომხდართან დაკავშირებით, თავად მახარაძე კომენტარს არ აკეთებს. თუმცა, როგორც მისი ახლობლები ირწმუნებიან, ისინი ბოლომდე იბრძოლებენ, რათა კობა მახარაძის უდანაშაულობა დაამტკიცონ.

გუშინვე მახარაძის ბედი გაიზიარა ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის სამძებროს ერთ-ერთმა თანამშრომელმა. ვინაიდან ამ უკანასკნელის ანალიზის საბოლოო პასუხი გუშინ ცნობილი არ იყო, ამიტომ მისი გვარის დასახელებისგან გენერალური ინსპექციის უფროსმა თავი შეიკავა. აღნიშნული პიროვნებაც ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა ნარკოლოგიურ დისპანსერში მიიყვანეს. წინასწარი ინფორმაციით, იგი ოპიუმის მოხმარებაშია "ეჭვმიტანილი".

როგორც დავით ჯინჯოლავა გვპირდება, ნარკომანი თანამშრომლების წინააღმდეგ ბრძოლა ამით არ დასრულდება. უახლოეს დღეებში იგი კიდევ რამდენიმე ნარკომანი მაღალჩინოსანი პოლიციელის დასახელებას აპირებს.

მინისტრის განკარგულებით, ერთი კვირის განმავლობაში ყველა განყოფილების უფროსმა უწყებიდან ნარკომანი თანამშრომელი უნდა დაითხოვოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, დათქმული ვადის შემდეგ, თუ პოლიციის რომელიმე განყოფილებაში ნარკომანი პოლიციელი გამოვლინდება, მასთან ერთად თანამდებობას ის უფროსიც დაემშვიდობება, რომელიც უღირს თანამშრომელს მფარველობს.

პოლიციაში დაწყებული საკადრო წმენდა რომ ერთჯერადი ღონისძიება არ არის, ისიც მეტყველებს, რომ ახალმა მინისტრმა პირველი ნაბიჯების გადადგმა სწორედ შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის გაძლიერებით დაიწყო. მართალია, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილება, რომელიც სპეციალურად ნარკომანი თანამშრომლების გამოვლენის მიზნით იყო შექმნილი, აქამდეც არსებობდა და იგი ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულ ბიუროს ექვემდებარებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მისი მუშაობის შედეგით ახალი მინისტრი ვერ დაკმაყოფილდა. ამ სამსახურმა ერთი წლის განმავლობაში 30 ნარკომანი თანამშრომელი გამოავლინა, სამაგიეროდ, მას შემდეგ, რაც იგი გენერალურ ინსპექციას დაექვემდებარა, მხოლოდ ერთ კვირაში რვა ნარკომანი პოლიციელია გამოვლენილი.

თუმცა, როგორც დავით ჯინჯოლავა აღნიშნავს, შს სამინისტროში ბრძოლა მხოლოდ ნარკომანიის კუთხით არ გააქტიურებულა. გენერალურ ინსპექციას კიდევ ერთი ახალი ფუნქცია – შიდა აუდიტის განხორციელება დაემატა. ანუ ჯინჯოლავას სამსახური კონტროლს განახორციელებს პოლიციის ყველა უწყებაში საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კანონიერებაზე. ე.ი. უახლოეს მომავალში შესაძლებელია კორუმპირებულ პოლიციელთა სიაც ვიხილოთ.

პოლიციის გაწმენდაში კი, მინისტრის გადაწყვეტილებით, მონაწილეობა თავად საზოგადოებამაც უნდა მიიღოს. ამისათვის გენერალურ ინსპექციაში უკვე ამოქმედდა ცხელი ხაზი.

"დარეკეთ ნომრებზე 99 53 50 და 98 39 43 და პოლიციელთა მხრიდან დაშვებული დანაშაულების შესახებ შეგვატყობინეთ," – ამ სიტყვებით მიმართა გენერალური ინსპექციის უფროსმა დავით ჯინჯოლავამ საზოგადოებას.

შინაგან საქმეთა სამინისტროში საკადრო წმენდა გრძელდება.

მიხეილ სააკაშვილი თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის უფლებამოსილებას იხსნის

"ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი, პრეზიდენტობის კანდიდატი მიხეილ სააკაშვილი დღეს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის უფლებამოსილებას მოიხსნის. დღესვე საკრებულომ ახალი თავმჯდომარე უნდა აირჩიოს.

როგორც "ნაციონალმა" კობა ბექაურმა განაცხადა, სააკაშვილი საკრებულოს დატოვებას არ აპირებს და იგი 4 იანვრის არჩევნებამდე საკრებულოს რიგით წევრად რჩება.

რაც შეეხება თბილისის საკრებულოს ახალ თავმჯდომარეს, ამ პოსტზე ყოფილი "ლეიბორისტი", "ნაციონალურ მოძრაობასთან" კოალიციაში მყოფი ფრაქცია "დედაქალაქის" თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი სახელდება.

"ნაციონალების" მიერ შეთავაზებულ კანდიდატურას მხარს ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" წევრებიც დაუჭერენ. მიუხედავად იმისა, რომ "ლეიბორისტების" და "ახალი მემარჯვენეების" ფრაქციებში ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ბეგაშვილის კანდიდატურასთან დაკავშირებით არ არსებობს, ამ უკანასკნელს საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დასამტკიცებლად საჭირო ხმათა უმრავლესობა (25 ხმა) გარანტირებული აქვს. **ინტერ-პრესი**

არჩევნების მონიტორინგი

არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიან არჩევნებს", საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებზე მონიტორინგის განხორციელების თვალსაზრისით, შესაძლოა ალტერნატივა გამოუჩნდეს – "არასამთავრობო ორგანიზაციათა საზოგადოებრივი შტაბი" მომავალ არჩევნებზე ამომრჩეველთა ხმების პარალელური დათვლისთვის ემზადება.

როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე ორგანიზაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, ამ ინიციატივის განხორციელების მიზნით მათ კონსულტაციები უკვე გაიარეს ცესკო-სთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და აჭარის წარმომადგენლობასთან.

"საზოგადოებრივი შტაბი" 20 არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს და იგი მიმდინარე წლის 7 ნოემბერს ჩამოყალიბდა. გაერთიანების ერთ-ერთი ხელმძღვანელის დავით ლილუაშვილის განცხადებით, შტაბი 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში "ღირსეულად გამარჯვებული" პოლიტიკური ძალების მხარდასაჭერად შეიქმნა.

შტაბში გაერთიანებულნი არიან "საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი", "სამოქალაქო ზედამხედველობის საბჭო", "მძღოლთა უფლებების დაცვის ასოციაცია", "ახალგაზრდული კავშირი", "იურისტები და ჟურნალისტები ადამიანის უფლებებისთვის", "ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი", "ჰააგის კლუბი", "ეკოლოგიისა და სამართლის ინსტიტუტი", საზოგადოება "ბავშვებზე ძალადობის წინააღმდეგ", საქველმოქმედო კავშირი "ვაკე-საბურთალო 2002", სტუდენტ-მედიკოსთა ასოციაცია "ჯანსაღი სახელმწიფოს პარადიგმა", "ქალთა დაცვის კავშირი" და სხვა. მათგან რამდენიმე ორგანიზაცია თბილისის საკრებულოსთან აქტიურად თანამშრომლობს.

ინტერ-პრესი

ჰაიდი ტალიავინი სოხუმში მიემგზავრება

აფხაზეთის თვითგამოცხადებული ხელისუფლების წარმომადგენლებთან შესახვედრად გამგზავრებამდე, ჰაიდი ტალიავინმა ახალი ხელისუფლება მოინახულა. გაერო-ს სპეციალური წარმომადგენელი საქართველოში დღეს სოხუმში იმის გარკვევას შეეცდება, თუ მაინც რაზე საუბრობდნენ დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები მოსკოვში გამართული "საიდუმლო სერობისას". თავისი მცდელობის კონკრეტული შედეგების შესახებ ინფორმაციის მოწოდებას ტალიავინი უკვე მომავალ კვირისათვის გვპირდება. სახელმწიფო მინისტრის შემდეგ, იგი მოქმედ პრეზიდენტს ნინო ბურჯანაძეს შეხვდა. ბურჯანაძეს მან გაერო-ს გენერალური მდივნის კოფი ანანის წერილიც გადასცა. წერილში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გადასაჭრელად კვლავ მშვიდობიანი მოლაპარაკებების გაგრძელებაზეა საუბარი. ამ პროცესში, რუსეთთან ერთად, საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენლები უნდა იყვნენ ჩართული, - გვირჩევს გაერო-ს გენერალური მდივანი.

24 საათი

ბერეზოვსკის ვიზიტის გამო მოსკოვი საქართველოს პასუხს ითხოვს



კაცი, რომელსაც სკანდალი თან სდევს.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს ელჩს რუსეთში ზურაბ აბაშიძეს გადასცა ნოტა, რომელიც თბილისში ბორის ბერეზოვსკის ვიზიტს ეხება.

რუსეთის საინფორმაციო წყაროები იტყობინებიან, რომ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ცნობით, 3 დეკემბრის ღამეს თბილისში ბორის ბერეზოვსკი ჩაფრინდა. „საქართველო კარგად არის ინფორმირებული იმის შესახებ, რომ ბორის ბერეზოვსკიზე ინტერპოლმა საერთაშორისო ძებნა გამოაცხადა. ამასთან, საქართველოს მხარე ოფიციალურად ადასტურებს, რომ ბერეზოვსკიმ ვიზასთან ერთად წარადგინა სხვა პირზე გაფორმებული პასპორტი, რომელიც ლონდონში გაიცა. თუკი ყოველივე სიმართლეს შეეფერება, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ითხოვს განმარტებებს: საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა რის საფუძველზე არ მიიღეს შესაბამისი ზომები ბერეზოვსკის დასაკავებლად და რუსეთის მხარისთვის მის გადასაცემად“, – ნათქვამია რუსეთის საგარეო უწყების ნოტაში.

საქართველოს პრეზიდენტის პრესმდივანმა გიორგი არველაძემ ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ბერეზოვსკის ხანმოკლე ვიზიტს თბილისში არანაირი კავშირი არ ჰქონია საქართველოს ხელისუფლებასთან. საქართველოს ახალი ხელისუფლება არ აპირებს გადადგას ისეთი ნაბიჯი, რომელიც რუსეთთან ურთიერთობას გაამწვავებს.

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს დაევალა, გაარკვიოს ის დეტალები, რომელიც ბერეზოვსკის ბლიც-ვიზიტს უკავშირდება. როგორც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი გიგი წერეთელი აცხადებს, გასარკვევია, იყო თუ არა რაიმე კანონდარღვევა ბერეზოვსკის საქართველოს საზღვარზე გადმოსვლისას. **მედია-ნიუსი**

„საჭარო სამსახური ყველასათვის“

ლელა მჭედლიძე

გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში ზურაბ ჟვანიამ პროექტის - “საჯარო სამსახური ყველასათვის” - პრეზენტაცია მოაწყო. პროექტის მიხედვით, იქმნება საინფორმაციო ბანკი, რომელშიც ყველა იმ ადამიანის მონაცემები გროვდება, ვისაც, შესაბამის განათლებასთან ერთად, იმის სურვილიც აქვს, რომ საკუთარ ქვეყანას ამა თუ იმ თანამდებობაზე ემსახუროს. როგორც განმარტავენ, მაღალკვალიფიციური და ღირსეული კადრების მოძიებით და შემდგომ მათი დასაქმებით ექსპერტთა სპეციალური ჯგუფი დაკავდება. **“ჩვენ გვინდა დავამტკიცოთ, რომ პოსტის მიღების საშუალება საქართველოში საგარეო, საბაჟო თუ სხვა უწყებებში, სახელმწიფო თუ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში ყველა პატიოსან, წესიერ განათლებულ ადამიანს ეძლევა”**, - ასეთად ხატავდა საქართველოს მომავალს სახელმწიფო მინისტრი გუშინ. საამისოდ კი უკვე მობილიზებულია საჯარო მოხელეთა სამსახური, რომლის წარმომადგენლები გუშინდელ პრეზენტაციაზე შედარებით უფრო კონკრეტული პასუხების გაცემას ცდილობდნენ. როგორც ირკვევა, ამა თუ იმ თანამდებობის დაკავებას მსურველები კონკურსის საფუძველზე შეძლებენ. დასასაქმებელთა მონაცემთა ბაზაში ხალხს გარკვეული კოდი მიეცემა. დაშიფრული იქნება ასევე ტესტები და კომისიის შემადგენლობა, რომელიც ამ ტესტების მიხედვით შეაფასებს ამა თუ იმ თანამდებობის პრეტენდენტს. **“ტესტები არ განმეორდება,”** - უკვე გუშინ აფრთხილებდნენ საინფორმაციო ბანკიდან თანამდებობებზე მოხვედრის მსურველებს. ცნობისათვის, ამ პროექტის მიხედვით უკვე გარკვეული “გადასამზადებლი”, საკვალიფიკაციო კურსების შექმნაც იგეგმება. პროექტის განსახორციელებლად თანხა საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა გაიღონ. ვინ ან რამდენს გაიღებს, ჯერჯერობით არ კონკრეტდება. თუმცა, თუ ჩვენმა უმუშევრებმა "ხილი მართლაც იხილეს", მებაღის ვინაობას მნიშვნელობა ნამდვილად არ ექნება. თუ სად შეიძლება მივიდნენ, მომავალი სამუშაოს იმედით, ჩვენი განათლებული და პატიოსანი უმუშევრები, უახლოეს მომავალში გაირკვევა. ინტერნეტში ვებ საიტისა თუ სხვა კონკრეტული მისამართების გამოქვეყნებას ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები დღე-დღეზე გვპირდებიან.

"გარუსებულ" აფხაზებსა და ოსებს ხმის უფლება ჩამოართვეს

რუსუდან ნიკურაძე
საკ. კორ. მოსკოვში

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალურად უარყო ინფორმაცია საზღვარგარეთული პასპორტების გაცემის დროებით შეჩერებაზე. მოსკოვში ორი დღეა, ხმები დადის, რომ 7 დეკემბრის არჩევნების წინ რუსეთის ხელისუფლება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოქალაქეების ხარჯზე, საკუთარი საარჩევნო ელექტორატის რიცხვობრივად გაზრდის მიზნით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამატებით პასპორტიზაციას ახორციელებს. ხოლო ამ მისიის შესასრულებლად, საპასპორტო მაგიდებმა დროებით შეაჩერეს რუსეთის დანარჩენი მოქალაქეებისათვის საზღვარგარეთული პასპორტების გაცემა და მთლიანად ვითომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ფრონტზე გადაერთვენ.

როგორც რუსეთის პარლამენტში განგვიმარტეს, სინამდვილეში ეს ინფორმაცია მხოლოდ საგაზეთო, პროპაგანდისტული სატყუარაა, რომლის მიზანიც საქართველო-რუსეთის ისედაც დაძაბული ურთიერთობის მორიგი გამწვავებაა. ამის შესახებ "24საათთან" საუბარში განაცხადა რუსმა პარლამენტარმა ალექსეი ვაშჩენკომ. იგი ამბობს, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და პრეზიდენტის ადმინისტრაციამ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში გასაგზავნი ამომრჩეველთა ბიულეტენების რიცხვი შეგნებულად შეამცირეს და ყველაფერი გააკეთეს, ამ რეგიონების მოსახლეობისათვის კონსტიტუციური უფლებები რომ წაერთმიათ. **"შედეგად მივიღეთ ის, რომ რუსეთის საპარლამენტო არჩევნებში ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ აფხაზეთსა და ოსეთში მყოფ რუს სამხედრო მოსამსახურეებსა და მათი ოჯახის წევრებს,"** - სინანულით ამბობს პარლამენტარი.

"სინამდვილეში დაჩქარებულ პასპორტიზაციას არავითარი კავშირი არ აქვს არჩევნებთან. აფხაზეთისათვის განკუთვნილი ბიულეტენები მკვეთრადაა განსაზღვრული, სოხუმში 51 ათასი, ხოლო ცხინვალში 34 ათასი ბიულეტენი უნდა წასულიყო: პუტინის ადმინისტრაციამ, ივანოვის უწყებამ, რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ რატომღაც დაარღვიეს ჩვენი ამომრჩევლის კონსტიტუციური უფლება. მიზეზებს ვსწავლობთ და ევროპულ სასამართლოში ჩივილსაც ვაპირებთ. ახლა უკვე რამდენიმე საჩივარია შემოსული პარლამენტში და სპეციალური კომისია სიტუაციას აუცილებლად გაარკვევს," - აცხადებს ვაშჩენკო.

მოსკოვში ყველამ იცის, რომ რუსეთში საპარლამენტო არჩევნებამდე დარჩენილ რამდენიმე დღეში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პასპორტიზაციის დიდი ხნის წინათ დაწყებული პროცესი ასე უცებ მაინც ვერ დასრულდება. ამიტომ უწოდებენ პასპორტიზაციასთან დაკავშირებულ "სენსაციას" მოსკოვში პროპაგანდისტულ ფანდს, რაც გარკვეული პოლიტიკური წრეების გასაღიზიანებლადაა ჩაფიქრებული.

მოსკოვში, ბუნებრივია, ყველამ იცის, რომ არჩევნების შედეგების ტოტალურ ფალსიფიკაციას ექნება ადგილი და ხმებს კრემლში დაითვლიან.

ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲘ

საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი (სებს), რომელსაც ამჟამად მართავს კონსორციუმი, აცხადებს კონკურსს იურისტის თანამდებობაზე სებს-ის ხელშეკრულების განსახორციელებლად. სებს-ი იწყებს უფროს იურისტებს თანამდებობაზე იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოსაძებნად.

ფუნქციები
ჩვენ ვეძებთ მაქსიმალურად ინიციატიულის და დოკუმენტურ ბაზას, რომელიც იქნება იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი და მოემსახურება ბაზარზე ელექტროენერგიით ვაჭრობის ეფექტიან და საბითუმო ბაზარზე ელექტროენერგიის ვაჭრობის წესებს, საქართველოს კანონს "ელექტროენერგიის და ბუნებრივი გაზის შესახებ" და "სებ-ის წესებს" თანახმად.

ხანგრძლივობა
იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოზიცია:

- ირჩევული სამართალწარმოების ხანგრძლივობა და გაუმჯობესების პროცესის ეფექტიანი, რაც დაკავშირებულია ელექტროენერგიის ყოველდღიურ საქართველოს ელექტროენერგიის ბაზრის ფორმირებასთან და ფუნქციონირებასთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე.
- სამართალწარმოების ანალიზის გაწევის უნარი/ცდილობა ელექტროენერგიის სამართლის პრობლემებზე ორიენტირებული და მჭიდრო ფინანსურ სექტორად გარდაქმნის მიზანი.
- ელექტროენერგიის ყოველდღიურ ყოველ-გვიანობით დაკავშირებული მთელი რიგი სამართლებრივ საკითხებზე იურიდიული დასკვნების მომზადება.

მიზნები
დეპარტამენტის ძირითად მიზნებს წარმოადგენს:

- ელექტროენერგიის ყოველ-გვიანის პროცესის დარეგულირების მიზნით, სამართლებრივი ჩარჩოების სრულყოფაში ეფექტური მონაწილეობის მიღება და შესაბამისი ანალიზის მომზადება არსებულ სამართლებრივ წესებში ცვლილებების შეტანასთან და ახალი წესების შემუშავებასთან დაკავშირებით.
- სამართლებრივი პროცესების წარმოება სამართლებრივ წესების შესაბამისად.
- სამართლებრივი ანალიზის მომზადება ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულებებთან, პირდაპირ კონტრაქტებთან დაკავშირებით და სხვ.
- სამართლებრივი ანალიზის მომზადება საარბიტრაჟო და სადავო საკითხებთან დაკავშირებით.
- ტრენინგებში, საქართველოს ელექტროენერგიის მარეგულირებელ კომისიაში ელექტრობის და საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე შესაბამისი ელექტრონის ხელის მოწერილობის შემუშავება, ეს. ორიენტირებული მარეგულირებელი კომისიის და პრაქტიკის, ელექტრობის ელექტროენერგიის კანონმდებლობის, ელექტროენერგიის კონკურენციის, 96/22EC და სხვა სამართლებრივი დარგის მარეგულირებელი ნორმების შესაბამისობაში მოყვანა.

პირობები
სებს-ი გვპირდება კონკურენტ ანაზღაურებას (არანაკლებ შედა წლის სამუშაო გამოცდილებით) იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელისათვის.

იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოზიცია უნდა იყოს ელექტრობის და ბუნებრივი გაზის სექტორში მომუშავე ადამიანებისათვის ხელმისაწვდომი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ელექტროენერგიის სექტორში მუშაობის გამოცდილებას.

კანდიდატის ზოგადი მოთხოვნები:

- იურისტის სამუშაოსთვის დიპლომი
- სამართლებრივ შესაბამისი მინიმუმ შვიდწლიანი სამუშაო გამოცდილება;
- სამართლის ან ეკონომიკის ნებისმიერი წყარო ქვედის მოქალაქეობა;
- უცხოელი ან ქართველი იურისტი უნდა იყოს საქართველოში რეგისტრირებული და უნდა გააჩნდეს საქართველოს ელექტროენერგიის ცოდნა, ეკონომიკურ განათლებაში და რეგისტრირებული ნებისმიერ ინტეგრაციაში სულ მცირე ორი წლის სამუშაო გამოცდილება;
- კანდიდატს უნდა შეეძლოს ეკიპურად ეფექტიან მუშაობა და შესრულოს დაკისრებული სამუშაო დროის შეზღუდულ მოცულობაში.
- ქართული და რუსული ენების სრულყოფილად ფლობა (სასურველია ინგლისური ენის ცოდნა).
- გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის ნებაყოფლობა.

სამუშაო პირობები

- ხელფასი დამოკიდებული სამუშაო გამოცდილებაზე, ანუ კანდიდატი თანხმდება ანაზღაურების დაკისრებული ელექტროენერგიის ან ახლის პოზიციაზე მათ შესრულებაზე
- მისამართი თბილისი, 0177, ვაჟების ქ. N45

განცხადების მიღების ვადები
დაინტერესებული პირების წერილობითი ფორმით, სრული სამუშაო გამოცდილების აღწერით და სურვილის ხელმოწერით განაცხადი მიღებული უნდა იქნეს 2003 წლის 9 დეკემბრის 18:00 საათზე.

დამატებითი განცხადებისა წერილობითი ფორმით
ბ-ნ ოთარ ნატროშვილის სახელზე,
კორპორაციული საქმისების დირექტორი
ტელ.: 25 35 70 (71)

Legal Department Manager

The Georgian Wholesale Electricity Market Operator (GWEM), currently managed by an international consortium under a Management Contract, seeks a lawyer for work as responsible for the provision of legal expertise to the GWEM Management. GWEM is for this challenging work looking for a senior lawyer to be posted within the GWEM organisation as manager of the Legal Department.

The Role

We are looking for a self-motivated individual with a high degree of integrity and loyalty. He will own the front of the Legal Department, with the main aim of ensuring that electricity trading within the marketplace takes place in accordance with the principles of transparency and equality of the Market Operator as established by the wholesale Market Rules and the Law on Gas and Electricity.

Scope of Work

The activity of the Legal Department will be aimed at:

- Continuing the process of development and improvement of the current legal framework related to electricity trading in close cooperation with the Regulatory Commission (GNERC);
- Providing legal expertise to the transformation of the power sector into a market oriented and sound financial sector;
- Providing expertise in a wide range of legal issues related to the day to day trading in the wholesale electricity marketplace.

Objectives

Specific objectives for this Department is

- Effective contribution to the completion of the legal framework regulating the trading in the wholesale market by providing expertise for the amendment of the existing Market Rules and development of new ones.
- Driving legal proceedings related to compliance with Market Rules
- Provision of legal expertise to Purchase Power Agreements, Direct Contracts, etc.
- Provision of legal expertise to Arbitration and Dispute Resolution
- In the medium/long term, incorporate common directions of interest for EU and Georgia in the Georgian regulations, i.e. the current Georgian regulations and practices vis-a-vis EU Energy legislation, Energy Charter Treaty, Directive 96/22EC and other legal and/or regulatory guidelines.

The Individual

GWEM is looking for a well experienced expert (no less than seven years experience) for the Legal Department, who will work close together with lawyers in the Regulatory Commission.

The Manager of the Legal Department should be an expert with experience from senior level management posts, and from advisory positions. A very important advantage would be experience within the power sector.

General requirements for candidates:

- University degree in law
- A proven track record of minimum seven years of relevant work experience in Georgia.
- Georgian citizenship or EU citizenship of one of the Member States of the.
- Lawyers either foreign or local must be registered in Georgia should include a proven knowledge of Georgian energy related legislation and at least two years experience of transition economics and experience in legal expertise of power industry under restructure.
- Applicants need to be team players that are able to work quickly against very often tight time constraints
- Fluent in written and spoken Georgian and Russian (fluent command of English would be an advantage)
- Experience of working in the CIS/Caucasian countries would be an advantage.

Working conditions

- A competitive salary is offered while the candidate is ready to accept performance targets and consequently performance assessment.
- Job will be located in Tbilisi, 45 Kazbegi Street (former Pavlov St.)

Deadline for applications

Interested candidates for this post must apply in written form before 18:00, 9 December 2003.

Please write in confidence with full career and intended salary to:
Mr. Joseph Natroshvili
Corporate Services Directorate
Kazbegi 45
Tbilisi
Tel.: 253 570 (71)

ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲕᲮᲓᲔᲑᲘ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲨᲣᲥᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

მაია ჭალაგანიძე

თელასს მესამე უცხოელი მენეჯერი ჰყავს - დანგირას მიკალაიუნასი. ჩვენ გვახსოვს მაიკლ სქოულის საგრძნობლად დაძრული წარბები და იგნასიო ირიბარენის არაბუნებრივად გაფართოებული თვალები. ეს ახალი მენეჯერი იმ ქვეყანასავით თავდაჯერებული და მტკიცე ჩანს, რომლის კომპანიასაც წარმოადგენს.
თავად კი წარმოშობით ლიტველია, იქ დაიბადა, გაიზარდა და ენერგეტიკაც იქვე ისწავლა. ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი. აქვს დასრულებული, მაგრამ დაუცველი დისერტაცია და მყარი შეხედულება საქართველოს ენერგოსისტემაზე - დანგრეული.
უკვირს, რატომ საუბრობენ ასე ხმამაღლა ქართველები და რატომ არ ესმით, რომ ელექტროენერგია არ უნდა მოიპარო... დანარჩენი - ქვემოთ.

- ბალტიისპირეთის ქვეყნები და საქართველო ყოველთვის პარალელურად იბრძოდნენ თავისუფლებისთვის. ახლა თქვენს სამშობლოში არეულობაა. მოსალოდნელია მსგავსი ფინალი?

- მთელი თვეა, იქ არ ვყოფილვარ და როგორც ვიცი, იქ სულ სხვა სიტუაციაა. არა მგონია, ლიტვაშიც ასე დამთავრდეს ელექტროენერგიის ფერი. იქ საპარლამენტო არჩევნებია და ბრძოლა პარლამენტში მოხვედრაზეა და არა ხელისუფლებაში მოსვლაზე.

- "ვარდების რევოლუცია" მოგეწონათ?

- რატომ უწოდებთ რევოლუციას? ეს იყო რევოლუციის მსგავსი. მიხარია, რომ ყველაფერმა მსხვერპლის გარეშე ჩაიარა. ხალხმა გადაწყვიტა, ხალხმა გააკეთა, ხალხია ბატონ-პატრონი. პოლიტიკოსებს უფრო კომენტირების, განხილვისა და შეფასებების უფლება აქვთ. ხალხმა კი საკუთარი გზა თავად აირჩია...

- საქართველოში რაო-ეეს-ის შემოსვლა ენერგეტიკულ ექსპანსიად იქცა აღქმული. თქვენ რას იტყვით? საქართველო-რუსეთის მუდმივად გართულებული ურთიერთობების ფონზე გახდება თუ არა თქვენი კომპანია პოლიტიკური ზეწოლის ობიექტი?

- რა თქმა უნდა, პოლიტიკური ვითარება ბიზნესზეც ახდენს გავლენას. აქ ჩამოსულამდე თვალს ვადევნებდი პრესას. ვკითხულობდი რაო-ეეს-ის საქართველოში შემოსვლასთან დაკავშირებულ შეფასებებს და პროგნოზებს. მინდა დაგარწმუნოთ, რომ ჩვენი შემოსვლა ტექნიკურია და წმინდა ბიზნეს-ინტერესებით არის განპირობებული. ვერანაირ პოლიტიკურ ამბიციებს ვერ ვხედავ. ისე აშუქებდნენ ამ მოვლენას, რომ ესეც პოლიტიკური თამაში იყო. ზოგიერთ პოლიტიკოსს მსგავსი გამონათქვამები ხელს აძლევს და ქულების ჩასაწერად ესაჭიროება. ჩვენი აქ ყოფნის მანძილზე ვიჩვენეთ, რომ ბიზნესის საკეთებლად და სამუშაოდ ჩამოვედით. გვინდა, კომპანია მომგებიანი გახდეს - სხვა ზრახვები არ გვამოძრავებს.

- გვარწმუნებთ, რომ აქამდე რაო-ეეს-ზე კრემლის მხრიდან პოლიტიკური ზეწოლა არ ყოფილა და არც იქნება?

- რუსეთის მხრიდან თელასისადმი აქამდე მხოლოდ დახმარება იყო. ეს ეჭვები, ალბათ, იმის ბრალია, რომ პრესით ნაკლებად შუქდება. როგორც მენეჯერს, მიმაჩნია, რომ ყველაფრისთვის გადახდაა საჭირო და უანგარო დახმარების მომხრე არ ვარ, მაგრამ საქართველოსა და რუსეთს შორის ენერგეტიკულ სექტორში არსებული ურთიერთობები აქამდე მხოლოდ რუსეთისთვის იყო წამგებიანი.

- რა მოლოდინი გქონდათ, როგორ განვითარდებოდა თქვენი ბიზნესი აქ, საქართველოში?

- ბიზნესი მომგებიანი უნდა იყოს, მაგრამ ეს მალე არ მოხდება. სიტუაცია მძიმეა. დღეს ძალიან ბევრი ფულის ხარჯვა გვიხდება. პირველ რიგში, ყველაფერს აღდგენა ესაჭიროება. ჩვენი გეგმა-მინიმუმით, 2 თვეში უნდა მოგვეხერხებინა, რომ ხალხს ზამთარი გადაეტანა. ახლა უკვე მომავალი წელს ვგეგმავთ. "ხრამი", "მტკვარი" - წმინდად ტექნიკური ინვესტიციები იყო. ეს ყველაფერი გადახდაზეა დამოკიდებული.

როდესაც ეი-ი-ეს თელასის ფინანსურ მაჩვენებლებში, კერძოდ კი გადასახადების აკრეფის მაჩვენებლებში გავერკვიეთ, ჩვენდა სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ რეალური ამოღება 51 პროცენტამდე იყო. თუმცა, როდესაც დოკუმენტაციას გვაცნობდნენ, ამერიკელები სულ ამტკიცებდნენ, რომ ამოღება 75-80 პროცენტია.

- ამერიკელებსა და ტყუილთან დაკავშირებით – რაო-ეეს-ის ვებგვერდზე გაჩნდა ინფორმაცია, რომ ეი-ი-ეს-მა თელასისთვის 23 მილიონი დოლარი მიიღო. როგორც ამბობდნენ, ამ ბიზნესში მათ 300 მილიონიანი ინვესტიცია ჩადეს. რამდენად რეალურია ეს ციფრი?

- დიახ, ეს ინფორმაცია რაო-ეეს-ის საიტზე იყო, მაგრამ ფინანსური დოკუმენტაცია არ მინახავს და არ ვიცი, მართლაც ასე იყო თუ არა. ისე კი, მიმაჩნია, რომ თუ მართლა 23 მილიონია გადახდილი, რაოეეს-მა ძალიან გადააჭარბა.

- როგორი ზამთარი გვექნება?

- რა თქმა უნდა, ცივი...

- საერთოდ, რუსეთისგან განსხვავებით საქართველოში სუსხიანი ზამთარი არ იცის.

- ჩვენ იმიტომ მოვედით, რომ იყოს სინათლე. სექტემბერში ჩამოვედით, აგერ დეკემბერია და შუქიც არის, სიხშირეც ნორმალურია. ვფიქრობ, რომ ასეც გაგრძელდება. არაერთხელ განმიცხადებია და ახლაც ვიმეორებ - ჩვენი მხრიდან შუქი გარანტირებულია. ერთადერთი ხელისშემშლელი ფაქტორი ტექნიკური ავარია იქნება. კიდევ ერთი ვარიანტიც არის - თუ ხალხი გადახდას შეწყვეტს, უმკაცრეს ზომებს მივიღებთ და დენის მუდმივობაზე პასუხს აღარ ვაგებთ.

- თბილისში გახდება თუ არა საჭირო გრაფიკი?

- ჩვენ მოსვლასთან ერთად გრაფიკი გაქრა და არც იქნება. შეზღუდვა მხოლოდ კონკრეტულ უბანზე კონკრეტული ავარიის გამო ხდება. არავითარი გრაფიკი, მხოლოდ 24 საათიანი შუქი.

- ეი-ი-ეს-ის დროს მუდმივად იყო დავა მომხმარებელთან ხელშეკრულებაზე. ახალ ხელმძღვანელობასთანაც დადგება თუ არა ეს საკითხი დღის წესრიგში?

- ამას ხშირად გვეკითხებიან. თუკი ენერგეტიკული სისტემა ასპროცენტიანი უზრუნველყოფის გარანტიას მოგვცემს - მომხმარებელთან ხელშეკრულების დადება შეგვეძლება. დღეს კი საქართველოს ენერგეტიკულ სისტემას არა მხოლოდ არ შეუძლია ნორმალური მოწოდება, არამედ - ნორმალური სიხშირის გარანტიასაც ვერ გვაძლევს. ვერ გვაძლევს ჩვენს მიერ ნაყიდი ენერგიის მოწოდების გარანტიასაც... დღეს ჩვენ მხოლოდ ის გაგვაჩნია, რასაც სისტემა გვაძლევს. თუ სისტემა ხვალ აიღებს თავზე ვალდებულებებს და მათ შორის, ფინანსურსაც - ხელშეკრულების დასადებად ხვალვე ვიქნებით მზად.

- თქვენი კომპანია ტარიფის ცვლილებების გარეშე დატოვებას ჰპირდებოდა მოსახლეობას. რა ვითარებაა ახლა?

- სიტუაცია ასეთია - როცა ჩამოვედით, ჩვენთვის მოულოდნელად აღმოვაჩინეთ, რომ თელასს ახალი, საფეხურობრივი ტარიფის თაობაზე მიღება გადაწყვეტილება. ამერიკულმა მხარემ ამის შესახებ არაფერი გვითხრა. ეს იმ დროს აღმოვაჩინეთ, როდესაც კომპანიის არც ფინანსურ და არც ტექნიკურ ვითარებას არ ვიცნობდით. ვითხოვეთ, რომ ახალი ტარიფი პირველ დეკემბრამდე არ შესულიყო ძალაში - ეს დრო სისტემის მოწესრიგებისთვის გვჭირდებოდა.

როდესაც ტექნიკური მხარე მოვაგვარეთ და ეკონომიკურ ნაწილზე გადავედით, აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენს წინამორბედებს 2002 წლის სატარიფო გადაანგარიშებაც არ გაეკეთებინათ. მოგებსინებათ, ახლა 2003 წელი იწურება. ფინანსურმა გაანგარიშებებმა აჩვენა, რომ იმ ტარიფში ჩარევა, რომლის საფეხურობრივად შეცვლასაც მარეგულირებელი კომისია აპირებდა, არარეალური იქნებოდა. ჩვენ ვითხოვეთ ძველი ტარიფის პირველ აპრილამდე დატოვება.

გარდა ამ ტექნიკური მხარეებისა, საერთო მდგომარეობაც გავითვალისწინეთ. ჩვენ გვესმის, რომ ზამთრის პერიოდში ტარიფის გაძვირება - როდესაც ხალხს უჭირს და მოხმარებაც იზრდება, როდესაც მოსახლეობის გარკვეულ ფენას გადახდის უნარი არ აქვს - არ შეიძლებოდა. ზამთრის მშვიდად გადატანისთვის გარკვეულ წაგებაზეც წავედით. ახლა გადავხედავთ რეალურ ციფრებს და იმის მიხედვით მივიღებთ გადაწყვეტილებას. პირველ აპრილამდე კი ძველი ტარიფი იქნება ძალაში.

- სანამ ახალი მთავრობა ოპოზიციაში იყო, ამბობდნენ, რომ ძველი მთავრობის მიერ სტრატეგიულ დარგებში დადებულ ყველა ხელშეკრულებას გადახედავდნენ. თუ გქონიათ საუბარი ამ თემაზე ახალ ხელისუფლებასთან? თქვენი წინამორბედები მუდმივად ოპონირებდნენ საქართველოს მთავრობასთან.

- ცოტა დრო კი გავიდა, მაგრამ შევხვდი ქალბატონ ბურჯანაძეს, ბატონ ჟვანიას. ვფიქრობ, რომ ჩვენ მშვენივრად გავუგეთ ერთმანეთს, რადგან ერთი მიზანი გვაქვს - მომხმარებლებმა გადაიხადონ, შუქი იყოს. უთანხმოების არანაირი საფუძველი არ გვაქვს, ერთ ენაზე ვსაუბრობთ. დიდი ხნის წინ სადღაც წავიკითხე - რა საჭიროა რევოლუცია და ომები?! საკმარისია ენერგეტიკის დანგრევა და სახელმწიფოც დაინგრევა. ჩვენ კი ვაშენებთ და არ ვანგრევთ.

რაც შეეხება თქვენს კითხვას - თუ ვინმეს ხელშეკრულების გადახედვის სურვილი აქვს, კი ბატონო, გადახედოს. ყველაფერი ლეგალურად, იურიდიულ დასკვნებზე დაყრდნობით არის გაკეთებული. ამ ხელშეკრულებაზე ძლიერი იურისტები მუშაობდნენ.

- ჯერ ხომ არ შეხებიხართ ეგრეთწოდებულ ქართულ ენერგომაფიას?

- ამ ქართული ვარიანტის შესახებ ბევრი მსმენია, მაგრამ... ან ჩემი ეშინიათ, ან რაღაც სხვა ხდება...

- რატომ უნდა ეშინოდეთ თქვენი?

- მაინც მრისხანე ვარ... თუ ვინმე რამეს დააპირებს, ჯობს, არ შემეხონ...

- საქმის კურსში ხომ არ ხართ, რატომ მალავდა ბოლო დრომდე რაო-ეეს-თან წარმოებული მოლაპარაკებების დეტალებს ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი?

- არ ვიცი, რას ფიქრობდა. იქნებ, მას ჰკითხოთ...

- როგორც ხედავთ, თბილისში დივერსიები მომრავლდა. ენერგეტიკა როგორ არის დაცული?

- ჯერჯერობით, ენერგეტიკული დივერსიების შესახებ არაფერი მსმენია. ჩემი აზრით, ენერგეტიკულ სექტორში ამის გაკეთება ყველაზე დიდი სისულელეა. თავად ამ ხალხსაც ხომ ჰყავს ოჯახები, ბავშვები, რატომ გაიმწარებენ სიცოცხლეს?

- როგორ არის ჩვენი მუდმივი პრობლემა - მეცხრე ბლოკი?

- ნორმალურად. თუ არ გაარემონტე, მუდმივად გაფუჭდება. ჩემი აზრით, ჩვენი წინამორბედები არც ბლოკის და არც არაფრის ტექნიკურ მხარეს არ აქცევდნენ ყურადღებას. წარმოუდგენლად მიშვებული დაგვხვდა ყველაფერი.

- ეი-ი-ეს-ი მუდმივად 300 მილიონ დოლარამდე ჩადებულ ინვესტიციას ახსენებდა, სად წავიდა ეს ფული?

- ინვესტიცია, შეიძლება მართლა ჩადო და უბრალოდ - ჩადო. თუ ინვესტიციას თვეში ხუთჯერ ახორციელებ, იქნებ ჯობდეს, ერთხელ გააკეთო და კარგად? მეცხრე ბლოკი მიშვებული იყო. ახლაც არის რაღაც ხარვეზები, მაგრამ ამის მიუხედავად, ორ თვეში დიდი ფული დავხარჯეთ და ბლოკი მუშაობს. ახლა ის 250 მეგავატის სიმძლავრით მუშაობს, რაც თბილისს არასდროს ჰქონია. მომავალ წელს უფრო გეგმიურად გავაკეთებთ ყველაფერს. ზაფხულისთვის მეათე ბლოკის აღდგენით სამუშაოების ჩატარებასაც ვაპირებთ.

- ალბათ, უკვე შეგექმნათ გარკვეული აზრი იმის შესახებ, თუ რა მოგყიდათ ეი-ი-ეს-მა?

- გულახდილად გეტყვით. თვენახევრის მანძილზე პირადად დავდიოდი და ვამოწმებდი ობიექტებს, ვსწავლობდი სტრუქტურას. შეფასება ასეთია - შემდეგ კლასში არ გადავიყვანდი.

- მარეგულირებელ კომისიასთან, ენერგეტიკის სამინისტროსთან, საბითუმო ბაზართან ურთიერთობები აგეწყოთ?

- ბაზართან ძალზე გართულებული ურთიერთობები დაგვხვდა. 69 მილიონი დოლარი ვალი, შეზღუდვები - მოკლედ, ტრაგიკული ვითარება დაგვხვდა. ამ თვენახევარში მოვაგვარეთ ყველა პრობლემა. რაზეც ხელი იყო მოსაწერი, მოვაწერეთ. ახლა უკვე იქით აქვთ ჩვენი ვალი. თელასს არავითარი შეზღუდვები არ აქვს, ჩვენ 24 საათიანი ელექტროენერგია გვერგება.

ენერგეტიკული სურათი საქართველოში ძალიან მძიმეა, არ გვყოფნის გენერაცია, ყველაფერი განადგურებულია. რვა ბლოკი, ფაქტობრივად, გაქურდულია, გატეხელია და საერთოდ არ ვიცი, ვინ შეძლებს მათთვის სიცოცხლის დაბრუნებას. საბითუმო ბაზრის შესახებ კი ვიტყოდი, რომ საქართველოს ენერგეტიკაში ეს ერთადერთი სტრუქტურაა, რომელიც მუშაობს. რაც შეეხება მარეგულირებელ კომისიას - ურთიერთობები ძალზე გართულებული გვაქვს.

- ყველა ქვეყანაში და აქაც, მარეგულირებელი კომისიები დამოუკიდებელ სტრუქტურად მოიაზრება. თუმცა, წინა ხელისუფლების დროს ეს სტრუქტურა მთავრობის გავლენის ქვეშ ხშირად ექცეოდა.

- ჩემს აზრს დავადასტურებ და ვიტყვი, რომ ეი-ი-ეს-ი სასათბურე პირობებში მუშაობდა - არ იხდიდა გადასახადებს, არაფერს აკეთებდა ბაზართან ურთიერთობების დასარეგულირებლად და როგორც მივხვდი, ყველა საკითხი ბატონი მაილსის საშუალებით წყდებოდა. მოკლედ, ისინი ძალიან კარგად ცხოვრობდნენ.

როცა შემოვედით, გადაუხდელი გადასახადების მთელი დასტა აღმოვაჩინეთ - 12 მილიონი ლარი ძველი საგადასახადო დავალიანება გადავიხადეთ. ახლა ჩვენ ერთადერთი ენერგეტიკული კომპანია ვართ, ვინც ასი პროცენტით იხდის გადასახადებს. ერთადეთი ვართ, ვისაც საბითუმო ბაზართან არანაირი დავალიანება არ გააჩნია.

- ეს თანხები ხომ ტარიფში უნდა აისახოს?

- ეს ძველი ვალებია და უკვე დევს ტარიფში. როგორი იქნება 2002 და 2003 წლის შედეგები - ჩვენ არ ვიცით.

- როგორც ვიცი, მენეჯერად სამი წლით ხართ დანიშნული. ენერგეტიკისთვის ბევრია თუ ცოტა?

- ძალიან ბევრია. ვფიქრობ, უფრო სწრაფად წავალ აქედან.

- რა დიაგნოზს დაუსვამთ საქართველოს ენერგეტიკის მდგომარეობას?

- არ ვიტყვი, რომ სასიკვდილოა, მაგრამ მძიმე მდგომარეობაა. განკურნება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ ყველა ერთად იმუშავებს. სადისტრიბუციო კომპანია დაახლოებით ისე მუშაობს, როგორც ეი-ი-ეს-ი - 68 მილიონი საგადასახადო დავალიანება, 200 მილიონი საბითუმო ბაზრის ვალი აქვთ და არაფერს იხდიან. აი, სად დევს 68 მილიონი საქართველოს ბიუჯეტისთვის, რომლის შესახებაც პოლიტიკოსები წუწუნებენ.

- წინა ხელისუფლებამ მეგობარი ქვეყნებისგან საქართველოს ენერგოსისტემის მოსაწესრიგებლად ნახევარ მილიარდ დოლარამდე დახმარება მიიღო. სადმე იგრძენით ეს ფული?

- ჩვენი წინამორბედები ფულით ცხოვრობდნენ. საიდან იყო ამოღების ასეთი პროცენტი? ის იფარებოდა ბიუჯეტიდან, USID-დან. მოკლედ, ცხოვრება აიწყვეს. როცა იცი, რომ ყოველ თვე ნახევარში მილიონ დოლარს და პლუს ბიუჯეტიდან ერთახევარ მილიონ ლარს მიიღებ, გადასახადების ამოღებით რატომ შეიწუხებ თავს?

უბრალოდ, კომპანიაში მუშაობდნენ ადამიანები, რომელთაც ფულის მხოლოდ ხარჯვა იცოდნენ, კომპანიის მართვა კი - არა. ხარჯვასაც ხომ ჭკუა უნდა.

თუმცა, რაღაც, ალბათ, გააკეთეს - ბილინგ სისტემა, მრიცხველები დადგეს. მაგრამ, ასეთი პროექტი ევროპაშია კარგი და არა საქართველოში, სადაც ელექტროენერგიას ყველა იპარავს.

- თუ გაქვთ მექნიზმი, რითიც ვითარებას შეცვლით?

- მრიცხველები დაუცველია, ტყდება. სარეზერვო ფული არ გვაქვს, ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ სასიკვდილოა, მაგრამ მძიმე მდგომარეობაა. განკურნება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ ყველა ერთად იმუშავებს. სადისტრიბუციო კომპანია დაახლოებით ისე მუშაობს, როგორც ეი-ი-ეს-ი - 68 მილიონი საგადასახადო დავალიანება, 200 მილიონი საბითუმო ბაზრის ვალი აქვთ და არაფერს იხდიან. აი, სად დევს 68 მილიონი საქართველოს ბიუჯეტისთვის, რომლის შესახებაც პოლიტიკოსები წუწუნებენ.

- წინა ხელისუფლებამ მეგობარი ქვეყნებისგან საქართველოს ენერგოსისტემის მოსაწესრიგებლად ნახევარ მილიარდ დოლარამდე დახმარება მიიღო. სადმე იგრძენით ეს ფული?

- ჩვენი წინამორბედები ფულით ცხოვრობდნენ. საიდან იყო ამოღების ასეთი პროცენტი? ის იფარებოდა ბიუჯეტიდან, USID-დან. მოკლედ, ცხოვრება აიწყვეს. როცა იცი, რომ ყოველ თვე ნახევარში მილიონ დოლარს და პლუს ბიუჯეტიდან ერთახევარ მილიონ ლარს მიიღებ, გადასახადების ამოღებით რატომ შეიწუხებ თავს?

უბრალოდ, კომპანიაში მუშაობდნენ ადამიანები, რომელთაც ფულის მხოლოდ ხარჯვა იცოდნენ, კომპანიის მართვა კი - არა. ხარჯვასაც ხომ ჭკუა უნდა.

თუმცა, რაღაც, ალბათ, გააკეთეს - ბილინგ სისტემა, მრიცხველები დადგეს. მაგრამ, ასეთი პროექტი ევროპაშია კარგი და არა საქართველოში, სადაც ელექტროენერგიას ყველა იპარავს.

- თუ გაქვთ მექნიზმი, რითიც ვითარებას შეცვლით?

- მრიცხველები დაუცველია, ტყდება. სარეზერვო ფული არ გვაქვს, ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ სასიკვდილოა, მაგრამ მძიმე მდგომარეობაა. განკურნება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ ყველა ერთად იმუშავებს. სადისტრიბუციო კომპანია დაახლოებით ისე მუშაობს, როგორც ეი-ი-ეს-ი - 68 მილიონი საგადასახადო დავალიანება, 200 მილიონი საბითუმო ბაზრის ვალი აქვთ და არაფერს იხდიან. აი, სად დევს 68 მილიონი საქართველოს ბიუჯეტისთვის, რომლის შესახებაც პოლიტიკოსები წუწუნებენ.

- ბრძანეთ, სქოული და ირიბარენი იმიტომ იყვნენ პოპულარულები, ქალაქში შუქი რომ არ იყოო. თქვენც გახდებით პოპულარული?

- არა, არ გავხდები, რადგან შუქი იქნება. მაგრამ, თუკი პოპულარული გავხდები იმიტომ, რომ შუქი არის, ძალიან მოხარული ვიქნები.

მინდა დაგარწმუნოთ, რომ ჩვენი შემოსვლა ტექნიკურია და წმინდა ბიზნეს-ინტერესებით არის განპირობებული.

თუ თელასში მართლა 23 მილიონია გადახდილი, რაო-ეეს-მა ძალიან გადააჭარბა.

საკმარისია ენერგეტიკის დანგრევა და სახელმწიფოც დაინგრევა. ჩვენ კი - ვაშენებთ, არ ვანგრევთ.

დანგირას მიკალაიუნასი.

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 რევიუ B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

ყველაფერი ახალი ახლახან დავიწყებული ძველია

ანუ კულტურის მინისტრი გვყავს და თან არ გვყავს

უმინისტრო კულტურის სამინისტროში გუშინ ტრადიციული ბრიფინგი გაიმართა. სამინისტრო მუშაობას განაგრძობს. ინფორმაციისა და კომუნიკაციის დეპარტამენტის დირექტორი გია ქავთარაძე ჟურნალისტებს სამინისტროში მიმდინარე სამუშაო პროცესების შესახებ ესაუბრა. თუმცა, მედიასთან მისი შეხვედრის მთავარი მიზეზი ხელისუფლებისადმი მიწერილი წერილი იყო, რომლის ასლი ორი დღის წინათ კულტურის სამინისტროშიც გაიგზავნა.

ნანა ბასილაშვილი

"ჩვენთან გუშინ, 3 დეკემბერს შემოვიდა წერილი, რომელიც დღეს გადმოსცეს ინფორმაციისა და კომუნიკაციის დეპარტამენტს, რათა იგი მასმედიის წარმომადგენლებისათვის გაგვეცნო. როგორც წერილის დანართიდან ჩანს, იგი გაეგზავნა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს ნინო ბურჯანაძეს, სახელმწიფო მინისტრს ზურაბ ჟვანის და საკრებულოს თავმჯდომარეს მიშა საკაშვილს", - თქვა დეპარტამენტის ხემძღვანელმა გია ქავთარაძემ. წერილში ნათქვამია, რომ კულტურის სფეროში მოღვაწე საზოგადოების ნაწილი ითხოვს, თანამდებობას დაუბრუნდეს კულტურის ყოფილი მინისტრი სესილი გოგიბერიძე.

"მოგმართავთ ერთი დელიკატური, იმავდროულად, ჩვენთვის აქტუალური და ქართული კულტურის მომავლისთვის მნიშვნელოვანი საკითხის გამო, და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენ აზრსა და გულისთქმას გაიზიარებთ, მით უფრო, რომ ჩვენთვის ცნობილია პირადად თქვენი დამოკიდებულება და განწყობა...", - ასე იწყება პოლიტიკური ლიდერებისადმი მიმართული წერილი, რომელსაც ხელს აწერს კულტურაში მოღვაწე 41 ადამიანი. წერილში მოკლე ჩამონათვალია იმ საქმიანობის, მიღწევებისა და პროექტების შესახებ, რაც სამინისტროში სესილი გოგიბერიძის მინისტრობის პერიოდში განხორციელდა; ხაზგასმულია გოგიბერიძის პიროვნული ღირსებები, მისი ავტორიტეტი, ერთგულება, საორგანიზაციო ნიჭი და ა.შ.

ხელოვანთა მოთხოვნას, უფლებების შესაბამისად, კულტურის სამინისტროს აპარატის წარმომადგენლებიც უერთდებიან. "ჩვენ არ ვემსახურებით კონკრეტულ პიროვნებებს, ჩვენ ვემსახურებით სახელმწიფოს. როგორც უმაღლესი ხელისუფლება გადაწყვეტს, ყველაფერი ისე უნდა განვითარდეს. ბოლო, რაც შეეხება პიროვნულ დამოკიდებულებებს, ჩვენ, რასაკვირველია, ვუერთდებით წერილის ავტორების სურვილს", - აღნიშნა გია ქავთარაძემ.

გუშინდელ ბრიფინგზე ერთი საინტერესო დეტალიც გაცხადდა - კულტურის სამინისტრო დღეს იურიდიული კაზუსის წინაშე დგას. როგორც ცნობილი გახდა, სესილი გოგიბერიძის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ოფიციალური ბრძანება არ არსებობს. ყოფილი პრეზიდენტისა და მინისტრის საუბარი, ამ უკანასკნელის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ, მხოლოდ საუბრად დარჩა, განცხადებას მაშინდელი პრეზიდენტის უარყოფითი რეზოლუცია ადევს. ასე რომ, როგორც გია ქავთარაძემ განგვიმარტა, გამოდის, რომ მინისტრი გვყავს და თან არ გვყავს.

თავად სესილი გოგიბერიძე ამჟამად ინგლისში იმყოფება. სამინისტროს თანამშრომელთა ცნობით, იგი 1 დეკემბერს საზღვარგარეთ სამკურნალოდ გაემგზავრა. კულტურის მოღვაწეთა წერილის შესახებ მან ჯერ არაფერი იცის.

საინტერესოა, მიაღწევენ თუ არა წერილის ავტორები მიზანს და დაუბრუნდება თუ არა სესილი გოგიბერიძე თანამდებობს. სამინისტროს თანამშრომლების ვარაუდით, თუკი მინისტრის პასუხისმგებლობის დიდ უნარს გავითვალისწინებით, ეს სავსებით მოსალოდნელია.

როგორც აღვნიშნე, გია ქავთარაძემ ჟურნალისტებთან სამინისტროს სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა. მუშაობა მიმდინარეობს 2003 წლის ბიუჯეტის კანონის თანახმად, რაც პედაგოგებისათვის ხელფასის მომატებას ითვალისწინებს. ივნისში დაწყებული სახელოვნებო სასწავლებლის პედაგოგთა ატესტაცია დაიწყო. პირველი ეტაპი დასრულებულია და ატესტაცია უკვე 5911 პედაგოგმა გაიარა, რომელთაც მათი კვალიფიკაციების მიხედვით, სხვადასხვა კატეგორია მიენიჭათ. სამინისტროში შექმნილი მუდმივმოქმედი კომისიები ამ მიმართულებით მუშაობას აგრძელებენ და ატესტაციის მეორე ეტაპისათვის ემზადებიან.

2003 წლის ოქტომბერში ჰამბურგში გამოვიდა კომპაქტ-დისკი "კამერული მუსიკის კონტრასტები". დისკში შესულია კომპოზიტორ ირაკლი ცინცაძის - ოთხი, გერმანელი კომპოზიტორის ჰანს ბილერის – სამი და პორტუგალიელი კომპოზიტორის მაქს ჰავკინსის ერთი ნაწარმოები. ჟურნალისტებს ამის შესახებ თავად ირაკლი ცინცაძემ უამბო. "სავალდებულოდ მიმაჩნია, რომ გამყარდეს ხიდი კომპოზიტორთა კავშირსა და დასავლეთის საგამომცემლო ფირმებს შორის, რაც ამ ეტაპზე შეჩერებულია. მუსიკალურ ბაზარზე გასვლა კი პირადად მე ძალზედ მნიშვნელოვნად მიმაჩნია, არა მარტო ჩემთვის, არამედ ჩემი კოლეგებისთვისაც".

მინისტრის მოლოდინში კულტურის სამინისტრო ჩვეული რეჟიმით განაგრძობს მუშაობას.

ნიკა მემანიშვილი მოსკოვში წავიდა

მაკა ასათიანი და ნიკა მემანიშვილი.

დღეს დილით ნიკა მემანიშვილი მოსკოვში გაემგზავრა. 7 დეკემბერს ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორი უდირიჟორებს "მუსიკის სახლში" ლალო შიფრინის კონცერტს. თბილისური კონცერტისგან განსხვავებით, ცნობილი ამერიკელი კომპოზიტორი საკუთარ ნაწარმოებებს ფორტეპიანოზე შეასრულებს, დირიჟორობას კი ახალგაზრდა ქართველ კოლეგას მიანდობს. როგორც თავად ნიკა მემანიშვილმა გვითხრა, ეს შეთავაზება მან ვენაში ყოფნისას მიიღო მოსკოვური კონცერტის ორგანიზატორებისგან. **24 საათი**

რეზო ამაშუკელი თანამდებობიდან გადადგა

კულტურის მინისტრის სესილი გოგიბერიძის განცხადებას, გადადგომის თაობაზე, სულ ცოტა ხანში მისი ერთ-ერთი მოადგილის რეზო ამაშუკელის განცხადებაც მოჰყვა. რეზო ამაშუკელმა თანამდებობის დატოვება პირადი განცხადების საფუძველზე ითხოვა.

რეზო ამაშუკელი კულტურის სამინისტროში საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა. მისი შესაძლო შემცვლელის შესახებ ჯერჯერობით არაფერია ცნობილი. **მედია-ნიუსი**

ზამთარი 2004 სკანდინავიურად

ქართული მოდის პერსპექტივები "აჭარა მიუზიკ ჰოლში"

ვერა ნეფარიძე

სკანდინავიურ მითოლოგიაში გვანცა ჯანაშიას შემოქმედებითი ძიებებით წუხელ "აჭარა მიუზიკ ჰოლში" მისული საზოგადოება კმაყოფილი დარჩა. თამამად შეიძლება ითქვას, გვანცა ჯანაშიას, თათა ვარდანაშვილის, თინა მენაბდის, ნიკა მემანიშვილის (და მის მიერ შეკრებილი სახელდახელო მუსიკალური ჯგუფის), სამოდელო სააგენტოების - "იმიჯ-ცენტრისა" და "ნატალის" თანამშრომლობამ სასურველი შედეგი გამოიღო. სწორედ ამ შემოქმედებითი ტანდემის დამსახურებით წუხანდელმა ღონისძიებამ შოუს ძირითადი კონცეფცია გაამართლა.

ჩვენთვის ცოტა უცნაური, "იგდრასილად" წოდებული ზამთრის კოლექციის ჩვენებამ "აჭარა მიუზიკ ჰოლში" წარმატებით ჩაიარა. სკანდინავიურ მითოლოგიაში ცენტრალური სიმბოლო, "იგდრასილი" წუხანდელი ჩვენების დროს ქართულ მოდაში განსაკუთრებულად გაცოცხლდა. ყოველ შემთხვევაში, ჩანაფიქრმა, რომელიც კოლექციის ავტორს, ახალგაზრდა დიზაინერს 50 ყოველდღიური კოსტიუმისა და ათი საქორწილო კაბის შექმნისას ჰქონდა, გაამართლა. იმის მიუხედავად, რომ აუდიტორია კმაყოფილი ჩანდა ცოცხალი მუსიკით, რეჟისურით, მოდელებით და ფეხსაცმლის კოლექციითაც, მათი აღფრთოვანების მთავარი მიზეზი მაინც საღამოს ცენტრალური ფიგურა, კოლექციის ავტორი გვანცა ჯანაშია იყო. ახალგაზრდა დიზაინერმა, რომელსაც საკმაოდ ხანგრძლივი შემოქმედებითი პაუზა ჰქონდა და ბევრისთვის მისი სახელი უბრალოდ, უცხო და ახალი იყო, ქართული მოდის გულშემატკივრებისთვის სასიამოვნო აღმოჩენა გახდა. მათ კი, ვისაც ათი წლის წინათ ახალგაზრდა დიზაინერის "შერატონ-მეტეხი პალასში" გამართული (დიზაინერ ირინა თევზაძესთან ერთად) კოლექციის ჩვენება ბუნდოვნად ახსოვდა, დაარწმუნა, რომ ერთ დროს პერსპექტიული გვანცა ჯანაშია მოდის სამყაროდან არსად არ გადაბარგებულა.

"აჭარა მიუზიკ ჰოლის" წუხანდელ ღონისძიებაზე, ისევე, როგორც თბილისში გამართულ ყველა ჩვენებაზე, საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი აუდიტორია შეიკრიბა. და ისევე, როგორც ყველა მათგანზე, თვალშისაცემი რაოდენობით იყვნენ ადგილობრივი შოუ-ბიზნესის გმირები; განსაკუთრებით – მუსიკალური სცენიდან. საწინააღმდეგო ნამდვილად არაფერი მაქვს, უბრალოდ, ასეთი ენთუზიაზმით რომ ჩვენთან კანტიკუნტად გამართულ საინტერესო კონცერტებზე (ალბათ, მიხვდით, ადგილობრივი მუსიკოსების საღამოებს ნაკლებად ვგულისხმობ) იარონ, მათი შემოქმედებაც დაიმსახურებს იმდენ გულწრფელ აპლოდისმენტს, როგორც გუშინ გვანცა ჯანაშიამ.

გუშინდელი ხალხმრავლობის პირობებში ძალიან სწორ გადაწყვეტილებად მივიჩნიე ე.წ. არატრადიციული პოდიუმი (სანახაობის რეჟისურაზე თინა მენაბდემ იზრუნა). წამყვანი თბილისური სამოდელო სააგენტოების – "ნატალისა" და "იმიჯ-ცენტრის" გოგონები მთელ დარბაზში მოძრაობდნენ და მონდომებით ცდილობდნენ, ნებისმიერ სტუმარს არ გამოპარვოდა კოლექციის თუნდაც უმნიშვნელო დეტალი. მაყურებლის სრულიად სამართლიანი აპლოდისმენტები მოდელებმა დაიმსახურეს. რადგანაც "ნატალის" ავტორიტეტში ჩვენთან ეჭვი უკვე აღარავის ეპარება, ამ მხრივ განსაკუთრებული იყო შედარებით "ახალგაზრდა" "იმიჯ-ცენტრელების" დახვეწილობა.

როგორც თავად ავტორი გვპირდებოდა, კოლექცია (50 ყოველდღიური კოსტიუმი) მსუბუქად განიცდიდა სკანდინავიურ ზეგავლენას. ანუ, თემის პირდაპირი და უხეში ინტერპრეტაციის მაგივრად, საკმაოდ ზომიერად და გემოვნებით იყო კოლექციაზე ნამუშევარი. და რაც მთავარია, ეტყობოდა, რომ კოლექციის მიზანი შემოქმედებითი ძიება უფრო იყო, ვიდრე გრანდიოზული სანახაობის გამართვა. ელფების, ჯუჯებისა და ვიკინგების ასოციაციებს მოდელებზე ვერიკო ბედლეძის მაკიაჟი და სტილისტის – ტელმანის ვარცხნილობები აღძრავდა; თუმცა, გამოყენებული იყო ისეთი დეტალები, როგორიცაა წვეტიანი ყურები ან ფრთები და ა.შ. რაც მთავარია, კოლექციის ძირითადი ნაწილი ამართლებდა ყოველდღიური კოსტიუმებისთვის აუცილებელ მოთხოვნილებებს. და დარწმუნებული ვარ, თუკი ამის საშუალებას ნამუშევართა ფასიც მოგვცემს, მათი ტანზე მორგების სურვილს ბევრი თბილისელი მსურველი აიხდენს.

განსაკუთრებული და ყველაზე შთამბეჭდავი მაინც ჩვენების ბოლოს წარმოდგენილი საქორწილო კაბები იყო. თავად ავტორს მათი წარმოდგენა დარბაზში ჩვენების კონცეფციის მიხედვით, ელფების გამოჩენად ჰქონდა ჩაფიქრებული. არ ვიცი, მაყურებლებს რამდენად გაუჩნდათ მითოლოგიური პერსონაჟების ასოციაციები, მაგრამ ჩვენების დასრულებისას უამრავ გოგონას რომ ამ კაბების ჩაცმის სურვილი აღეძრა, ეს კლუბის სტუმართა დიალოგებშიც ჩანდა.

ბოლოს, არ შეიძლება უყურადღებოდ დარჩეს ჩვენების მუსიკალურად გამფორმებელთა ღვაწლიც. მით უმეტეს, რომ გუშინდელ სანახაობაზე ამ მხრივაც კარგად იყო საქმე. პირველ რიგში, მისასალმებელია პრეცედენტი; ამ შემთხვევაში, ავტორი-დიზაინერის სურვილი, ჩვენებაში რაც შეიძლება ბევრმა და საინტერესო ადამიანმა მიიღოს მონაწილეობა, რომ შედეგიც სასურველი გამოვიდეს. საგანგებოდ გუშინდელი სანახაობისთვის ნიკა მემანიშვილმა მუსიკა დაწერა. როგორც ახალგაზრდა კომპოზიტორმა გვითხრა, ამ იგი არ დაეყრდნო რომელიმე მუსიკალურ თემას: "ჩემთვის სკანდინავიური ფოლკლორის რამდენიმე ნიმუშის მოსმენა საკმარისი აღმოჩნდა, რომ იგივე განწყობის მუსიკა შემექმნა". ასე რომ, სკანდინავიური თემის პირდაპირი ზეგავლენა არც შოუს მუსიკალურ გაფორმებაში იყო. ნიკა მემანიშვილმა სცენაზე ჩვენში საკმაოდ ცნობილი და უდავოდ პროფესიონალი მუსიკოსები (ქიბორდი – თავად ნიკა მემანიშვილი, დასარტყამი ინსტრუმენტები – გია სალაღიშვილი, პერქაშენი – დათო ჯაფარიძე, ბას-გიტარა – უჩა გუგუნავა და არფა – ირინა კობახიძე) შეკრიბა. ერთი სიტყვით, წუხანდელ ჩვენებაზე ქართული მოდის პერსპექტივები უდავოდ გამოჩნდა.

იტალიელი ავტორი "წიგნის სახლში"

თეონა ჯაფარიძე

ნოდარ ლადარია და ზაალ სამადაშვილი უმბერტო ეკოს მოყვარულებთან.

ამ ბოლო დროს ქართველ ინტელექტუალთა მოძრაობის გრაფიკი "პარნასს", "წიგნის სახლს," ამ კვირიდან კი უკვე "ლიტერატურულ კაფეს" შორის უფრო და უფრო რიტმული ხდება. ისინი განუწყვეტლივ ესწრებიან ქართველ ავტორთა წიგნების პრეზენტაციებს, ეცნობიან ახალ დასავლელ ავტორებსა და შიგადაშიგ, ახალი ინტერპრეტაციით, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხელახლა მოდაში შემოჰყავთ ხოლმე რომელიმე კარგად ნაცნობი, შედარებით ძველი ავტორი.

გუშინ საღამოს "წიგნის სახლის" ტრადიციულ ხუთშაბათობაზე, სადაც დამსწრეთა წინა რიგებს ახალი საუკუნის ახალი თაობა შეადგენდა, ხოლო უკანა ფლანგებს "კარცერ ლუქსებში" გამობრძმედილი მკითხველები ამაგრებდნენ, მწერალმა ზაალ სამადაშვილმა გადაწყვიტა, აწ უკვე გასული საუკუნის ცნობილი იტალიელი ავტორი – უმბერტო ეკო საზოგადოებისათვის კიდევ ერთხელ წარედგინა. "წიგნის სახლის" თაროებზე რუსულად თარგმნილი მწერლის ოთხი რომანის ახალი გამოცემა ელაგა, მკითხველთა ძველი და ახალი თაობა კი დიდი ინტერესით უსმენდა, როგორც ბატონმა ზაალმა ბრძანა, უმბერტო ეკოს სპეციალისტს, ცნობილი პუბლიცისტს – ნოდარ ლადარიას. ვარიაციებმა უმბერტო ეკოს თემებზე (ასე დავარქმევდი ამ შეხვედრას), როგორც ზემოთ აღვნიშნე, მართლაც, ახალი და უცნობი ნიუანსებით წარმოგვიდგინა ნაცნობი იტალიელი ავტორი.

უცნობი დეტალები, მკითხველსა და ავტორს შორის უხილავი ინტიმური კავშირის დაჭერა, თარგმანს მიღმა დარჩენილი "ის რაღაც", რასაც ვერ თარგმნი, მაგრამ გრძნობ, უამრავი უცნობი ფაქტი უმბერტო ეკოსა და მის პერსონაჟთა შესახებ – ეს ის ნიუანსებია, რაზეც მხოლოდ თეოლოგიის და, *ერთდროულად*, იტალიური ენისა და ლიტერატურის მცოდნე თუ ისაუბრებდა. ბატონმა ნოდარ ლადარიამ "წიგნის სახლში" გამოჩენილი იტალიელი ავტორის ოთხი წიგნი განიხილა: "ვარდის სახელი", "ფუკოს ქანქარა" (მომხსენებლის სიმპათიები სწორედ ამ რომანის მიმართ გამოიკვეთა), "კუნძული წინა დღით" და "ბაუდოლინო", რომლის წაკითხვაც სამჯერ უცდია ბატონ ნოდარს, მაგრამ, როგორც გვითხრა, რომანის მესამედამდეც ვერ მისულა. თქვენც სცადეთ, იქნებ მოგეწონოთ...

თემურ ჩხუტიშვილი - თბილისელი ესთეტი

თინათინ ასათიანი

გუშინ, 4 დეკემბერს 44 წლის იუბილარის, იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის დირექტორის მოადგილის და პედაგოგის, თემურ ჩხუტიშვილის ფერწერის პირველი პერსონალური გამოფენა გაიხსნა.

რუსთაველის პროსპექტზე, ერთ-ერთ პოპულარულ გალერეაში გუშინ, საღამოს ხუთ საათზე ცნობილმა მხატვრებმა, სამხატვრო სასწავლებლის სტუდენტებმა და ჩვეულებრივმა დამთვალიერებლებმა მოიყარეს თავი. TMS-ის დიდ დარბაზში გამართულ გამოფენას ახლდა ჩვეული "ალაფურშეტიც"; იყო ჩვეული ხალმრავლობაც. გალერეაში 31 კლასიკურ ჟანრში შესრულებული ფერწერული ტილო იყო გამოფენილი - ავტორის შეფასებით, საგამოფენოდ უკვე მომწიფებული ნახატები. მართალია, თემურ ჩხუტიშვილი დამწყები მხატვარი არ გახლავთ, ერთად თავმოყრილი მისი ნამუშევრების თვალიერებისას აშკარა ხდება, რომ ავტორი ძიებაშია - მისი ნამუშევრები იმდენად განსხვავდება ერთმანეთისგან, რომ მხატვარს უჭირს კიდეც, ერთი ჟანრით დაახასიათოს ისინი და ამბობს: **"შეიძლება ითქვას, რომ ეს რეალისტურ-ისტორიული სკოლაა".**

გამოფენაზე.

ცნობილი ქართველი ფერმწერი გია ბუღაძე კი თვლის, რომ ის კარგი თბილისური სკოლის განმასახიერებელია და კარგი ესთეტიკოსია. "ძალიან კარგი კოლორისტია, ძალიან კარგი პედაგოგი და, საერთოდ, კარგი ადამიანია და, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია, საკმაოდ თავშეკავებული, პასუხისმგებლობით სავსე ადამიანი გახლავთ", - ასე ახასიათებს გია ბუღაძე ავტორის პროფესიულ თვისებებს. მისივე თქმით, შემოქმედი, რომელიც თავს არ აძლევს უფლებას, ძალიან იოლად გამართოს გამოფენები, უკვე დასაფასებელია. პიროვნება, რომელიც მართლაც დიდხანს ეძებს, პირველ რიგში, კარგი პედაგოგია, რაც, ნოდარ ლომოურის, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის და ისტორიკოსის აღნიშნვით, ავტორის შემოქმედებაზეც აისახება. "ის ცნობილია, როგორც ძალიან კარგი პედაგოგი და სწორედ პედაგოგობის გარკვეული გავლენა უნდა იყოს ის, რომ, ძირითადად, კლასიკურ სტილში ხატავს."

თემურ ჩხუტიშვილი მოკრძალებულად, მაგრამ მაინც აწყობდა გამოფენებს საქართველოს პოპულარულ და ნაკლებად პოპულარულ გალერეებში; მონაწილეობა მიუღია ჯგუფურ გამოფენებშიც. ასევე, აღსანიშნავია, რომ მას საზღვარგარეთაც (ქალაქი ნიკოლაევი 1992წ, კიევი 1992წ, ჩიკაგო 1992წ) გამოუფენია ნამუშევრები. ის 1985 წელს პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა.

ასე რომ, ბევრისთვის ცნობილი და "ძალიან კარგი პედაგოგის" ერთად თავმოყრილი ნამუშევრები 9 დეკემბრის ჩათვლით რუსთაველის გამზირზე გალერეა TMS-ში იქნება გამოფენილი.

ავანგარდული საფყუარა კონსტიტუციის გასაცნობად

ალექსეი დრუჟინინი. მუხლი 95.

ოლეგ კულიკი. მუხლი 132.

ზურაბ წერეთელი არტკონსტიტუციის გახსნაზე.

ნინო ჟანიშვილი

სამი წლის წინ მოსკოვის გალერეა "ს. არტის" კურატორს პიტერ ვოისს და მხატვრებს სერგეი დენისოვს და ივან კოლესნიკოვს გაუჩნდათ იდეა 1993 წელს მიღებული რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია დაესურათებინათ. ამ სამი წლის განმავლობაში მათ მოსკოვის თითქმის ყველა აქტუალური მხატვარი შემოიკრიბეს და წიგნის ილუსტრირების ისტორიაში პირველად - დასურათებული კონსტიტუცია გამოსცეს.

პროექტის ავტორებმა რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 137 მუხლს ამდენივე ილუსტრაცია დაურთეს. კანონის ილუსტრირება, რა თქმა უნდა, აბსურდულია და აბსტრაქტული მცნებების პირდაპირი ასახვა არავის უცდია. ბევრი ნამუშევარი, რომელიც ალბომში მოხვდა, საერთოდ ამ პროექტის გაჩენამდეა შექმნილი და უბრალოდ, კონსტიტუციის ამა თუ იმ მუხლს მიუსადაგეს. ნამუშევრების უმეტესობა სოციალურ თემატიკაზეა შექმნილი და გვიჩვენებს თუ რამდენად შორსაა ქვეყნის კონსტიტუცია და რეალობა ერთმანეთისგან. პროექტის ერთერთი მთავარი მიზანი საგანმანათლებლოა, რომ რუსეთის მოქალაქეებმა ეგებ დასურათებული კონსტიტუცია მაინც წაიკითხონ.

ამ ხნის განმავლობაში პროექტის იდეოლოგები კონსტიტუციის "ილუსტრაციებს" პერიოდულად გალერეა "ს.არტში" ფენდნენ.

გუშინ კი ამ ყველაფერმა, კონსტიტუციის მიღების 10 წლისთავთან დაკავშირებით, დასრულებული სახე მიიღო. გამოფენა "არტკონსტიტუცია" და ალბომის - "რუსეთის ფედერაციის ილუსტრირებული კონსტიტუციის" პრეზენტაცია მოსკოვის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში გაიმართა. ეს მუზეუმი რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტის, ზურაბ წერეთლის მიერაა დაარსებული. ავანგარდულ პროექტში ზურაბ წერეთლის მონაწილეობამ რუსი კრიტიკოსები დიდად გააოცა. როგორ აღმოჩნდა აკადემიზმითა და გიგანტომანიით შეპყრობილი წერეთელი ავანგარდისტების და კონცეპტუალების გვერდით, ამაზე პიტერ ვოისმა "იზვესტიას" განუცხადა: "როცა ამ პროექტის მხარდაჭერა ეგრეთ წოდებულ დემოკრატებს ვთხოვეთ, ისინი შეშინდნენ. მათ გაბედული ნაბიჯების ეშინიათ. წერეთელი კი მოულოდნელად დაგვთანხმდა. იგი ძალიან საკამათო მხატვარია, მაგრამ მას თვითგამოხატვის უფლება აქვს". 44-ე მუხლი, რომელიც თავისუფალ მხატვრულ შემოქმედებას ეხება ზურაბ წერეთლის ფოტოთია ილუსტრირებული. ამ ფოტოზე ზურაბ წერეთელი თავის სახელოსნოში მორიგ გიგანტურ ქანდაკებაზე მუშაობისას არის გადაღებული.

რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 137 ილუსტრაცია ერთმანეთისგან სტილისტურად და შინაარსობრივადაც სრულიად განსხვავებულია. ეს ის არტ-პროდუქტი არის, რაც ბოლო ათი წლის განმავლობაში დაგროვდა მოსკოვში. ილუსტრაციებში ბევრია ირონია და იუმორი. ზოგიერთმა მხატვარმა კონსტიტუციის გაფორმება რომანტიულ უტოპიად მიიღო. ამ ჟანრში საუკეთესოა რუსეთში ცნობილი მხატვრის ოლეგ კულიკის ფოტოკოლაჟი - შიშველი ოლეგ კულიკი რძეს წველის გიგანტურ ბულდოგ-ძროხას. ამ ფოტოკოლაჟით დასურათებულია 132-ე მუხლი - "ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების" შესახებ.

თავად პროექტის ავტორი პიტერ ვოისი ძალიან ხალისობს კონსტიტუციის ხმამაღალ და პათოსით გაჟღენთილ მუხლებზე: "33-ე მუხლში ნათქვამია, რომ საკუთარი თავის დასაცავად უნდა მიმართო ხელისუფლების ორგანოებს. და წერტილი. რომელ ორგანოებს? რის დასაცავად? ეს არ წერია".

საერთოდ თანამედროვე რუსი მხატვრები თავიანთ პოლიტიკოსებს, სახელმწიფოებრივ ობიექტებს და ისტორიას დიდ ყურადღებას უთმობენ. იმავე სერგეი დენისოვმა და ივან კოლესნიკოვმა 23 თებერვალთან დაკავშირებით ღია ბარათები გამოუშვეს. ამ ღია ბარათებზე რუსეთის ყველა მთავარი დამარცხებაა ასახული, დაწყებული პეტრეს გალაშქრებით პრუსიაში და ჩეჩნეთის კამპანიით დასრულებული. პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინი კი თანამედროვე რუსული მხატვრობის მეტად პოპულარული პერსონაჟია. ამდენად, კონსტიტუციის დასურათების ავანგარდული პროექტი, რუსი მხატვრების რამდენიმე წლიანი ძიებების ლოგიკურ შედეგად იქცა.

სულ სხვანაირი შობა

ჰამბურგი.

კოპენჰაგენი.

ვენა.

ციურიხი.

ანა ქორძაია-სამადაშვილი

დღესასწაული ახლოვდება – შობა. რასაკვირველია, თქვენი ნებაა, შეგიძლიათ განაცხადოთ, რომ 25 დეკემბერს შობას მხოლოდ მწვალებლები ზეიმობენ და ამაყად განაგრძოთ მარხვა. მაგრამ მიუხედავად მტკიცებისა, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანეაო, ვეჭვობ, რომ ზოგს მაინც უნდა (და, რაც მთავარია, შეუძლია), ეს დღე დანარჩენ მსოფლიოსთან ერთად იზეიმოს.

ზეიმი ყველგან შეიძლება, ცხადია, სახლშიც. მაგრამ მე თუ მკითხავთ, ეს ცოტა მოსაწყენია, რადგან ყოველ წელს ერთი და იგივე მეორდება: ვყიდულობთ ნაძვის ხეს, საუკეთესო შემთხვევაში, საყვარელ ადამიანებთან ერთად ვრთავთ, საჩუქრებს ვიძენთ, და მერე ვჭამთ და ვსვამთ. ბევრს.

იქნებ წელს მაინც სხვაგვარად მოვიქცეთ? ცხადია, ამ საქმეს ფული უნდა, მაგრამ არც იმდენად ბევრი, რამდენსაც საახალწლოდ ბაზარში ვხარჯავთ ხოლმე. არადა, რა აუცილებელია, დიდი გოჭი და ძაალიან დიდი ინდაური მივირთვათ, უზღვავი ნიგვზით გავიოხროთ ისედაც ტრავმირებული ნაღვლის ბუშტი, და შემდეგ ის მოვიწყოთ, რასაც ექიმები "გაბმით სმას" ეძახიან? ამის ნაცვლად იქნებ გვემოგზაურა?

მარშრუტის არჩევანიც თქვენი ნებაა. შეგიძლიათ ორიგინალობა გამოიჩინოთ, ცხელი ქვეყნებისკენ გასწიოთ და, ვთქვათ, დახედოთ, როგორ უხარიათ უფლის მობრძანება გოას სანაპიროზე, თაკარა მზეში გაშოტილ ბურჟუების მემკვიდრეებს და სექსუალური რევოლუციის ასაკგადასულ შვილებს. მე კი ამ შემთხვევაში ევროპას ვარჩევდი, რადგან სიცივისა და ჩრდილოეთისადმი დიდი სიძულვილის მიუხედავად, ოდესღაც ყველაზე ტკბილი შობა ყველაზე ცივ მხარეში მქონდა.

მაგრამ **ჰამბურგში** ისე ველურად ნამდვილად არ ცივა, შობა კი დიდებული იციან. სხვა თუ არაფერი, მდიდარი საპორტო ქალაქია. ახალი გალავანი გიგანტური, ბრჭყვიალა გირლანდებითაა მორთული, მოედანზე უზარმაზარი ნაძვისხე ბრჭყვიალებს – ბავშვობაში რომ მენახა, ალბათ უფრო მაღალი გავიზრდებოდი. კარუსელი ტრიალებს და ციმციმებს, უამრავი ქუჩის წარმოდგენა იმართება, მოკლედ, დიდებული სანახაობაა.

გაითვალისწინეთ, რომ სტუმართმოყვარეობის მიუხედავად, საშობაოდ სტუმრის სახლში მიღება ჰამბურგში – და არამარტო ჰამბურგში – დიდად არავის უხარია, მაინც ოჯახური დღესასწაულია. მაგრამ ქუჩა-ქუჩა სეირნობა თუ მოგბეზრდებათ, მოწყენა მაინც არ გელით. შეგიძლიათ თუნდაც იულიუსისა და ლიპმანის ქუჩის კუთხეში, კაფეში "უნტერ დენ ლინდენ" – "ცაცხვების ქვეშ" შებრძანდეთ.

ამ კაფეს ასე იმიტომ ჰქვია, რომ ცხელ ზაფხულში მისი სტუმრები ცაცხვების ჩრდილში მიირთმევენ ხოლმე ყინულივით ცივ კაპუჩინოს. მაგრამ ამბობენ, რომ ის არც ზამთარში კარგავს თავის ხიბლს, საშობაოდ კი საერთოდ სამოთხის კარია: ათასგვარ ნამცხვარს მოგართმევენ და შესანიშნავ ყავას (ცხელს), კერძების არჩევანი კი ყოველდღიურად განსხვავებულია. აქ შეგიძლიათ გაზეთებიც იკითხოთ და სასიამოვნო ხალხიც გაიცნოთ – მოკლედ, მოდუნდებით და ისიამოვნებთ.

მისამართი: იულიუსის ქუჩა 16;

გაჩერება: შტერნშანცე;

ღიაა: ორშაბათი-შაბათი – 11-დან 1 საათამდე, კვირა – 10-დან 24 საათამდე;

ფასები: კაპუჩინო – 2,20 ევრო, ნამცხვარი – 2,20 ევრო;

ცნობისთვის – აქ საკრედიტო ბარათებს არ იღებენ.

უცხო ქალაქში, თან საშობაოდ ჩასულს ალბათ ისიც მოგინდებათ, რომ საკუთარ თავსაც და ვინმე სხვასაც საჩუქარი უყიდოთ. ჰამბურგის ხედებით დამშვენებული ჩაის ჭიქებისა და ოქროცურვილი ანგელოზების გარდა ისედაც ბევრი რამის შერჩევას შეძლებთ, მაგრამ მე მაინც გირჩევდით, ფეხსაცმლის მაღაზია "გოსთვის" გამოჰყოთ დრო – რასაკვირველია, თუ სერიოზული რამის შეძენა გნებავთ.

"გო" ჰამბურგში ყველაზე პატივსაცემი ფეხსაცმლის მაღაზიაა. ჩექმით დაწყებული და მიუმიუს სანდლებით დამთავრებული – რას არ ნახავთ, დოლჩე და გაბანას, პრადას თუ დრის ვან ნოტენის ნაწარმსაც და ისეთ ფეხსაცმელსაც, არასოდეს არცერთ ქალს რომ არ გამოადგება და მაინც ყველას რომ უნდა. ხოლო თუ "ვეღლვეტ კოშის" ტრფიალი ბრძანდებით, "გოში" სწორედ იქ ამოყოფთ თავს, სადაც საჭიროა.

მისამართი: ეფენდორფერ ბაუმ 20;

გაჩერება: ეფენდორფერ ბაუმ;

ღიაა: ორშაბათი-პარასკევი – 10-დან 19 საათამდე, კვირა – 10-დან 16 საათამდე.

როგორ გაჯავრდება ზოგი მკითხველი! რა დროის ჰამბურგი და ფეხსაცმელიაო, მაგრამ ვიოცნებოთ მაინც.

რადგან **ვენა** აშკარად იმისთვის არსებობს, რომ მასზე იოცნებო, თორემ სხვაგვარად – ეს ჩემი პირადი აზრია – ერთი დეპრესიული და ბურჟუაზიული ქალაქი გახლავთ. მართალია, ძალიან ლამაზია, განსაკუთრებით, საშობაოდ, როცა სინათლეები არხებსა და მდინარეში ირეკლება, წმინდა შტეფანის ტაძართან საგანგებოდ გამოპრანჭული ცხენების ფლოქვების თქარუნი ისმის, და არამარტო საქვეყნოდ ცნობილ ყავახანებში, არამედ სუპერმარკეტებშიც კი შტრაუსის ვალსები ჟღერს. "ბაროკოში" ღამის დედოფალი მღერის და თუ ცოტა ხნით მაინც მოგინდებათ, რომ თავი ჰაბსბურგების ჩამომავლად იგრძნოთ, შოენბრუნში ჩამოჯექით ყავის დასალევად და ამაყად გადახედეთ თქვენს დიდებულ სამფლობელოს...

მართალია, ასეთი საშობაო ზღაპარი შეიძლება ყელში ამოგივიდეთ – ძალიან ტკბილია, მესამე ნაჭერი ტორტივითაა. ამ შემთხვევაში, მერწმუნეთ, "ფლექსზე" უკეთეს თავშესაფარს ვერსად იპოვნით. ითვლება, რომ ის ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კლუბია. ეს არ არის ის ვენა, რომელსაც პრიალა ფოტოალბომებში ხედავთ ხოლმე, მისადგომი საკმაოდ არასანდოდ გამოიყურება და რაც არ უნდა თქვათ, დუნაის არხი, რომლის სიახლოვესაც კლუბია განლაგებული, მაინც ყარს, და არც კედელია კლიმატის მიერ მოხატული. მაგრამ, მეორეს მხრივ, ეს კლუბის იმიჯის შემადგენელი ნაწილია. შესასვლელი ფასი შედარებით დაბალია, თუ, ცხადია, ვინმე ვარსკვლავი დიჯეის გამოსვლა არაა მოსალოდნელი. მოკლედ, როცა ზანზალაკების წკარუნი და ბავშვების ჟრიამული ყელში ამოგივათ, "ფლექსს" ეწვიეთ, და მაქსიმუმ ერთ საათში ისევ ღამის დედოფალი მოგენატრებათ.

მისამართი: აუგარტენის ხიდი;

გაჩერება: მეტროს სადგური შოტენრინგ;

ღიაა: ყოველდღე 4 საათამდე, კაფე – 20 საათიდან, საცეკვაო დარბაზი – დიდი-დიდი 23 საათიდან

ფასები: შესვლა – 2,90 ევრო, დიდი კათხა ლუდი – 2,80 ევრო, არაყი "რედბული" – 5,30 ევრო;

ცხადია, ყველაფერი გემოვნების ამბავია. მე "ფლექსში" ჩინებულად ვგრძნობდი თავს, და ამიტომ იქვე მირჩიეს, **ციურიხში** სასტუმრო "ციკ-ცაკში" გაჩერდიო. ვაჰ, ეს სად მოვხვდიო, ვერ იტყვით, უბრალო, ჭრელი ოთახებია, მაგრამ იაფია – 72-დან 130 შვეიცარულ ფრანკამდე ჯდება. სამაგიეროდ, ყოველი ოთახი თითო როკ-ვარსკვლავს ან ჯგუფს ეძღვნება, და თავად შეგიძლიათ გადაწყვიტოთ, ვისი დანახვა გაგიხარდებათ გაღვიძებისთანავე – ლენი კრავიცის თუ ჯო კოკერის. გარდა ამისა, მომსახურე პერსონალი ძალიან სასიამოვნო ხალხია და ციურიხის ღამის ცხოვრებაშიც შესანიშნავად ერკვევა – გნებავთ, ბოსხის მოყვარულთა თავშეყრის ადგილს მიგასწავლიან, გნებავთ – თინეიჯერების დამაბრმავებელ, დამაყრუებელ და დამამუნჯებელ დისკოთეკას. ხოლო თუ ოთხშაბათს "ციკ-ცაკში" აღმოჩნდებით, თავისუფლად დაესწრებით Power Oldies Nights 60's to 70's-საც. ამბობენ, სახალისოაო.

გარდა ამისა, დილით 4,50 ფრანკად ზღაპრულ ფუნთუშასა და ყავასაც მიირთმევთ, საშობაოდ კი ოთახში პაწია ნაძვისხესაც ჩამოგიდგამენ – რომ ცხოვრება დღესასწაულად გადაგიქციონ.

მისამართი: მარკტგასე 17;

გაჩერება: ტრამვაი 4, 15, რატუშასთან.

ციურიხიდან კი მართლაც გადასარევ საჩუქარს ჩამოუტანთ ძვირფას ადამიანებს, განსაკუთრებით, თუ მათ თანამედროვე შვეიცარული დიზაინი მოსწონთ. კარადის ზურგზე მოკიდებას როდი გთავაზობთ, შეგიძლიათ, ვთქვათ, როსის ფირმის ჩინებული ხელჩანთა შეიძინოთ – პირადად მე ასეთი საჩუქარი ძალიან გამიხარდებოდა. მაღაზიასაც იოლად მიაგნებთ:

მისამართი: რემიშტრასე 2;

გაჩერება: ტრამვაი 2,4, 5, 8, 9, 14 ბელვიუ;

ღიაა: ორშაბათი-პარასკევი – 11-დან 19 საათამდე, შაბათს – 11-დან 16 საათამდე.

აი, მე კი **კოპენჰაგენში** მინდა, დიდი მუზეუმების, სასახლეების, ზღაპრული ბაღების ქალაქში, სადაც კაის და გერდას ერთმანეთი უყვარდათ, სადაც ზღვას პატარა, ყველაზე ლამაზი, თევზისკუდიანი გოგო გასცქერის და სადაც უაღრესად სიმპათიური დედოფალი მარგარეტე მეორე, უამრავი პროტესტის მიუხედავად, გულმოდგინედ და მედგრად ეწევა. აი, იქ მინდა, Stangade 30-ში, ჯანდაბას, პანკ-როკსაც კი ავიტან. მერე წავალ Czar-ში და სამასივე სახეობის ყველს შევჭამ და მერე კოპენჰაგენის ტივოლის თეთრი პონით შემოვუვლი, ცხელ ღვინოსაც დავლევ, და თავი სულ მცირე, თოვლის დედოფალიც მეგონება.

წელს თუ ვერა, მომავალ წელს მაინც წავალ.

ფეხბურთი

დევიდ ბეკჰემი: "ესპანეთს ყვავილების სუნი აქვს"

როგორ გამოაგდეს დევიდი და ვიქტორია ჩინური რესტორნიდან

გუშინწინ, "ატლეტიკოს" წინააღმდეგ მატჩის (2:0) შემდეგ, მადრიდის "რეალის" ვარსკვლავი დევიდ ბეკჰემი ტელეკომპანია SER-ის გადაცემის სტუმარი იყო. შოუს წამყვანმა ხოსე რამონ დე ლა მორენამ ბეკჰემი აიძულა, მაქსიმალურად გულახდილი ყოფილიყო. შედეგად კი გამოვიდა ვრცელი ინტერვიუ, რომელიც ვარსკვლავის ცხოვრების თითქმის ყველა დეტალს მოიცავს.

ბეკჰემი რობერტო კარლოსით აღფრთოვანებულია.

- დევიდ, ესპანეთს, მართლაც, ნივრის სუნი ასდის? ამბობენ, რომ ეს შენმა მეუღლემ, ვიქტორიამ თქვა.

- არ ვიცი, საიდან მოიტანეს. ჩემი ოჯახის ირგვლივ უამრავი ჭორი დადის, მაგრამ მათი დიდი ნაწილი არ შეესაბამება სიმართლეს. ამბობენ, რომ ვიქტორიას არ მოსწონს ესპანეთი, მაგრამ ეს სრული სიცრუეა.

- მაშ, შენი აზრით, რისი სუნი აქვს ესპანეთს?

- ყვავილების. ესპანეთი შესანიშნავი ქვეყანაა.

- მოგწონთ აქ ცხოვრება?

- მადრიდში ცხოვრება ძალიან მომწონს. აღფრთოვანებული ვარ იმ თამაშით, რომელსაც ჩვენი გუნდი აჩვენებს... უკვე საკუთარი სახლიც მაქვს და სასტუმროში ცხოვრება აღარ მომიწევს. ცხადია, ჩემს მეუღლეს ლონდონში და ნიუ იორკში მოგზაურობა უხდება, მაგრამ ის ჩემთან ერთად, მადრიდში იცხოვრებს.

- მოგწონს შენი ახალი სახლი?

- არაჩვეულებრივი სახლია. ძალიან კარგ რაიონში მდებარეობს, შესანიშნავი მეზობლები მყავს. ჩვენს ახალ სახლში ძალიან ბედნიერად ვგრძნობ თავს.

- სად აპირებ საშობაო არდადეგების გატარებას?

- ლონდონში. აქამდე არასოდეს მქონია არდადეგები შობის დროს. რაღაც განსაკუთრებული იქნება, თუ ამ დღესასწაულს სამშობლოში, ოჯახის წევრებთან ერთად აღვნიშნავ.

- ძალიან მომეწონა შენი წიგნი.

- მიხარია, რომ მოგეწონათ. ადამიანი, რომელთან ერთადაც ამ წიგნზე ვმუშაობდი, ჩემი დიდი მეგობარია. მან შეძლო, ყველაფერი ისე გადმოეცა, როგორც მე მსურდა.

- როგორ არის მამაშენი?

- შესანიშნავად გრძნობს თავს. ის, პრაქტიკულად, არც ერთ მატჩს არ ტოვებს. ჩემი თამაშის სანახავად ბევრს მოგზაურობს.

- როგორ მოხდა, რომ ბობი ჩარლტონმა სატელევიზიო შოუში აღმოგაჩინა?

- 11 წლის რომ ვიყავი, ჩარლტონის საფეხბურთო სკოლის კონკურსში გავიმარჯვე. მთავარი პრიზი ბარსელონაში მოგზაურობა იყო.

- იქ შენ 15 დღე დაყავი.

- დიახ, ბარსელონაში ორი კვირა გავატარე. ძალიან მომეწონა იქაურობა. მაშინ მომეცა საშუალება, ბარსელონაში გავმგზავრებულიყავი და გამეცნო ხალხი, რომლებიც ჩემი კერპები იყვნენ, მაგალითად, მარკ ჰიუჯესი.

- ბარსელონაში ყოფნისას ხომ არ იოცნებე, რომ ოდესმე "ბარსელონაში" გეთამაშა?

- ნებისმიერი ბავშვი ოცნებობს დიდ გუნდში თამაშზე. ჩემთვის ისიც ოცნება იყო, რომ 11 წლის ასაკში ბარსელონაში წავსულიყავი.

- ტერი ვენეიბლსს "ტოტენჰემში" სურდა შენი ჩარიცხვა...

- დიახ, მაგრამ მე ყოველთვის "მანჩესტერში" თამაში მინდოდა. ეს იყო ჩემი მიზანი.

- ასეც მოხდა, როდესაც გამოჩნდა სიერა მარონი...

- ზუსტად ასე იყო. მან მითხრა, რომ "მანჩესტერში" წამიყვანდა.

- ეს მაშინ მოხდა, როდესაც 13 წლის იყავი. ტელეფონით ფერგიუსონმა დაგირეკა და "მანჩესტერში" დაგპატიჟა.

- მანჩესტერში გამგზავრება საოცრად ამაღელვებელი იყო ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის. მახსოვს, ფერგიუსონის სატელეფონო ზარმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

- როგორი რეაქცია ჰქონდა დედას?

- დედაჩემი არასოდეს შეიცვლება. ის ტიროდა, როდესაც 16 წლის ასაკში ოჯახიდან წავედი და ტიროდა მაშინაც, როდესაც მადრიდში წამოვედი სათამაშოდ. როდესაც მე სადმე მივემგზავრები, დედა ყოველთვის ნერვიულობს.

- შენი პირველი შეყვარებული დიანა იყო. დღემდე გახსოვს ის?

- რასაკვირველია, მახსოვს. პირველი სიყვარული არასოდეს ავიწყდებათ. ჩვენ 3 წლის განმავლობაში ვხვდებოდით ერთმანეთს. მასზე და მის ოჯახზე სასიამოვნო მოგონებები დამრჩა.

- შენს წიგნში დიანას თბილად მოიხსენიებ...

- ცხადია. მანჩესტერში სრულიად მარტო ვიყავი. იქ მხოლოდ დიანა და მისი ოჯახი მყავდა. ჩვენ არაჩვეულებრივი ურთიერთობა გვქონდა და მათ დღემდე ვიხსენებ.

- რა დაგამახსოვრდა ყველაზე მეტად "მანჩესტერის" შემადგენლობაში შენი პირველი მატჩიდან?

- ძალიან ვნერვიულობდი, იმიტომ რომ ახალგაზრდა ვიყავი. ასევე საშინლად ვღელავდი "სანტიაგო ბერნაბეუზე" ჩემი პირველი მატჩის წინ. იგივე გრძნობები დამეუფლა, რაც მაშინ, "ლიდსის" წინააღმდეგ მატჩში. საკუთარი თავი უნდა გამომეცადა, უნდა გამეგო, რისი მიღწევა შემეძლო "რეალის" შემადგენლობაში.

- შემდეგ გამოჩნდა ვიქტორია ადამსი. ეს არის შესანიშნავი სიყვარულის ისტორია. როგორ გაიცანით ერთმანეთი?

- მე ძალიან მორცხვი ვარ, იმდენად მორცხვი, რომ ჩვენი პირველი შეხვედრისას მხოლოდ ორი სიტყვით - მისალმებითა და დამშვიდობებით შემოვიფარგლე. ერთი კვირის შემდეგ ვიქტორია ისევ მოვიდა თამაშის სანახავად და ჩვენ ტელეფონის ნომრები გავცვალეთ. ეს ჯადოსნური დრო იყო. ორი კვირის განმავლობაში არავინ იცოდა, რომ ჩვენ ერთმანეთს ვხვდებოდით. არაჩვეულებრივი მოგონებები დამრჩა...

- პირველი პაემანი ერთ-ერთ ჩინურ რესტორანში გქონდათ, მაგრამ იქაურობა დაგატოვებინეს, იმიტომ რომ არაფერს ჭამდით...

- მართალია. ჩვენ მოვძებნეთ წყნარი ადგილი, სადაც ვერავინ შეგვამჩნევდა. რესტორანში გვითხრეს, რომ რამე უნდა შეგვეკვეთა. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ არ გვშიოდა, მაგრამ, თუ მარტო ყოფნის საშუალებას მოგვცემდნენ, შევუკვეთავდით ერთ ულუფა პურს და კიბორჩხალებს. ამ წინადადებაზე უარი მივიღეთ.

- ასეთი ურთიერთობა გაგრძელდა მანამ, სანამ ვიქტორიას მშობლების გაცნობის დრო არ დადგა. როგორი იყო მამამისთან შეხვედრა?

- ძალიან ვნერვიულობდი, როდესაც ვიქტორიას დაქორწინება შევთავაზე, მაგრამ ბევრად უფრო ვნერვიულობდი, როდესაც მამამისს მისი ხელი ვთხოვე. ეს განსაკუთრებული მომენტი იყო ჩემს ცხოვრებაში.

- როგორი გრძნობაა, იყოთ მსოფლიოს ყველაზე პოპულარული წყვილი?

- საწუწუნო არაფერი გვაქვს. მიგვაჩნია, რომ სჯობს, სიამოვნება მიიღო იმით, რაც გაქვს, მთელი იმ უარყოფითი გარემოებებით, რაც ამ პოპულარობას თან ახლავს. ჩვენ გაგვიმართლა, რომ გვაქვს ასეთი ოჯახი, როგორზეც ბევრი ოცნებობს. არის უსიამოვნო მომენტებიც, მაგრამ ეს "დევიდისა და ვიქტორიას ყოფიერების" შემადგენელი ნაწილია...

- იმის შესახებ, რომ მამა გახდებოდი, მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატზე, არგენტინასთან მატჩის წინა დღეს გაიგე. იმ მატჩში კი სიმეონესთან ჩხუბის გამო მოედნიდან გაგაძევეს. ამდენი მოვლენა დროის პატარა მონაკვეთში...

- ის დრო უბედნიერესი იყო ჩემს ცხოვრებაში. პროფესიული თვალსაზრისითაც ბევრი საინტერესო რამ მოხდა. იმ მატჩში მომხდარი ინციდენტის გამო დიდი გამოცდილება შევიძინე.

- 1999 წელს ჩემპიონთა ლიგა მოიგე. შემდეგ კი ფერგიუსონთან პირველი უთანხმოება მოგიხდა. თქვენი პრობლემები მაშინ დაიწყო?

- არა მგონია. ყველა ადამიანს, პროფესიის მიუხედავად, ოდესღაც უჩნდება პრობლემები ხელმძღვანელობასთან ურთიერთობაში. პრობლემები გაჩნდა ჩემი და ფერგიუსონის ურთიერთობაშიც. მაგრამ მე მას ყოველთვის პატივს ვცემდი როგორც ადამიანს და როგორც პროფესიონალს. სწორედ მან აღმომაჩინა და მიმიყვანა "მანჩესტერში". იმისთვის, რომ მე გავხდი ისეთი ფეხბურთელი, როგორიც ვარ, ყოველთვის მადლობელი ვიქნები ფერგიუსონის.

- მაგრამ ის შენი და ვიქტორიას ქორწინების წინააღმდეგი იყო. ყველა ხვდებოდა, რომ ვიქტორიასთან ურთიერთობის განმავლობაში შენ შეიცვალე და აღარ აკმაყოფილებდი ფერგიუსონის კრიტერიუმებს. ამაზე რას იტყვი?

- მე ასე არ ვფიქრობ, თუმცა, ეს, ალბათ, ფერგიუსონს უნდა ჰკითხოთ. მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ოჯახი ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პროფესია და სხვა რაღაცები. იყო შემთხვევები, რომლებიც ძალიან არ მოსწონდა ფერგიუსონს, ყველაზე ცუდი კი ის გახლდათ, რომ ამის შესახებ მთელმა მსოფლიომ გაიგო. მთელ ამ ამბავშიც სწორედ ეს არის ყველაზე ცუდი.

- "არსენალთან" მარცხის შემდეგ ფერგიუსონმა ბუცი გესროლა. რა არის მართალი იქიდან, რაც ჩვენთვისაა ცნობილი?

- ყველაფერი ჩემს წიგნშია მოთხრობილი. რთული სიტუაცია იყო, რადგან ამ ინციდენტის მოწმე მთელი მსოფლიო გახდა.

- შეგამჩნიე, რომ სურდო გაქვს...

- უკვე გამიარა. ერთი კვირა მქონდა, ახლა ჯანმრთელად ვარ.

- მადრიდში შენი გადმოსვლა ფერგიუსონმა განაპირობა?

- როდესაც არდადეგებზე ვიყავი, მითხრეს, რომ "მანჩესტერს" ჩემი გაყიდვა უნდოდა. პირველი, რაც გავიგე, ის იყო, რომ ჩემი გაყიდვა "ბარსელონაში" სურდათ. მაგრამ მე არ მინდოდა "ბარსელონაში" გადასვლა, მხოლოდ "რეალში" თამაშზე ვფიქრობდი. "მანჩესტერიდან" მხოლოდ იმიტომ წამოვედი, რომ "რეალში" მეთამაშა.

- როდესაც ფლორენტინო პერესს დაურეკე, ის ხესუს ხილი ხილთან ერთად სადილობდა. რა უთხარი მას?

- როდესაც პრეზიდენტს პირველად დავურეკე, მისი შვილი ავად იყო და, პირველ რიგში, სწორედ მის შესახებ ვკითხე. ფლორენტინომ მითხრა, რომ "რეალში" ჩემს გადასვლას არა მარტო გულშემატკივრებისთვის, არამედ ფეხბურთელებისთვისაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა. მე ვუთხარი, რომ არდადეგებიდან ახალი ჩამოსული ვიყავი და სულ ცოტა ხნის წინ გავიგე, რომ "მანჩესტერს" ჩემი გაყიდვა სურდა.

- და მაინც, რატომ აირჩიე მადრიდის "რეალი"?

- "მანჩესტერში" 15 წელი ვითამაშე. იქ ბევრი მეგობარი მყავს და მათთან ახლაც ვაგრძელებ ურთიერთობას. გუნდი, რომელშიც "მანჩესტერიდან" გადავიდოდი, ისეთივე სახელოვანი უნდა ყოფილიყო. ასეთი კი მხოლოდ "რეალია".

- ახლა შენს თანაგუნდელებზე ვისაუბროთ. რა აზრის ხარ კასილიასზე?

- ის ფენომენალური მეკარეა, ერთ-ერთი საუკეთესო მსოფლიოში. მან უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, როდესაც გუნდში მოვედი. ვიცოდი, რომ ის კარგი მეკარეა, მაგრამ ამ სეზონში ის, მართლაც, ბრწყინავს.

- სალგადოზე რას იტყვი?

- ის შესანიშნავი მეგობარია. მიჩელი ესპანური ენის შესწავლაში მეხმარება, მე კი მას ინგლისურს ვასწავლი. უნიჭიერესი ფეხბურთელი და არაჩვეულებრივი პიროვნებაა.

- რაული? გავრცელდა ხმები, თითქოს თქვენ არც ისე კარგი ურთიერთობა გქონდათ მას შემდეგ, რაც თქვენი მეუღლეები ჩოგბურთის ტურნირზე ერთმანეთს არ მიესალმნენ.

- წარმოდგენა არა მაქვს, საიდან ვრცელდება ეს ჭორები. როდესაც გუნდში მოვედი, რაულმა პირველმა ჩამომართვა ხელი. გავიგე, რომ უდიდესი წნეხის იყო, რადგან ის "რეალისა" და მთელი ესპანეთის "მეფეა". რაული ფენომენალური ადამიანია.

- ორი სიტყვა რონალდოს შესახებ...

- მას გენიალური ფორვარდის ტალანტი აქვს! ასეთივე ტალანტი რობერტო კარლოსსაც აქვს. ეს ორი ადამიანი ყველაზე მომხიბვლელი ადამიანია მათ შორის, ვინც ოდესმე შემხვედრია ცხოვრებაში. მე კი ძალიან ბევრ ადამიანს შევხვედრივარ. რონალდო ფანტასტიკურია!

- ზიდანზეც ამბობდი, რომ ის არაჩვეულებრივია...

- რასაკვირველია. ის მსოფლიოს ნომერ პირველი ფენომენია. ეჭვგარეშეა, რომ ზიდანი საუკეთესოა. ჩემთვის დიდი პატივია მის გვერდით თამაში.

- ახლა ერთ ტესტს ჩაგიტარებ. მოკლე კითხვებს დაგისვამ და შენც მოკლედ მიპასუხე. ვინ გაჩუქა ჟაკეტი, რომელიც ახლა გაცვია?

- მგონი ჩემმა მეუღლემ.

- პერანგი?

- მაღაზია "Marks & Spencer"-ში შევიძინე.

- ჯინსებს ყოველთვის ერთი ზომით დიდს ყიდულობ?

- ახლა რომ ჯინსები მაცვია, მამაჩემმა მათხოვა... არა, *(იცინის)* ეს ხუმრობაა. იმ ჯინსებს ვყიდულობ, რომელიც მომწონს.

- ფეხსაცმელი?

- ეს adidas-ია. მე ამ სავაჭრო ნიშანს წარმოვადგენ.

- ეს ორი საყურე, რომელიც ახლა გიკეთია?

- ეს ბრილიანტებია, რომლებიც ჩემმა მეუღლემ მაჩუქა.

- რომელია შენი საყვარელი ფერი?

- თეთრი.

- შენი საყვარელი კერძი?

- ლორი.

- სასმელი? ლუდი?

- არა. პეპსი.

- ფილმი?

- "სანტა კლაუსი".

- მუსიკალური ჯგუფი?

- ადრე "Spice Girls" მიყვარდა, ახლა კი - ყველაფერი ის, რასაც ჩემი მეუღლე აკეთებს.

- რამდენი მანქანა გაქვს?

- ხუთი.

- რამდენი კოსტიუმი გიკიდია კარადაში?

- არ დამითვლია.

- ფეხბურთის გარდა, სპორტის რომელი სახეობა გიტაცებს?

- თითქმის ყველა სახეობას ვუყურებ, თამაშით კი ყველაზე მეტად გოლფის თამაში მსიამოვნებს.

- უკანასკნელ ხანს ყველაზე მეტად ვინ გესიმპათიურება?

- მას შემდეგ, რაც ესპანეთში ჩამოვედი, უნდა გამოგიტყდეთ, რობერტო კარლოსი. ის ისე მექცევა, როგორც შვილს და როგორც ძმას. ასევე მომწონს ნელსონ მანდელა.

- რატომ?

- არაჩვეულებრივი ადამიანი მგონია. ძალიან თბილი და თავაზიანია. აგრეთვე, ინგლისის დედოფალი. გასულ კვირას მასთან წვეულებაზე ვიყავი და ძალიან მომეწონა.

- შაბათს "ბარსელონას" შეხვდებით. იცი, რომ რონალდინიო არ ითამაშებს?

- ის პლანეტის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია და მისი არყოფნით ნებისმიერი გუნდი ისარგებლებდა. ეს ჩემი პირველი მატჩია "ბარსელონას" წინააღმდეგ და უკეთესი იქნება, თუ რონალდინიო, მართლაც, არ ითამაშებს.

- იცი, რა მოხდა შარშან "ნოუ კამპზე"?

- ის მატჩი ტელევიზორში ვნახე და ძალიან გამიკვირდა, თუ როგორ მოექცნენ ფიგუს. მიუხედავად ამისა, "ნოუ კამპზე" თამაში ძალიან მსურს.

- ღამით მალე იძინებ?

- ვცდილობ, თუმცა, ყოველთვის არ გამომდის.

- კოშმარები ხომ არ გესიზმრება?

- არა, ახლა აღარ მესიზმრება.

ინფორთეკა

ფეხბურთი. გერმანიის თასზე "ვერდერისგან" - 1:6 განადგურების შემდეგ ბერლინის "ჰერტას" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, თანამდებობიდან გაათავისუფლოს მთავარი მწვრთნელი ჰუუბ სტევენსი.

■ ■ ■

ფეხბურთი. "ლა გაძეტა დელო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში პორტუგალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ განაცხადა, რომ ევროპის ჩემპიონატზე აშკარა ფავორიტს ვერ ხედავს. "არა მგონია, რომ აპენინებზე ჩემი საყვარელი ფეხბურთელის, პაოლო მალდინის "სკუადრა აძურაში" დაბრუნების შემდეგ იტალიის ნაკრები ტურნირის მთავარი ფავორიტი გახდეს. საერთოდ, მიმაჩნია, რომ ამგვარ ნაკრებთან საქმე არა გვაქვს. სულ ცოტა, რვა გუნდი დაახლოებით ერთ დონეზეა. პირველ რიგში ესენი არიან - პორტუგალია, იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი, ინგლისი, გერმანია. თუმცა, მე თავს არ შევიკავებდი ჩეხებისა და რუსების შეფასებისგან. არ გამიკვირდება, თუ ამ ტურნირზე ხმაურიანი სიურპრიზები იქნება. ვნახოთ, როგორ დასრულდება ჯგუფური ეტაპი და შემდეგ დავუბრუნდეთ ფავორიტების თემას", - თქვა სკოლარიმ.

■ ■ ■

ფეხბურთი. ინგლისის "ნიუკასლ იუნაიტედი" დაინტერესებულია, ათენის "პანათინაიკოსისა" და საბერძნეთის ნაკრების 22 წლის მცველი გიორგიოს სეიტარიდისი შეიძინოს. ახალგაზრდა ფეხბურთელმა ინგლისური კლუბი შეიძლება უკვე იანვარში შეავსოს, როცა ზამთრის სატრანსფერო დერეფანი გაიხსნება. "ნიუკასლის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ისარგებლოს "პანათინაიკოსის" ფინანსური სიდუხჭირით, რომელსაც ფული იმისთვის სჭირდება, რომ შეიძინოს გიორგი ქინქლაძე და ბერლინის "ჰერტას" მცველი ჯო შიმუნიჩი.

■ ■ ■

ფეხბურთი. მადრიდის "რეალისა" და სერბეთის ნაკრების ყოფილმა ფორვარდმა პრედრაგ მიატოვიჩმა საფეხბურთო კარიერის დასრულების შესახებ განცხადება გააკეთა. 34 წლის თავდამსხმელმა განაცხადა: "ფიზიკურად თავს კარგად ვგრძნობ, მაგრამ მოტივაცია აღარ დამრჩა. მოვიდა დრო, როცა ჩემი თავი ოჯახს უნდა მივუძღვნა". თავისი სპორტული კარიერის განმავლობაში მიატოვიჩმა 71-ჯერ მოირგო ეროვნული ნაკრების მაისურა და 28 გოლი გაიტანა. უკანასკნელი სეზონი სერბმა გაატარა ესპანეთის მეორე დივიზიონის კლუბ "ლევანტეში", სადაც 21 მატჩში 3 გოლი გაიტანა. 1998 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩში მიატოვიჩის გოლმა მადრიდის "რეალს" გამარჯვება მოუტანა.

■ ■ ■

ფეხბურთი. როგორც ადრე იუწყებოდნენ, ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი ორგანიზაციის მაისის კონგრესზე აპირებს, დღის წესრიგში დააყენოს საკითხი, რომ ფიფას რიგებში შემავალი ქვეყნების ეროვნულ ჩემპიონატებში გუნდების რიცხვი 16-მდე შემცირდეს. საუბარია იმაზე, რომ ყველა ევროპული ქვეყნის ჩემპიონატებში ჩატარდეს 16-გუნდიანი ჩემპიონატი, რათა სათასო მატჩების გათვალისწინებით, გუნდებს წელიწადში 45 თამაშზე მეტი არ გამოუვიდეთ. ამ გადაწყვეტილების მიზეზი გახდა სურვილი, შემცირდეს იმ მატჩების რიცხვი, რომელთაც პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელები ყოველწლიურად ატარებენ. იმ შემთხვევაში, თუ კონგრესზე წინადადებას მიიღებენ, ხოლო ორგანიზაციაში შემავალი რომელიმე ქვეყანა კონგრესის გადაწყვეტილებას არ დაემორჩილება, ფიფა იძულებული გახდება, ეს ქვეყანა თავისი ორგანიზაციიდანაც გარიცხოს და, შესაბამისად, მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატში მონაწილეობიდანაც. თუმცა, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის პრეს-ატაშემ მაშინვე განაცხადა, რომ პრემიერლიგაში მოასპარეზე გუნდების რაოდენობა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის საშინაო საქმეა. "არც ჩვენ და არც კლუბებს არ გვსურს, პრემიერლიგაში გუნდების რაოდენობა შევამციროთ", - განაცხადა პრეს-ატაშემ.

■ ■ ■

ფეხბურთი. შვედეთის კლუბ "მალმეს" პრეზიდენტმა ბენგტ მადსენმა დაადასტურა, რომ სეზონის ბოლოს კლუბი კონტრაქტს გააფორმებს ესპანეთის "ბარსელონას" მცველ პატრიკ ანდერსონთან. მიუხედავად იმისა, რომ "ბაიერნის" 32 წლის მცველს ესპანურ გრანდთან კონტრაქტის ვადა ეწურება და სამშობლოში დაბრუნებას აპირებს. "ანდერსონს უკვე ვესაუბრე. მან დაადასტურა, რომ სეზონის ბოლოს სამშობლოში, კერძოდ, მალმეში დაბრუნებას აპირებს", - განაცხადა მადსენმა.

■ ■ ■

ფეხბურთი. ცნობილმა ჰოლანდიელმა სპეციალისტმა გუუს ჰიდინკმა, რომელიც ამჟამად "პსვ ეინდჰოვენს" ავარჯიშებს, განაცხადა: ძალიან უნდა, სათავეში ჩაუდგეს რომელიმე ეროვნულ ნაკრებს, რათა გუნდთან ერთად გერმანიის 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზოს. ამის გამო ჰიდინკმა "პსვ ეინდჰოვენთან" ახალ კონტრაქტსაც კი არ მოაწერა ხელი და ითხოვს, ახალ შეთანხმებაში ჩაიდოს პუნქტი, რომლის ძალითაც ჰიდინკი, შესაძლებლობის შემთხვევაში, ეროვნულ ნაკრებში დაკავდება. შეგახსენებთ, რომ 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე სამხრეთ კორეის ნაკრები, რომელიც წინათ ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტდა, ნახევარფინალში გაიყვანა და ამით საფეხბურთო წრეებში არნახული პატივისცემა დაიმსახურა. "მას სურს, თანამშრომლოს "პსვ ეინდჰოვენთან", მაგრამ, ამასთან, უფლება აქვს, მსოფლიო ჩემპიონატზე გასულ გუნდს უთხრას: "დიახ!" - თქვა ჰოლანდიური კლუბის პრეს-ატაშე პედრო სალაზარმა.

ყველაზე იაფი ჩემპიონატი

ფრანც ბეკენბაუერი იოზეფ ბლატერზე ძლიერი აღმოჩნდა

ნინო პირველი

ფრანც ბეკენბაუერს დიდი ბრძოლა დასჭირდა, სანამ ფიფას თავისნათქვამა ბოსის, იოზეფ ბლატერის ჯიუტობას დაძლევდა. როცა ცნობილი გახდა, რომ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში უნდა გამართულიყო, "კაიზერი" ხალხს შეჰპირდა, აუცილებლად მივაღწევთ იმას, რომ ზოგიერთი კატეგორიის ბილეთი ძალიან ძვირი არ იყოს და სტადიონზე წასვლა ყველამ შეძლოს, ვისაც კი სურვილი ექნებაო. ამ დანაპირების განხორციელება ადვილი არ იყო. ზეპ ბლატერი კინაღამ გადაირია, როცა ბეკენბაუერმა მოთხოვნა წაუყენა, ბილეთების თხუთმეტი პროცენტი ორმოც ევროზე ნაკლები უნდა ღირდესო. ფიფას შეფი, მოგეხსენებათ, დიდი "ჩალიჩა" ვინმეა - არაფრისგან შეუძლია ფულის გაკეთება. მსოფლიო ჩემპიონატზე ხომ საერთოდ სასწაულებს ახდენს. ჰოდა, როგორ ფიქრობთ, ასეთ კაცს გაეხარდებოდა, ბეკენბაუერი იაფ ბილეთებს რომ სთხოვდა? დიდხანს იბუზღუნა შვეიცარიელმა ტირანმა, ბევრს ეცადა, როგორმე ჭკუაზე მოეყვანა ხალხის ჯიბეზე მზრუნველი ბეკენბაუერი, მაგრამ ვერაფერს გახდა. "კაიზერმა" სიტყვა არ გატეხა. ბლატერს დაემუქრა, თუ მუშაობაში ხელს შემიშლი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადავდგები და აბა, ვნახოთ, უჩემოდ თუ არ გაგიჭირდებათო. წარმოგიდგენიათ, რა სკანდალი ატყდებოდა, სრულიად გერმანიის სათაყვანებელი "კაიზერი" რომ კომიტეტიდან წასულიყო? ფრანც ბეკენბაუერი გერმანიაში საოცრად პოპულარულია. ის ისეთ ხალხსაც კი უყვარს, ვისაც ფეხბურთი საერთოდ არ აინტერესებს. თანამდებობიდან მისი წასვლა გერმანიაში ნამდვილად დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევდა, რაც ზეპ ბლატერმა არაჩვეულებრივად იცოდა და ამიტომაც დათმობა ამჯობინა. ბეკენბაუერის სიმტკიცის წყალობით, ჩემპიონატზე, მართლაც, ბევრი ადამიანი შეძლებს იაფი ბილეთის შეძენას. მეოთხე კატეგორიის ბილეთები, სავარაუდოდ, 35 ევრო ეღირება და ჯგუფური ეტაპის ყველა მატჩსა და მეოთხედფინალებზე გაიყიდება. გახსნის ცერემონიალის, ნახევარფინალებისა და ფინალის ნახვის მსურველებს კი ბევრად მეტის გადახდა მოუწევთ. 35-ევროიანი ბილეთები ამ თამაშებზე არ გაიყიდება.

35 ევრო (დაახლოებით 75-80 ლარი) საკმაოდ ხელსაყრელი ფასია მსოფლიო ჩემპიონატისთვის. გერმანელ გულშემატკივრებს ზუსტად ამდენის გადახდა უწევთ ბუნდესლიგის მატჩების სანახავად. შედარებაც კი არ შეიძლება კორეა-იაპონიის ჩემპიონატთან. შარშან აზიელები ყველაზე იაფ ბილეთებს 155 ევროდ ყიდდნენ და ძალიანაც გაისქელეს ჯიბე. გერმანული საორგანიზაციო კომიტეტი კი საკუთარი ნებით ამბობს უარს მილიონებზე, რაც ბლატერის გაოცებას და განრისხებას იწვევს. ბლატერს მიაჩნია, რომ გერმანელები ჩემპიონატს ფასს უკარგავენ. სხვათა შორის, ასე იაფი არც ერთი მასობრივი ღონისძიების ბილეთი არ ღირს. ასე, მაგალითად, პოლ მაკარტნის კონცერტების ყველაზე იაფი ბილეთი 46 ევრო ღირდა, "როლინგ სტოუნზი", სულ მცირე, 56 ევროს ითხოვდა ფანებისგან, ჰამბურგში დადგმული მუზიკლის, "ლომთა მეფის" ბილეთების ფასი 58 ევროდან იწყებოდა, ჰანოვერის მსოფლიო გამოფენაზე შესასვლელად კი 69 ევროს გადახდა იყო საჭირო. აღარაფერს ვამბობ საოპერო სპექტაკლებსა და კლასიკური მუსიკის კონცერტებზე, რომლებიც ასევე საკმაოდ ძვირი ღირს. მოკლედ, "კაიეზერმა" თავისი გაიტანა და, არაერთი ხელმოკლე ფანის გასახარად, იაფი ბილეთების გაყიდვის უფლება მოიპოვა, მაგრამ ამ სასიამოვნო სიახლეს ერთი ნაკლიც ახლავს - ასეთი ბილეთების რაოდენობა მეტად შეზღუდულია. ასე რომ, ისინი, ვისაც 35 ევროდ სურთ მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების ნახვა, დროზე უნდა გაისარჯონ - მომავალი წლის ბოლოდან დაიწყონ ზრუნვა ბილეთების დაჯავშნისთვის.

განადგურებული "ვესტფალენ შტადიონი"

გუშინ ისიც გახდა ცნობილი, თუ რომელ ქალაქებში გაიმართება ჩემპიონატის მატჩები. გახსნის ცერემონიალი გაიმართება 9 ივნისს მიუნხენში, ფინალი კი - 9 ივლისს, ბერლინში. ერთი ნახევარფინალი მიუნხენში იქნება, მეორე - დორტმუნდში. მესამე ადგილისთვის მატჩი შტუტგარტში ჩატარდება. დანარჩენ რვა ქალაქში ოთხ-ოთხი შეხვედრაა დაგეგმილი. უკვე ცნობილია, რომ გერმანიის ნაკრები ყველა მატჩს მიუნხენში, ბერლინსა და დორტმუნდში გამართავს, სადაც ყველაზე დიდი და კეთილმოწყობილი სტადიონებია, თუმცა, სამშაბათს დორტმუნდის "ვესტფალენ შტადიონი" თურქებმა ისე ააოხრეს, რომ "ბორუსიას" 100 000 ევრო არ ეყოფა ყველაფრის წესრიგში მოსაყვანად. საქმე ის არის, რომ უეფამ მაინცდამაინც გერმანიაში მოინდომა ჩემპიონთა ლიგის მატჩების გამართვა თურქული კლუბების მონაწილეობით. მოგეხსენებათ, სტამბულში მომხდარი ტერორისტული აქტის გამო ევროპული კლუბები უარს ამბობენ თურქეთში თამაშზე და ამიტომ მატჩები ნეიტრალურ მოედანზე ტარდება. გერმანია, სადაც უამრავი თურქი ცხოვრობს, მაინცდამაინც ოპტიმალური გადაწყვეტილება რომ არ იყო, ეს ნათლად გამოჩნდა "გალათასარაი"-"იუვენტუსის" მატჩის შემდეგ. "იუვეს" საერთოდ არ აინტერესებდა, მოიგებდა თუ წააგებდა ამ შეხვედრას, ამიტომ მარჩელო ლიპიმ დორტმუნდში მეორე შემადგენლობა ჩაიყვანა და "გალათასარაის" გადარჩენის შანსი მისცა. თურქებმა მოიგეს, სიხარულისგან გადარეულმა ფანებმა კი "ვესტფალენ შტადიონი" ბრძოლის ველს დაამგვანეს. მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ უამრავი თურქი მიაწყდა მოედანს, პოლიციამ კი ვერ შეძლო მათი შეჩერება. თურქებმა შუშხუნა ისროლეს იმ ტრიბუნის მიმართულებით, სადაც იტალიელი ტიფოზები ისხდნენ, რის შედეგადაც ერთმა ფანმა სხეულის დაზიანება მიიღო. პოლიციამ დამნაშავე თურქები დააპატიმრა. შემდეგი მატჩი თურქული კლუბის მონაწილეობით გელზენკირხენის "შალკე არენაზე" უნდა გაიმართოს ლონდონის "ჩელსისა" და სტამბულის "ბეშიქთაშს" შორის. გელზენკირხენშიც არაერთი თურქი ცხოვრობს, რის გამოც ქალაქის პოლიცია აქედანვე ემზადება ამ შეხვედრისთვის. "შალკე არენასაც" სჭირდება დაცვა. 2006 წელს ამ ქალაქში ოთხი ჯგუფური მატჩი და ერთიც მეოთხედფინალური შეხვედრაა დაგეგმილი.

ინფორმაცია

კრივი. გაჩნდა ცნობა, რომ დევიდ ტუა (42-3-1, აქედან 37 ნოკაუტით) კრივის მსოფლიო ორგანიზაციის (WBO) სუპერმძიმეწონოსანთა ვაკანტური ტიტულისთვის ლემონ ბრიუსტერთან (29-2, აქედან 26 ნოკაუტით) ორთაბრძოლაზე უარს აცხადებს. მიზეზად სახელდება მწვრთნელ კევინ ბერთან და მენეჯერ მარტინ პაგთან უთანხმოება, რომელიც, თურმე, საკმაო ხანია გრძელდება. მართალია, მწვრთნელისა და მენეჯერის მომსახურებაზე ტუამ ადრე განაცხადა უარი, მაგრამ ეს უკანასკნელნი დღემდე კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების შესრულებას ითხოვენ. ტუასა და ბრიუსტერს შორის დაპირისპირება გაისად, 14 თებერვლისთვისაა დაგეგმილი. იმ შემთხვევაში, თუ ტუა, მართლაც, შეუვალი აღმოჩნდება, მაშინ, შესაძლოა, ორგანიზაციამ ბრიუსტერთან სატიტულო ჩხუბი უკრაინელ ვლადიმირ კლიჩკოს შესთავაზოს.

■ ■ ■

კრივი. უკრაინელი სუპერმძიმეწონოსანი ვიტალი კლიჩკო პირობას დებს, რომ ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ კანადელ კირკ ჯონსონს სძლიოს. კლიჩკოს განცხადებით, იგი გრძნობს, რომ ბრწყინვალე ფორმაშია და შაბათს ჯონსონთან დაპირისპირებას ასპროცენტიანი მობილიზაციით ხვდება. ამასთან, კლიჩკო დასძენს, რომ კანადელთან მშვიდად და გააზრებულად იმოქმედებს, რადგან რინგზე ემოციები დაუშვებელია. გარდა ამისა, აღნიშნავს, რომ 12-რაუნდიანი ორთაბრძოლისთვისაც მზადაა: "მზად ვარ იმისთვის, რომ თორმეტივე რაუნდი ჩავატარო, მაგრამ თუ ორთაბრძოლის დროზე ადრე დასრულება იქნება შესაძლებელი, ამ შანსს ხელიდან არ გავუშვებ".

ირკვევა, რომ კლიჩკოსა და ჯონსონის მატჩს თვალყურს მიადევნებს ბრიტანელი ლენოქს ლუისიც. მოგეხსენებათ, ამ ორთაბრძოლის გამარჯვებულს კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) უმთავრესი ტიტულის ოფიციალური პრეტენდენტობა ელის. საბჭოს საჩემპიონო ქამრის მატარებელი კი ლუისია.

რაც შეეხება საბრძოლო ტაქტიკას, კლიჩკომ საიდუმლოს გამჟღავნებისგან თავი შეიკავა. კირკ ჯონსონმა კლიჩკოს კარგი მოკრივე უწოდა, მაგრამ გამარჯვებით მე გავიმარჯვებო. ამასთან, უკრაინელისა არ იყოს, ბრძოლის ადრე დასრულებაზე არც კანადელი იტყვის უარს. კლიჩკოსა და ჯონსონის ორთაბრძოლა 6 დეკემბერს ნიუ იორკში შედგება.

■ ■ ■

ფორმულა 1. ირკვევა, რომ "ფერარის" გერმანელი პილოტის მიხაელ შუმახერის ავტობიოგრაფიული წიგნი – "დრაივინ ფორს" "რეალის" ნახევარმცველის დევიდ ბექჰემის ანალოგიურ ნაშრომს – "მაი საიდს" პოპულარობით ჩამორჩება. ავტობიოგრაფიული წიგნი, რომელიც "შუმის" პრეს-მდივანმა საბინა კეხმიმ დაწერა, იმ სპორტული წიგნების ხუთეულში შედის, რომლებიც დიდ ბრიტანეთში ყველაზე კარგად იყიდება. თუმცა, ბექჰემის წიგნს ალბიონელები გაცილებით უფრო ეტანებიან, ვიდრე "დრაივინ ფორსს". მადრიდის "რეალის" ვარსკვლავის ავტობიოგრაფიული წიგნის გამოსვლიდან დღემდე 350 ათასი ეგზემპლარი გაიყიდა, მაშინ როდესაც ფორმულა 1-ის მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონის წიგნი მხოლოდ 18 653 ცალია გაყიდული. მიხაელ შუმახერს არაერთხელ განუცხადებია, რომ დიდ ბრიტანეთში ცოტაა მისი თავგადაკლული ქომაგი.

■ ■ ■

მძლეოსნობა. აშშ-ის მძლეოსნობის ფედერაციის (USATF) დირექტორთა საბჭომ ერთხმად მოიწონა იმ ამერიკელ სპორტსმენთა სამუდამო დისკვალიფიკაციის დასჯის მექანიზმი, რომლებიც სტეროიდების ხმარებაში იქნებიან მხილებულნი. ამასთან, დისკვალიფიკაცია ძალაში შევა აკრძალული პრეპარატის გამოყენების პირველივე შემთხვევაში. გარდა ამისა, ანალოგიური სასჯელი ელით მწვრთნელებსაც და მსაჯებსაც, რომლებიც სპორტსმენის მიერ გადადგმულ შესაბამის ნაბიჯზე თვალს დახუჭავენ.

■ ■ ■

მძლეოსნობა. მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა მსოფლიოს მოწინავე სპორტსმენთა ახალი რეიტინგი, რომლის მიხედვითაც ვაჟთა შორის პირველია ცნობილი მაროკოელი მორბენალი ჰიშამ ელ-გურუჯი, ხოლო ქალთა შორის - სამხრეთაფრიკელი სიმაღლეზე მხტომელი ხესტრი კლეტი.

■ ■ ■

ბიატლონი. კონტიოლახტში (ფინეთი) მიმდინარე ბიატლონისტთა მსოფლიო თასზე, 10 კილომეტრზე სპრინტში, პირველი ოთხი ადგილი ნორვეგიელებმა დაიკავეს. საუკეთესო შედეგი ჰქონდა ოლე ეინარ ბიორნდალენს - 29 წუთი და 44 წამი. მეორე ადგილზეა ჰალვარდ ჰანევოლდი, რომელიც ბიორნდალენს 25,1 წამით ჩამორჩა, მესამეზე - ფროდე ანდრესენი.

რაგბი

პარიზული ქართული ამბები

ჰაატა თოთაძე

ბიძინა გეგიძე ამყამად პარიზშია. ფოტოს ბეჭდილი ფოტო

სანამ საქართველოს ჩემპიონატის პლეი-ოფები დაიწყება, ქვეყნის რაგბის კავშირის პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე პარიზში გაემგზავრა FIRA-AER-ის ყოველწლიურ კონგრესში მონაწილეობის მისაღებად. პარიზში გუშინ 18 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ჩატარების დეტალებს აზუსტებდნენ, დღეს კი კონგრესის მონაწილენი ევროპის შვიდკაცას სერიის ამბებს განიხილავენ. პარიზშივე დაზუსტდება ევროპის ერთა თასის კალენდარიც, რომელიც, თავდაპირველი განაწესის მიხედვით, 14 თებერვალს უნდა დაიწყოს. ამ დღეს ბორჯღალოსნები თბილისში პორტუგალიის ნაკრებს შეხვდებიან. როგორც წესი, ერთა თასის კალენდარი ექვსი ერის კალენდარს ემთხვევა ხოლმე. გამონაკლისი, ალბათ, არც მომავალი გათამაშება იქნება. ამავე კონგრესზე ევროპის რეგიონთა თასის მომავალი გათამაშების დეტალები დაზუსტდება. რაც შეეხება წლევანდელ გათამაშებას, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ აჭარის რეგიონის ნაკრები არ გაემგზავრება საფრანგეთში პროვანსის ნაკრებთან ნახევარფინალურ მატჩზე ანუ პროვანსელები პირდაპირ გავლენ ფინალში, სადაც მათ რუსიონის პროვინციის ნაკრები ელის.

რაკი ბათუმელებმა საფრანგეთში წასვლაზე უარი თქვეს, მთელ ენერგიას ეროვნულ ჩემპიონატს მოახმარენ. ქვეყნის მოქმედ ჩემპიონს ტიტულის შენარჩუნება სურს და საამისოდ სამი მატჩის მოგება მართებს. პირველ გამოცდას ზღვისპირელები კვირას ჩააბარებენ თბილისის "აკადემია – იმედი L"-თან საშინაო შეხვედრაში. იმავე დღეს თბილისში "ყოჩები" "ლოკომოტივს" შეხვდება. პაექრობის გამარჯვებული პირდაპირ გადის ფინალში, დამარცხებულს კი კიდევ ერთი შანსი ეძლევა ფინალში გასასვლელად - ხუთი დღის შემდეგ ბათუმურ მატჩში გამარჯვებულთან შეხვედრაში.

ამასობაში გუშინ დუბაიში შვიდკაცა რაგბიში მსოფლიო სერიის პირველი ეტაპი დაიწყო. ტურნირში მონაწილე 16 გუნდი ოთხ ქვეჯგუფშია გადანაწილებული. A ჯგუფში ინგლისი, საფრანგეთი, მაროკო და შრი ლანკა მოხვდნენ, B ჯგუფში – ახალი ზელანდია, არგენტინა, უგანდა და არაბეთის ყურეს გუნდი, C ჯგუფში – შვიდკაცას ჯადოქრად წოდებული ფიჯელები, რომელთაც სამოელებთან, კანადელებთან და ზიმბაბველებთან მოუწევთ ჭიდილი. რაც შეეხება D ჯგუფს, აქ სამხრეთ აფრიკა, ავსტრალია, კენია და ზამბია დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. გუნდები ჯგუფებში იმგვარად განაწილდნენ, რომ მეოთხედფინალში გამსვლელები, ფაქტობრივად, წინასწარვე იყო ცნობილი. ასეც მოხდა: ინგლისმა, საფრანგეთმა, ახალმა ზელანდიამ, არგენტინამ, ფიჯიმ, სამოამ, სამხრეთ აფრიკამ და ავსტრალიამ მეორე ეტაპზე თამაშის უფლება ნაადრევად გაინაღდეს და დღეს გაარკვევენ სერიის პირველი ეტაპის გამარჯვებულის ვინაობას. სერიის მეორე ეტაპი ერთი კვირის შემდეგ სამხრეთ აფრიკაში გაიმართება.

მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ არაერთი გუნდი განიხილავს ნაკრების მწვრთნელის პოსტზე დატოვება-არდატოვების საკითხს. ბობოლათაგან ერთადერთი, ვისაც არაფერი ემუქრება, ალბათ, მხოლოდ კლაივ ვუდვორდია. სამხრეთ აფრიკის ნაკრების მწვრთნელის ამბავი თითქმის გარკვეულია - ძნელი სავარაუდოა, რომ მან თავისი ადგილი შეინარჩუნოს. გაურკვეველია ზელანდიელთა თავკაცის, ჯონ მიტჩელის ბედი. ზელანდილი გულშემატკივრები მის გადაყენებას მოითხოვენ, თუმცა, თავად მწვრთნელი ნაკრების წარუმატებლობაში თავს დამნაშავედ არ ცნობს და, შესაბამისად, არც გადადგომას აპირებს. საბოლოო ვერდიქტი ვერც ქვეყნის რაგბის კავშირის ხელმძღვანელობას გამოაქვს. მართალია, გუნდმა მსოფლიო თასის ფინალში ვერ გააღწია, მაგრამ კავშირის ხელმძღვანელობას დიდად არ სურს მიტჩელის მსგავსი სპეციალისტის გაშვება. გუშინ უნდა გადაწყვეტილიყო საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელად ბერნარ ლაპორტის დარჩენა-არდარჩენის საკითხი. მწვრთნელი საფრანგეთის რაგბის კავშირის პრეზიდენტს შეხვდა მომავალი კონტრაქტის დეტალების შესათანხმებლად, თუმცა, საბოლოოდ ყველაფერი მხარეთა განმეორებით შეხვედრაზე, 13 დეკემბერს გადაწყდება. საქმე ისაა, რომ ლაპორტს რამდენიმე ინგლისური კლუბი ეპატიჟება და სოლიდურ გასამრჯელოსაც ჰპირდებიან, მაგრამ თავად მწვრთნელს ურჩევნია, საფრანგეთში დარჩეს, თუ რაგბის კავშირის ხელმძღვანელობა მისთვის სასურველ პირობებს შესთავაზებს.

ფორმულა 1

რალფ შუმახერი და "ტოიოტა"?

რალფ შუმახერი საგონებელში ჩავარდა.

ეტყობა, "BMW-უილიამსის" გერმანელი პილოტის რალფ შუმახერის მენეჯერის ვილი ვებერის მიერ გადაკრული სიტყვა მისი კლიენტის "ტოიოტაში" შესაძლო გადასვლის თაობაზე იმისთვის იყო გამიზნული, რომ ფრენკ უილიამსს ჯიბეზე ხელი გაეკრა და, შესაბამისად, რალფისთვის კონტრაქტი გაეგრძელებინა. მაშინაც კი, როდესაც "უილიამსიდან" 2005 წლის სეზონისთვის "მაკლარენში" ხუან-პაბლო მონტოიას გადასვლის თაობაზე გაცხადდა, ყოველივე ამან, ყველაფრის მიუხედავად, თავად რალფს სრულიადაც არ განუმტკიცა პოზიციები.

გერმანელი ჟურნალისტების ცნობით, "უილიამსის" შეფი ფრენკ უილიამსი სულაც არ აპირებს რალფ შუმახერს დიდი ჰონორარი უხადოს, მიუხედავად იმისა, რომ BMW-ს ტექნიკურ პერსონალს პილოტის თავისთან დატოვება სურს. უკვე რამდენიმე თვეა, რაც "უილიამსი" რალფს კონტრაქტს არ უხანგრძლივებს. ვებერი კი გაიძახის, წვრილმანებიაო შესათანხმებელიო. თან, "უილიამსთან" დათმობაზეც მიდის, რომლის მიხედვითაც მისი კლიენტი მზადაა, დაბალ ანაზღაურებაზეც იმუშაოს. "მთავარია, რომ ამ გუნდთან რალფმა ჩემპიონატის მოგება შეძლოს, მაშინ კი პერსონალურ სპონსორებთან თანამშრომლობით დიდ ფულს გამოვიმუშავებთ", - ზაფხულში აცხადებდა ვებერი.

თუმცა, ფაქტია, ფრენკ უილიამსმა ზეწოლა გააძლიერა და ვებერსა და რალფს აცნობა, რომ ჯამაგირის კიდევ შემცირებას უპირებდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ვებერმა უცაბედად გაიხსენა გერმანულ-იაპონური გუნდი "ტოიოტა", რომელსაც, მართლაც, უსაზღვრო რესურსები აქვს იმისთვის, რომ, საჭიროების შემთხვევაში, ფული არ დაინანოს. ამასთან დაკავშირებით "ტოიოტას" ერთ-ერთმა წარმომადგენელმა თქვა კიდეც, რალფსა და "ტოიოტას" შორის მოლაპარაკება, მართლაც, მიმდინარეობსო.

ამასობაში საინფორმაციო საშუალებები იმასაც იტყობინებიან, რომ ფრენკ უილიამსს 2005 წლის სეზონისთვის პილოტთა შემადგენლობის გადახალისება სურსო. ანუ, იმ თანხით, რომელიც რალფის ახალი კონტრაქტისთვის უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული, საჯინიბო ერთდროულად უმაღლესი კლასის ორი მრბოლის, ამ შემთხვევაში, ფერარელი რუბენს ბარიკელოსა და "იაგუარის" ავსტრალიელი პილოტის მარკ უებერის შეძენას შეძლებდა. ამიტომაცაა, რომ "უილიამსმა" ვებერის წინადადებისგან შორს დაიჭირა თავი.

კალათბურთი

პირველი ლეგენდები და დინასტიები

NBA-ს ისტორიის ზოგიერთი დეტალი



უილდ ჩემბერლენი.



ბილ რასელი.

სანდრო ნავერიანი

ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის (NBA) პირველი ექვსი სეზონი ნაციონალური საკალათბურთო ლიგის (NBL) ყოფილი გუნდის "ლეიკერსის" ჩემპიონობით მთავრდებოდა. "ლეიკერსი" მინეაპოლისის გუნდი იყო და არა ლოს-ანჯელესის. ექვსი სეზონის განმავლობაში "ლეიკერსი" ხუთჯერ გახდა ჩემპიონი, ხოლო მეექვსე სეზონში, გაუთავებელი ტრავმების გამო, ჩემპიონის ტიტული "როჩესტერ როიალზს" დაუთმო. "მინეაპოლის ლეიკერსის" წარმატებები, პირველ რიგში, თავისი უცვლელი ლიდერის, მიკანის დამსახურება გახლდათ.

ჯორჯ მიკანი, მოკლეხელება ცენტრი, აბსოლუტური ბატონ-პატრონი იყო როგორც საკუთარ, ისე მეტოქის ფართან. ფარიდან ასხლეტილი თითქმის ყველა ბურთი მისი ნადავლი ხდებოდა. მოედანზე გამოდიოდა დიდი და მოუხერხებელი სათვალით, რაც ხელს უშლიდა თამაშში, მაგრამ სიმაღლე (208 სმ) ხელს აძლევდა, რომ ფარქვეშ შეუდარებელი ყოფილიყო. გუნდის მიერ მოპოვებული ქულებიდან ხშირად ნახევარზე მეტი მისი მოგროვებული იყო. 1954 წელს, როდესაც "ლეიკერსმა" მესამედ მოიპოვა ჩემპიონის ტიტული, მიკანმა განაცხადა, რომ დიდი სპორტიდან მიდის. "ლეიკერსი" იძულებული გახდა, დაევიწყებინა ჩემპიონობა და იმ წარმატებებს დასჯერებოდა, რასაც წინა წლებში მიაღწია. მართლაც, ასე მოხდა: სანამ "ლეიკერსი" ლოს-ანჯელესში არ გადავიდა, მანამდე არანაირი წარმატებისთვის არ მიუღწევია. მიკანის წასვლის შემდეგ "ბოსტონ სელტიქსის" ერა დადგა.

1951 წელს ბოსტონში დაინიშნა პირველი "ALL STAR"-ის მატჩი. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ დასავლეთ და აღმოსავლეთ კონფერენციის საუკეთესო კალათბურთელები. შეხვედრამ ტრადიციული სახე მიიღო და დღესაც ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ სანახაობად ითვლება. იმ მატჩში აღმოსავლელი კალათბურთელები უფრო ძლიერები აღმოჩნდნენ და 111:94 გაიმარჯვეს. ამით მათ დაამტკიცეს, რომ აშშ-ში კალათბურთის თამაში სწორედ ატლანტის ოკეანეს სანაპიროებზე დაიწყეს და მხოლოდ ამის შემდეგ გახდა პოპულარული წყნარი ოკეანის დასავლეთ სანაპიროზე.

1957-დან 1969 წლამდე ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში არ იყო გუნდი, რომელიც "ბოსტონ სელტიქსს" შეედრებოდა. 13 ჩემპიონატიდან ბოსტონელებმა 11 მოიგეს. 1958 წელს ბოსტონელებმა ჩემპიონის ტიტული "სენტ-ლუისს" დაუთმეს, მაგრამ მომდევნო სეზონში გულშემატკივრის თვალში რეაბილიტაცია შეძლეს. ბოსტონელებმა მშრალზე დაამარცხეს "მინეაპოლის ლეიკერსი". ამის შემდეგ "მინეაპოლის ლეიკერსის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, გუნდი ლოს-ანჯელესში გაეყიდა, რის შემდეგაც ჩამოყალიბდა "ლოს-ანჯელეს ლეიკერსი".

კალათბურთი გუნდური თამაშია, მაგრამ თანაბარი ძალის მქონე კალათბურთელებისგან დაკომპლექტებულ გუნდსაც კი არ შეუძლია რაიმე წრმატებაზე იფიქროს, თუ გუნდში არ არის გამორჩეული ლიდერი, რომელსაც შეუძლია წლების განმავლობაში ათრიოს გუნდი. 60-იან წლებში ბოსტონელთა ლიდერები იყვნენ მთავარი მწვრთნელი რედ აუერბახი და გამორჩეული ცენტრი ბილ რასელი.

რასელი "ბოსტონ სელტიქსში" 1956 წელს, 22 წლის ასაკში მივიდა. იმ დროს მას უკვე ორჯერ ჰქონდა მოგებული აშშ-ს სტუდენტური ჩემპიონატი და ფლობდა კალათბურთის ოლიმპიურ ოქროს. ის "ბოსტონ სელტიქსისთვის" იყო შექმნილი. რასელი გუნდური თამაშის ერთერთი პიონერი აღმოჩნდა. ის არ ცდილობდა, რაც შეიძლება, მეტი ქულა გაეკეთებინა, არანაირ შავ სამუშაოს არ თაკილობდა და სწორედ ამან აქცია გუნდის ერთპიროვნულ ლიდერად. რასელი დაცვაში გაცილებით კარგად თამაშობდა, ვიდრე თავდასხმაში, მაგრამ თავდასხმის ხაზშიც მის მიერ მოედნის არაჩვეულებრივი ხედვა ბევრ პრობლემას უქმნიდა მეტოქეს. მას შეეძლო, ბურთი გადაეცა იმისთვის, ვინც ყველაზე კარგ პოზიციაში იყო.

რასელმა მთელი თავისი ოსტატობა "ბოსტონ სელტიქსს" მოახმარა და 13-წლიანი კარიერის მანძილზე ერთხელაც არ უღალატია ბოსტონური კლუბისთვის. 1966 წელს, როდესაც რედ აუერბახმა მთავარი მწვრთნელის პოსტიდან წასვლა გადაწყვიტა, სწორედ ბილ რასელი დატოვა თავის ნაცვლად, მაგრამ რასელმა არ ისურვა, უარი ეთქვა კალათბურთის თამაშზე და გახდა პირველი შავკანიანი მოთამაშე მწვრთნელი ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ისტორიაში. ამის შემდეგ მან კიდევ ორჯერ მიიყვანა "ბოსტონ სელტიქსი" ჩემპიონის ტიტულამდე. რასელი 11-ჯერ გახდა ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონი, რაც დღემდე რეკორდია და ვერავინ შეძლო მისი მოხსნა.

"ბოსტონ სელტიქსის" ჰეგემონიის შეწყვეტა მხოლოდ ერთი წლით შეძლო "ფილადელფია სევენთისიქსერზმა". იმ დროს ფილადელფიელთა რიგებში ლეგენდარული უილტ ჩემბერლენი თამაშობდა და არავის გაჰკვირვებია, რომ სწორედ ფილადელფიამ შეძლო ბოსტონელთა შეჩერება. ჩემბერლენი, ჩემი აზრით, ერთ-ერთი ყველაზე უბედური კალათბურთელია. მის კარიერაში ბევრია ინდივიდუალური ტიტული და რეკორდი, მაგრამ მან მხოლოდ ორჯერ შეძლო ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონატის მოგება. ერთ-ერთი გამარჯვება სწორედ მაშინ ხვდა წილად, როდესაც გუნდურ თამაშზე გადაიტანა აქცენტი და როდესაც თამაშში, საშუალო, 30,1 ქულას აკეთებდა. იმ სეზონში 24,1 ქულამდე დაიყვანა შედეგიანობის მაჩვენებელი.

1969 წელს კალიფორნიის უნივერსიტეტიდან "მილუოკი ბაქსში" მივიდა ახალი კალათბურთელი, რომლის სახელია ლიუ ალსინდორი. გუნდში მისვლიდან მეორე წელს ამ გიგანტმა შავკანიანმა ბიჭმა თავისი გუნდი ჩემპიონის ტიტულამდე მიიყვანა. 70-იანი წლების დასაწყისში ალსინდორი ისლამის რელიგიას ეზიარა, რის შემდეგაც სახელი შეიცვალა და კარიმ აბდულ-ჯაბარი დაირქვა. ამ სახელით ის მთელმა მსოფლიომ გაიცნო. აბდულ-ჯაბარი "ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" ლეგენდარული ცენტრი იყო. ამ გუნდში მან 14 სეზონი გაატარა და ყველა დროის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი გახდა. მან მთელი მისი კარიერის განმავლობაში მოედანზე 57446 წუთი დაყო და 38387 ქულა გააკეთა. ამის გარდა, მას კიდევ ბევრი რეკორდი ეკუთვნის.

ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ისტორია ძალიან ბევრ ტომს მოიცავს. ყველაფრის ცოდნა არ არის საჭირო და არც საინტერესოა. მაგრამ არის ისეთი ფურცლები, რომლებიც სპორტის და, მით უმეტეს, კალათბურთის მოყვარულმა უნდა იცოდეს. დანარჩენ ისტორიებსა და რეკორდებზე მომავალ ნომრებში მოგიყვებით.

TV-სპორტი

პარასკევი. 5 დეკემბერი

НТВ+ФУТБОЛ

07:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: კონი ჰოუკინსი
08:00 NBA TV. "NBA-ს დიდი თამაშები" წელი 1995. აღმოსავლეთ კონფერენციის ნახევარფინალი. "INDIANA PACERS" - "ORLANDO MAGIC". მე-4 თამაში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 საუკეთესო მატჩების ანონსი
13:20 მსოფლიო ჩემპიონატი არაბეთის გაერთიანებულ სახალიფოში. იუნიორები. არგენტინა – მალი
15:05 მსოფლიო ჩემპიონატი არაბეთის გაერთიანებულ სახალიფოში. იუნიორები. კანადა – ჩეხეთი
16:50 თავისუფალი დარტყმა
17:10 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:40 მსოფლიო ჩემპიონატი არაბეთის გაერთიანებულ სახალიფოში. იუნიორები. კოლუმბია - ინგლისი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:35 "ექსპერტიზა"
20:10 "გაიტანე!"
20:25 მსოფლიო ჩემპიონატი არაბეთის გაერთიანებულ სახალიფოში. იუნიორები. ირლანდია – მექსიკა. პირდაპირი ტრანსლაცია
22:20 თავისუფალი დარტყმა
22:35 სახვალიო ტელეპროგრამა
23:40 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:45 მსოფლიო ჩემპიონატი არაბეთის გაერთიანებულ სახალიფოში. იუნიორები. პარაგვაი – გერმანია
01:30 მსოფლიო ჩემპიონატი არაბეთის გაერთიანებულ სახალიფოში. იუნიორები. აშშ – კორეა

НТВ+СПОРТ

11:00, 14:00, 17:20, 20:00 პრესცენტრი
11:15, 20:15 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:15 აერობიკა
11:45 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "TAMPA BAY LIGHTNING" - "OTTAWA SENATORS"
14:40 "ჩქაროსნული სამყარო"
15:10 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
15:40 "მოტოვებული კვირა"
16:25 "სპორტის აკვატორია"
16:55 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
17:35 ტაილანდური კრივი
18:30 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport"-ი წარმოგიდგენთ
19:00 ამერიკული ფეხბურთის ფანკლუბი
19:30 "ფრისტაილი". ტელეჟურნალი
20:20 სახვალიო ტელეპროგრამა
20:30 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე
21:00 "ფარი და ბურთი" გადაცემა კალათბურთზე
21:45 სამთო თხილამურები. მსოფლიო ეტაპი კანადაში. ქალები. ჩქაროსნული დაშვება. პირდაპირი ტრანსლაცია
22:45 "ყინულის ხანა". პროგრამა ჰოკეიზე
23:45 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "TAMPA BAY LIGHTNING" - "OTTAWA SENATORS". შესვენებისას (01:00) ახალი ამბები
02:15 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport"-ი წარმოგიდგენთ
02:45 ამერიკული ფეხბურთის ფანკლუბი

EUROSPORT

11:30 ბადმინტონი. საერთაშორისო ასპარეზობა გერმანიაში
12:30 ოლიმპიური თამაშები. მიზანი – ათენი
13:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი ფინეთში
16:45 ბადმინტონი. საერთაშორისო ასპარეზობა გერმანიაში
18:00 კერლინგი. ევროპის ჩემპიონატი იტალიაში
19:30 ბადმინტონი. საერთაშორისო ასპარეზობა გერმანიაში
20:45 კერლინგი. ევროპის ჩემპიონატი იტალიაში
22:00 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასი კანადაში
23:15 ფიტნესი. მსოფლიო ჩემპიონატი პოლონეთში
00:15 ყველაზე ძლიერი ადამიანი. გრან-პრი ფინეთში

გნოლი

ბალვა ციხისთავი

გნოლი საქართველოს სანადირო ფაუნის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელია. იგი მიეკუთვნება ქათმისნაირთა რიგს და გაერთიანებულია ხოხბისებრთა ოჯახში.

საქართველოში გნოლი მობინადრე ფრინველია. მას მხოლოდ მცირემანძილიანი მიგრაციები ახასიათებს, ისიც ზამთრის პირას, როდესაც სავარგულები თოვლით იფარება, ფრინველი უფრო დაბალ და თბილ ადგილებს ეძებს, იქ, სადაც საკვები ადვილი მოსაპოვებელია და საფარიც საიმედოა.

გნოლის ადგილსამყოფელის ბუნებრივი პირობები მრავალნაირია - იგი ირჩევს მეჩხერი ბუჩქნარით დაფარულ მინდვრებს კულტურულ ლანდშაფტთან ახლოს, პატარა ხევებითა და ღრანტეებით დაფარულ გორაკებს, გვხვდება მშრალ ადგილებშიც, იქ, სადაც კაკაბსაც შეიძლება შევხვდეთ - შირაქის ველის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში და უდაბნოს გორაკებზე.

გნოლი მეტად ლამაზადაა შეფერილი. მისი ზურგი, გვერდები და კისერი ნაცრისფერია, სადაც გაბნეულია შავი წაბლა და რუხი წინწკლები და წაბლისფერი ვიწრო ზოლები, მკერდი მოთეთროა. მამალს მუცელზე აქვს ნალისებური ფორმის მუქწაბლისფერი ლაქა. დედალს ასეთი ლაქა ან სულ არ გააჩნია, ან იგი უფრო მომცრო ზომისა და შედარებით ღია ფერისაა. ასეთი შეფერილობის გამო მიწაზე მჯდომი გნოლი თითქმის შეუმჩნეველია, რითაც იგი თავს იცავს ფრთოსანი მტაცებლებისაგან.

დედალი გნოლის წონა 400 გრამამდეა, მამლის - 450 გრამამდე.

ეს ფრინველი მთელ ცხოვრებას მიწაზე ატარებს. იგი მარჯვედ და სწრაფად დარბის, ახასიათებს სწრაფი და სწორხაზოვანი ფრენა, მაგრამ შორ მანძილზე ვერ ფრენს, აფრენიდან 500-600 მეტრის შემდეგ მიწაზე ეშვება. აფრენისას მკვეთრ ხმაურს გამოსცემს.

მონოგამია, მდედრი და მამრი ერთად უვლიან ბუდობას და სიცოცხლის ბოლომდე ერთად რჩებიან.

საქორწინო ტირტირი მარტის დასაწყისში ეწყებათ, დაწყვილებულები სცილდებიან გუნდს და ირჩევენ გამორჩეულ ადგილს მომავალი თაობის აღსაზრდელად, სადაც ატარებენ მთელ კრუხობის პერიოდს. აპრილის მიწურულს, მაისის დასაწყისში მდედრი დებს მარტივად გაკეთებულ ბუდეში 12-20 ნაცრისფერ-მომწვანო ფერის კვერცხს. ბუდეზე ზის მხოლოდ დედალი, მამალი ახლომახლო იმყოფება და ყარაულობს ბუდობას - ხმით ამცნობს დედალს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. 24-26 დღის შემდეგ იჩეკებიან წიწილები, რომლებიც გამოჩეკვისთანავე უკვე საკმაოდ სწრაფად დარბიან და საკვებს დამოუკიდებლად პოულობენ. ნაშიერთა გაზრდაში ორივე მშობელი მონაწილეობს. გამოჩეკის შემდეგ პირველ 10-15 დღეს მშობლები წიწილებს ბუდესთან ახლოს დაატარებენ, შემდგომში მათი მოძრაობის მანძილი საკმაოდ იზრდება. წიწილები ზრდას ასრულებენ სექტემბრისათვის, ამ დროისათვის ისინი თითქმის მშობლების ზომისანი არიან.

გნოლის ბუდობა დღის განმავლობაში რამდენჯერმე იცვლის ადგილს; ღილის საათებში იგი მაღალ ბალახშია, ხევის ან ბუჩქნარის პირას. დღის მეორე ნახევარში ნამკალში გადადის, სადაც დაცვენილი მარცვლით იკვებება. საღამოს ბინდისას ბუდობა ბუჩქნარში გადადის ფრენით უკვე დასაძინებლად და იმ ადგილიდან, სადაც ჩაფრინდება, ფეხს არ იცვლის, რათა არ დატოვოს ნაკვალევი.

გნოლი იკვებება როგორც მცენარეული, ისე ცხოველური საკვებით. მარცვლეული, სარეველა მცენარეთა თესლი, ნორჩი ფოთლები და ყლორტები, აგრეთვე მწერები, მათი მატლები და ჭუპრები, სხვადასხვა ჭია და თხელნიჟარიანი ლოკოკინები. ამით გნოლს სარგებლობა მოაქვს სოფლის მეურნეობისათვის.

გნოლს კაკაბთან შედარებით სუსტი ფეხები აქვს და თუ ზამთარი დიდთოვლიანია, მას უჭირს თოვლის ქექვა და საკვების მოპოვება. ასეთ დროს გნოლების დიდი ნაწილი შიმშილისაგან იღუპება ან მტაცებლის მსხვერპლი ხდება.

არც ისე შორეულ წარსულში, სულ რაღაც 50-60 წლის წინათ, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში გნოლი საკმაო რაოდენობით მოიპოვებოდა. დაახლოებით 1960 წლის შემდეგ გნოლის რაოდენობა მეტად შემცირდა. იქ, სადაც მონადირე ერთ სანადირო დღეს გნოლის 4-5 გუნდს ნახავდა, ახლა იგივე ადგილებში გნოლს მეტად იშვიათად შეხვდებით.

